საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

17 მარტი **შაბათი** 2012
№064(13670) ფასი 80 თეთრი

# კიდევ ერთხელ დავალელოვოთ!

## საქართველო-რუსეთი დღეს. 15:00
## ერთად ვიმღეროთ ჩვენი ჰიმნი!


13

ასე ზეიმობდა საქართველოს ნაკრები რუსთა დამარცხებას სოჭში

# სან იკიძეს ანტონიოში მალე ვიხილავთ

## ვიქტორის სანახავად იტალიაში NBA-ს სკაუტები ჩავიდნენ


12

ვიქტორ სანიკიძე იტალიაში ბრწყინავს

# დინამომ საჩემპიონო ქულები დაკარგა

2-3



დინამო-მერანი 2:2. გიგა ჟვანიას პენალტი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# უეფამ წილი ჰყარა: მილანს ბარსა შეჰყარა

## ლიგის წილისყრამ კლასიკო ფინალისთვის გადადო

### ჩემპიონთა ლიგა

9

მარსელი (საფრანგეთი) VS ბაიერნი (გერმანია)

აპოელ (კვიპროსი) VS რეალი (ესპანეთი)

ბენფიკა (პორტუგალია) VS ჩელსი (ინგლისი)

მილანი (იტალია) VS ბარსელონა (ესპანეთი)

### ევროპალიგა

ალკმაარი (ჰოლანდია) VS ვალენსია (ესპანეთი)

შალკე (გერმანია) VS ბილბაო (ესპანეთი)

სპორტინგი (პორტუგალია) VS მეტალისტი (უკრაინა)

ატლეტიკო (ესპანეთი) VS ჰანოვერი (გერმანია)

# ფორმულა 1 ავსტრალიით იწყება



14

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პლეი ოფი (1-8 ადგილები)

16.03. თბილისი. დინამო არენა. 1500 მაყურებელი

**დინამო 2**

**მერანი 2**

1:0 ჩისკო (22), 2:0 კოშკაძე (32), 2:1 ჟვანია (39. პენ), 2:2 ჩალაძე (58).

| დინამო 4-3-3 | მერანი 4-3-3 |
|---|---|
| ლორია | შეროზია |
| ტვილდიანი | კაკუშაძე |
| კვეკვესკირი | ჟვანია |
| თომაშვილი | იობაშვილი |
| ხმალაძე | გეგეჭკორი |
| ოდიკაძე | დიდავა |
| კოშკაძე | მანწკავა |
| ძარია | ე. გრიგალაშვილი |
| მერებაშვილი | ტორონჯაძე |
| ჩისკო | ტაპე |
| გოგუა | სუხიაშვილი |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| გ. დევდარიანი | მ. ჟვანია |

**დინამო**

46. ჩისკო - **ჯილაური.**
75. ოდიკაძე - **რობერტინიო.**

*სათადარიგოები:* სეფიაშვილი, რეხვიაშვილი, ანდრეუ, იაგუე

**მერანი**

18. კაკუშაძე - **ჩალაძე**
90. ტაპე - **ბოხუა**
88. ტორონჯაძე - **ამბროლაძე.**

*სათადარიგოები:* შენგელია, კიკალიშვილი, ვართაგავა, ფონიავა.

გაფრთხილება: ოდიკაძე (43), რობერტინიო (90+2), ხმალაძე (90+3), მანწკავა (90+3).

გაძევება: ძარია (37).

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

# დინამომ საჩემპიონო ქულები დაკარგა

გუშინ ეროვნულზე მისული გულშემატკივარი არ ნანობდა, ცივი საღამო ფეხბურთს რომ დაუთმო. ეს ისეთი შეხვედრა იყო, ეროვნული ჩემპიონატის რეკლამად რომ გამოდგება: ყველაფერი ერთად ვიხილეთ, ლამაზი კომბინაციები, გოლები, გაძევება, შეხლა-შემოხლა, მოულოდნელი და დრამატული სიუჟეტი...

მატჩი "დინამოს" უპირატესობით დაიწყო, მაგრამ პირველი მომენტი სტუმრებმა შექმნეს: მე-6 წუთზე **გიორგი მანწკავამ** სახიფათოდ შეასრულა ჯარიმა, ბურთი ძელმა აისხლიტა, დამატებაზე **ვალერი იობაშვილი** ცდილობდა გატანას, მაგრამ **გიორგი ლორიას** ვერ აჯობა.

ამის შემდეგ "დინამო" მომენტს მომენტზე ქმნიდა, მე-8 წუთზე **ჩისკო** მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ **ჯონი შეროზია** ფეხებში ჩაუხტა და მომენტი განმუხტა.

მე-14 წუთზე "მერანი" ისევ გადარჩა: გოგუა-ჩისკოს სწრაფ და ლამაზ კომბინაციას საჯარიმოს ხაზიდან **გიორგი მერებაშვილი** აგვირგვინებდა - ძელი!

მოსახდენი მაინც მოხდა: 22-ე წუთზე **ნიკა კვეკვესკირმა** ჩინებული გადაცემით საჯარიმოში დასარტყმელ პოზიციაზე ჩისკო გაიყვანა, ესპანელმა კი მახვილი კუთხიდან ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა.

10 წუთში "დინამომ" კიდევ ერთხელ აიღო სტუმართა კარი: ლამაზი კომბინაცია ჩისკომ მარჯვენა ფლანგზე წამოიწყო, საპირისპირო მხარეს გოგუა შენიშნა, რომელიც საჯარიმოში შეიჭრა და უმეთვალყურეოდ დარჩენილ **ალეკო კოშკაძეს** ბურთი თავზე დაასვა და "დინამოს" კაპიტანმა სხვაობა ორამდე გაზარდა.

თითქოს ყველაფერი ცხადი იყო, მაგრამ 36-ე წუთზე ყველაფერი აირია: მარტვილელთა შეტევას **გიგა ჟვანია** ასრულებდა, ლორიამ ბურთი კი მოიგერია, მაგრამ კარში წავიდა და **ირაკლი ძარია** ხელით გადაელობა. მთავარმა მსაჯმა **დავით ხარიტონაშვილმა** ძარია მოედნიდან გააძევა და მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნა, რომელიც თავად ჟვანიამ ზუსტად შეასრულა - 2:1.

თბილისელებს დაბნეულობა დაეტყოთ, სტუმრები კი მიმდინარე ჩემპიონატში ბრძოლისუნარიანობითა და გამართული ფეხბურთით გამოირჩევიან და ამ მატჩის ბედიც შემოატრიალეს.

43-ე წუთზე შეხლა-შემოხლა მოხდა, როდესაც **დავით ოდიკაძე** ძალიან უხეშად ეთამაშა **ლაშა ჩალაძეს**, თუმცა, ეს ეპიზოდი მშვიდად, ტაიმი კი "დინამოს" გამარჯვებით დასრულდა.



მერანელი მცველები დინამოელთა შეტევებს კარგად უმკლავდებოდნენ

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

მარტვილელები მეორე ნახევარში გააქტიურდნენ და კურიოზული გოლი გაიტანეს: საკუთარ საჯარიმოსთან ოდიკაძის გადაცემა ჩალაძემ ჩაჭრა, კუთხის ალმის სიახლოვიდან მეკარის ბაქანში ჩაკიდებას ცდილობდა, მაგრამ ბურთი კარში მოიჭრა, "ცხრიანში" ჩაეშვა და მერანელთა და მათი ქომაგების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა - 2:2!

კაცნაკლულობის მიუხედავად, დინამოელებმა მეტოქეს მთელი ძალით შეუტიეს, მათი შეტევების სული და გული კი ჯოტია ცაავასავით გაბრაზებული გოგუა იყო. 59-ე წუთზე მისი გადაცემის შემდეგ საჯარიმოში ეფექტური მოძრაობით გიორგი მერებაშვილი შეიჭრა, კარის წინ ბურთი გულვერდ თომაშვილს გადააწოდა, მაგრამ "დინამოს" მცველმა არაზუსტად დაარტყა.

მალე მერებაშვილი კიდევ ერთხელ გაცდა მცველებს და კარის აღებას შეეცადა - შეროზიამ კვლავ საიმედოდ ითამაშა.

დინამოელები ბევრს უტევდნენ, მაგრამ სიზუსტე არ ჰყოფნიდათ, "მერანი" კი კონტრშეტევებს ახორციელებდა. ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა **ანზორ სუხიაშვილს,** რომელიც **გიორგი მანწკავასთან** ერთად, სტუმართა შორის გამორჩეული იყო: 76-ე წუთზე მან კარს მცირე მანძილით ააცილა. ერთ წუთში კი, ლორიამ **მამუკა ტორონჯაძის** დარტყმული ბურთი რომ მოიგერია, კარის წინ მარტო დარჩენილმა მერანელმა დამატებაზე რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა.

მსაჯის საფინალო სასტვენმა დრამატული მატჩი დაასრულა და მასპინძლები დაამწუხრა, სტუმრებმა კი უზომოდ გაახარეს.

### მატჩის შემდეგ

**გიორგი დევდარიანი,** თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი: *"თამაში კარგად დავიწყეთ, მაგრამ კაცნაკლულები რომ დავრჩით, ყველაფერი აირია. ჩემამდე არ დადის, ასეთმა გუნდმა დეკემბრის შემდეგ ერთი შეხვედრა როგორ ვერ მოიგო? ძალიან კარგი და გამართული მეტოქე გვყავდა".*

**არჩილ ჩხაბერიძე,** "მერანის" მთავარი მწვრთნელი: *"ვფიქრობ, მაყურებელს ლამაზი და სანახაობრივი შეხვედრა ვაჩვენეთ. ბიჭებმა დავალებები კარგად შეასრულეს და ჩვენთვის მნიშვნელოვანი ქულა მოვიპოვეთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

16.03. თბილისი. ნაკრ. ბაზა ბასა. 600 მაყურებელი

**დილა 0**

**მეტალურგი 1**

0:1 სიხარულიძე (83)

| დილა 4-5-1 | მეტალურგი 4-5-1 |
|---|---|
| სკენდერი | ბედიაშვილი |
| ბეჭვაია | ს. თოდუა |
| ქარქუზაშვილი | გ. კვარაცხელია |
| ინწკირველი | მახვილაძე |
| მეგრელიშვილი | ლ. ჯაფარიძე |
| კახელიშვილი | თექთურმანიძე |
| არზიანი | ქავთარაძე |
| კანდელაკი | ი. მაისურაძე |
| კაშია | რაზმაძე |
| ლექვთაძე | გავაშელიშვილი |
| ჯიქია | სიხარულიძე |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| თ. მახარაძე | კ. ჟორჟიკაშვილი |

**დილა**

46. არზიანი - **ზ. ჯაფარიძე**
63. კახელიშვილი – **ახალკაცი**
71. რ. ჯიქია – **ილურიძე**

*სათადარიგოები:* შეყრილაძე, ალადაშვილი, ნ. ნოზაძე, გურული

**მეტალურგი**

59. თექთურმანიძე – **ტატანაშვილი**
59. ქავთარაძე – **სეთურიძე**
73. გავაშელიშვილი – **გენაძე**

*სათადარიგოები:* ბათიაშვილი, ექვთიმიშვილი, მოდებაძე, ჭედია

არბიტრი: ლ. კვარაცხელია



მეტალურგმა ირაკლი სიხარულიძის (№17) გოლით გაიმარჯვა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# მძიმე სურათი

რატომღაც გვეგონა, რომ ტურის ცენტრალურ მატჩს ელფერს მხოლოდ მისი ჩატარების ადგილი დაუკარგავდა, მაგრამ სამწუხაროდ, "ბასაზე" ღირებული საერთოდ ვერაფერი ვიხილეთ. "დილა" უჩვეულოდ ინერტული იყო, "მეტალურგი" კი მეორე ტაიმში გამოცოცხლდა და შეხვედრის მიწურულს მომწიფებული და მოსალოდნელი გოლიც გაიტანა – **ირაკლი მაისურაძის** ძლიერი დარტყმა ხარიხას მოხვდა, დამატებაზე კი თავი **ირაკლი სიხარულიძემ** გამოიჩინა.

თამაშმა, ფაქტობრივად, ბრძოლისა და ემოციის გარეშე ჩაიარა. ვფიქრობთ, ეს მატჩი მიმოხილვას საერთოდ არ იმსახურებს. იმედი ვიქონიოთ, მიმდინარე ჩემპიონატში მსგავს სურათს მომავალში ნაკლებად ვიხილავთ, თუმცა ამის დიდი იმედი ნამდვილად არ გვაქვს.

მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ პირველი ეტაპის მიწურულს "დილამ" "მეტალურგს" უმნიშვნელოვანესი სამი ქულა აართვა, გუშინდელ მატჩამდე მცირე ხნით ადრე კი უცხოურმა ტოტალიზატორებმა წყვილის გამოკვეთილ ფავორიტად "მეტალურგი" დაასახელეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### პლეი ოფი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 15 | 10 | 3 | 2 | 28 | 12 | 33 |
| 2 | მეტალურგი | 16 | 9 | 2 | 5 | 23 | 19 | 29 |
| 3 | დინამო | 15 | 7 | 3 | 5 | 29 | 22 | 24 |
| 4 | ტორპედო | 14 | 7 | 3 | 4 | 17 | 12 | 24 |
| 5 | ბაია | 15 | 4 | 4 | 7 | 11 | 19 | 16 |
| 6 | დილა | 15 | 4 | 3 | 8 | 16 | 18 | 15 |
| 7 | მერანი | 15 | 4 | 2 | 9 | 14 | 24 | 14 |
| 8 | კოლხეთი | 15 | 2 | 6 | 7 | 8 | 20 | 12 |

**ზესტაფონი ?**

**ტორპედო ?**

**გადაიდო**

**კოლხეთი ?**

**ბაია ?**

**გადაიდო**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დვალი (ზესტაფონი) | 13 |
| ჩისკო (დინამო) | 11 |
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 9 |

### III ტური

**21 მარტი, ოთხშაბათი**

ტორპედო-კოლხეთი

დინამო-ზესტაფონი

მეტალურგი-მერანი

ბაია-დილა

## პლეი აუტი (9-16 ადგილები)

16.03. ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე. 600 მაყურებელი

| გურია | 2 |
|---|---|
| გაგრა | 2 |

1:0 ჯანგიძე (30. ტ. კუკულაძის პასით), 2:0 კვერენჩხილაძე (56), 2:1 ნ. ჯიშკარიანი (58), 2:2 ტყეშელაშვილი (73).

| გურია 4-4-1-1 | გაგრა 4-4-1-1 |
|---|---|
| ბუზუტეიშვილი | ბეგაშვილი |
| ჩუენსუ | ხუციძე |
| ზ. ჩხეტიანი | კალანდაძე |
| ბაქრაძე | ტყეშელაშვილი |
| ჯანგიძე | ჯგერენაია |
| სამსეიშვილი | ყურულაშვილი |
| მაისაშვილი | ხოჯაშვილი |
| მოსიაშვილი | ნ. ჯიშკარიანი |
| ტ. კუკულაძე | სარდალიშვილი |
| კვერენჩხილაძე | კვანტალიანი |
| გ. თოდუა | ჯერემია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. იმნაძე | ზ. ჯელაძე |

**გურია**

65. მოსიაშვილი - **რ. კუკულაძე**
78. ტ. კუკულაძე - **ჩარგეიშვილი**
88. სამსეიშვილი - **ე. კილაძე**

*სათადარიგოები: გოგუაძე, ლალაძე, შეწირული, ზ. კვარაცხელია*

**გაგრა**

35. ხოჯაშვილი - **ზვიადაძე**
46. სარდალიშვილი - **ყიფიანი**
89. ჯიშკარიანი - **კოზერიძე**

სათადარიგოები: მალრაძე, ნარმანია, ფალავანდიშვილი, ლ. სეთურიძე

**გაფრთხილება:** ხოჯაშვილი (12), კვანტალიანი (40), ტ. კუკულაძე (53)

**არბიტრი:** მ. ბეუქლიშვილი

# გაგ(უ)რული: 0:2 წაგება არაა!

## ანუ, რაც გურიამ თბილისში გააკეთა, გაგრამ ლანჩხუთში შექლო

მატჩის დღეს დილით და წინადღეს ისევ მოთოვა და არსებობდა საფრთხე, რომ შეხვედრა არ ჩატარებულიყო, მაგრამ შეხვედრის დაწყებამდე საათებით ადრე გამოიდარა, თანაც წყლიანმა თოვლმა სხვა ქალაქებისგან განსხვავებით, მინდორზე „ფეხი ვერ მოიკიდა".

წინა ტურში ორივე გუნდმა წარმატებით იასპარეზა და თავისთავად, წარმატებული სერიის გაგრძელებას შეეცდებოდნენ, თუმცა მეტად მოტივირებულები ელიტლიგაში მოხვედრის მოსურნე მასპინძლები ჩანდნენ.

მატჩიც მათი შეტევებით დაიწყო და თანდათან კიდევ უფრო გაიზარდა გურულთა უპირატესობა. თუ სტუმრებმა პირველ ტაიმში მხოლოდ 2-3 ჯერ დაარტყეს „გურიის" კარისკენ სახიფათოდ, ლანჩხუთელებს გატანის შანსი მრავალჯერ მიეცათ.

პირველი რეალური ხიფათი გურულებმა პირველივე წუთზე შექმნეს, როცა საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილი **გია თოდუა** თავით ახლო მანძილიდან ურტყამდა, მაგრამ ფორვარდმა კარს ცოტათი გადააცილა.

ამის შემდეგაც მასპინძლები სახიფათოდ კი უტევდნენ, მაგრამ რეალური ხიფათი 30-ე წუთზე შექმნეს, რომელიც გოლით დასრულდა — მარცხენა ფრთიდან კუთხური **ტარიელ კუკულაძემ** მოაწოდა, რომელსაც **ლაშა ჯანგიძე** გამოეხმაურა და თავურით ანგარიში გაიხსნა.

ამის შემდეგ გაგრელებმა ვითარების გამოსწორება კი სცადეს, მაგრამ ტაიმის მიწურულს ისინი 2-ჯერ გადაურჩნენ გოლს — ჯერ სტანდარტული მდგომარეობის შესრულებისას, როცა გურულები სახიფათოდ უტყამდნენ და შემდეგ, როცა **დათო მაისაშვილმა** გაისროლა სახიფათოდ — მცველის გავლით ბურთი ხარიხას მოხვდა.

თამაშის განახლების შემდეგ აშკარა იყო, რომ „გურია" აქცენტს უფრო დაცვაზე გააკეთებდა. თუმცა არც შეტევაზე უთქვამთ მასპინძლებს უარი და ერთ შემთხვევაში, 56-ე წუთზე, **გიგა კვერენჩხილაძემ** თავისიანები დააწინაურა, როცა საჯარიმოში შეჭრილმა გაგრელთა მეკარე უშანსოდ დატოვა.

მატჩის მიმდინარეობა და მოედნის მდგომარეობა „გაგრას" უმძიმეს სიტუაციაში აყენებდა, თუმცა ორბურთიანი ფორის მიღებიდან 2 წუთიც არ იყო გასული, როცა მასპინძელთა დაცვამ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა — ბურთი მოგერიების ნაცვლად მეტოქეს ჩააბარეს და არეულობაში მეკარესთან პირისპირ შერჩენილმა **ნიკოლოზ ჯიშკარიანმა** ანგარიში შეამცირა.

გატანილმა გოლმა სტუმრები გამოაფხიზლა და მეტად სახიფათო იერიშები მიიტანეს ლანჩხუთელთა კარზე. ჯერ იყო და ხელსაყრელი სიტუაციიდან ვერ იხეირეს, ხოლო 73-ე წუთზე, ისევ დაცვის შეცდომით — გურულებმა კვლავ ვერ შეძლეს ბურთის მოგერიება (თუმცა ატალახებულ მინდორზე ეს საკმაოდ ჭირდა) და **გიორგი ტყეშელაშვილმა** ძლიერი დარტყმით მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა, 2:2.

ამის შემდეგ სტუმრებმა დიდი მორალური უპირატესობა მიიღეს და მოგების შანსიც მიეცათ. „გაგრამ" ფსიქოლოგიურთან ერთად სათამაშო უპირატესობაც მოიპოვა. თუმცა ისინი ხიფათებს უფრო მეტად სტანდარტული მდგომარეობისას ქმნიდნენ — მოგეხსენებათ, ასეთ ამინდში საჯარიმოში „ჩაკიდება" ყოველთვის სახიფათოა, თუმცა ამისგან ხეირი ველარ ნახეს: მასპინძელთა დაცვას მეტი შეცდომა არ დაუშვია. ყველაზე სახიფათო მაინც დამატებულ წუთზე საჯარიმოს ხაზზე დანიშნული ჯარიმა გახლდათ, როცა **მალხაზ ბეუქლიშვილმა** მასპინძელი მეკარის ხელით თამაში საჯარიმოს მიღმა დააფიქსირა, მაგრამ სტუმრებმა მისი გამოყენება ვერ შეძლეს.

რა თქმა უნდა, ამ დროს გურულებიც ცდილობდნენ თითქმის მოგებული თამაშის ისევ თავისკენ შემოტრიალებას, რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტიეს და მათგან აღსანიშნავი კვერენჩხილაძის გარღვევა იყო — ფორვარდი დასარტყმელ პოზიციაზე კი გავიდა, მაგრამ „გაგრას" საჯარიმოში დაეცა, მაგრამ არბიტრმა მატჩის გაგრძელება ბრძანა, რითაც მასპინძლებს ბოლო იმედიც გადაეწურათ.

საბოლოოდ, ფრე 2:2 და რაც „გურიამ" თბილისში „სპარტაკთან" მოახერხა, როცა 0:2-დან 2:2 გახადა, ახლა ლანჩხუთელებთან იგივე თასის მფლობელებმა შეძლეს.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან

16.03. მცხეთა. მცხეთა პარკი. 100 მაყურებელი

| ვიტ ჯორჯია | 1 |
|---|---|
| სპარტაკი | 0 |

1:0 კუხალეიშვილი (90. ჩიმაკაძის პასით)

| ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 | სპარტაკი 4-4-2 |
|---|---|
| რეჭია | ნადირაძე |
| დ. ხურცილავა | ჭაფოძე |
| გოგიაშვილი | ტეტუნაშვილი |
| კასრაძე | ლოგაია |
| ლანიაშვილი | ნ. მაისურაძე |
| ვასაძე | შარაშენიძე |
| გურ. გურეშიძე | მაჭავარიანი |
| კორიფაძე | ჩივაძე |
| გ. ჯანელიძე | გიორგი გურეშიძე |
| ზაქრაძე | გაბაშვილი |
| ჩიმაკაძე | ლ. მელქაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| მ. კოჭლაშვილი | ვ. ხაჩიძე |

**ვიტ ჯორჯია**

65. ზაქრაძე — **კუხალეიშვილი**
90. ჯანელიძე — **დავლაშელიძე**

*სათადარიგოები: დაუშვილი, ვ. ხურცილავა, ჯაყელი, ვაშაკიძე, ჯულელი*

**სპარტაკი**

70. ჩივაძე — **სამხარაძე**
80. გაბაშვილი — **ჩაფიძე**

სათადარიგოები: ბერია, გელაშვილი, მ. ჯიშკარიანი, მამუჩიშვილი, თუხარელი

გაფრთხილება: კასრაძე (23), შარაშენიძე (90+2)

არბიტრი: ლ. სილაგავა

# იღბლიანი შეცვლა

პლეი აუტში ვიტელებმა ზედიზედ მეორე საშინაო მატჩი ითამაშეს და უშუალო კონკურენტთან დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. "ვიტ ჯორჯიასა" და ცხინვალის „სპარტაკის" შეხვედრა მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობით დაიწყო, თუმცა საწყის წუთებში უფრო მწვავე მომენტები „სპარტაკის" ფეხბურთელებმა შექმნეს: **ლევან მელქაძის** შესანიშნავი გადაცემის შემდეგ მეკარესთან დარჩენილ **კონსტანტინე გაბაშვილს** შეეძლო გატანა, თუმცა მიზანმა უმტყუნა. მოგვიანებით კი თვითონ მელქაძე და ზაქრაძე შეეცადნენ შორი მანძილიდან ფონს გასვლას, თუმცა მათ დარტყმებს შედეგი არ მოჰყოლია.

აი, ამის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას" უპირატესობა ნათლად გამოიკვეთა. აქტიური გიორგი კორიფაძის სტანდარტულს გუნდის ცენტრალურმა მცველმა **ჯემალ გოგიაშვილმა** შეაგება თავი, ბურთი მცირედით ასცდა **გიორგი ნადირაძის** კარს. გატანის ჩინებული შანსი ქარს გაატანა **ბექა ზაქრაძემაც**.

გულხელდაკრეფილები არც სტუმრები იყვნენ, კონტრშეტევებით რომ ცდილობდნენ მოწინააღმდეგის კარის აღებას, მაგრამ კართან მისვლა უჭირდათ. მათ ერთ-ერთი დასამახსოვრებელი მომენტი ტაიმის ბოლოსკენ შეექმნათ, როდესაც **თეიმურაზ შარაშენიძის** კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს გაბაშვილი გამოეხმაურა, დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოუვიდა.

მეორე ნახევარში ვიტელთა უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. **გიორგი კორიფაძესა** და **რევაზ ლანიაშვილს** მიჯრით შეეძლოთ გოლის გატანა - მათ დარტყმებს სიზუსტე დააკლდათ. ბოლოსკენ „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელები დიდი ძალებით წავიდნენ წინ: ჯანელიძის, ლანიაშვილისა და ჩიმაკაძის გააზრებული კომბინაცია ამ უკანასკნელის არაზუსტი დარტყმით დასრულდა. აქვე ვთქვათ ისიც, რომ 89-ე წუთზე მასპინძელთა მცველების უხეში შეცდომის შედეგად ბურთი თეიმურაზ შარაშენიძეს მიუვიდა, რომელმაც მართალია, ძლიერად დაარტყა, თუმცა ბურთმა სანტიმეტრებით ჩაუქროლა მეტოქის კარს.

შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ **მერაბ კოჭლაშვილმა** შეცვლა გამოიცნო: მატჩის უკანასკნელ წუთს მასპინძელთა სამსვლიანი კომბინაცია, რომელსაც სათავე **გურამ გურეშიძემ** დაუდო და ბესიკ ჩიმაკაძემ განაგრძო, შეცვლაზე შემოსული **ლევან კუხალეიშვილის** ზუსტი დარტყმით დასრულდა.

მიმდინარე ჩემპიონატის დასრულებამდე დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ, თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „ვიტ ჯორჯიამ" უპრობლემოდ უნდა მოახერხოს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება.

**მატჩის შემდეგ**

**მერაბ კოჭლაშვილი („ვიტ ჯორჯია"):** *„მთელი მატჩის განმავლობაში მოედანზე ჩვენ ვდომინირებდით, შევქმენით რამდენიმე რეალური მომენტიც, თუმცა ბოლო წამამდე არ გაგვიმართლა. დაფიქსირებული შედეგი სავსებით ლოგიკური მიმაჩნია. მთავარი ბრძოლები წინ გვაქვს, ჩვენი მიზანი უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაა და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ."*

**ვლადიმერ ხაჩიძე („სპარტაკი"):** *„სხვადასხვა მიზეზის გამო გვაკლდა ძირითადის რამდენიმე მოთამაშე, გარდა ამისა, მეორე ტაიმში ფიზიკური დაღლა დაგვეტყო, რამაც საბოლოო შედეგზე მოახდინა გავლენა. დასანანი მარცხი ვიწვნიეთ, ვეცდებით ნაკლოვანებები უახლოესი თამაშებისთვის აღმოვფხვრათ."*

**ბესიკ გვაზავა**
მცხეთა-თბილისი

მოსაზრება

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვიფიქროთ მომავალ ზამთარზე

მიმდინარე სეზონის მსვლელობისას დიდთოვლობით გამოწვეულ პრობლემებზე იმდენი ვისაუბრეთ, რომ ამისგან ძალიან დავილალეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ თემას ჯერ ვერ შევეშვებით, რადგან თეთრი ნალექი საქართველოში კვლავაც მოდის და ეროვნული ჩემპიონატის გასული ტურის მატჩებიც გადადო. არც ის არის გამორიცხული, მეტეოროლოგიური პირობების გამო კალენდარი უახლოეს პერიოდშიც დაირღვეს, მაგრამ ასეც რომ არ მოხდეს, უდიდესი პრობლემა, სახელად თოვლი, აუცილებლად უნდა იქცეს განსჯის თემად. საპოვნელია გამოსავალიც. როგორმე მომავალ ზამთარს უფრო მომზადებულები უნდა შევხვდეთ და კლიმატური პრობლემების გამო ამდენი შეხვედრა აღარ უნდა გადაიდოს.

"ლელო" ამ თემას ახლო მომავალში კიდევ მიუბრუნდება და პრობლემის მოგვარების გზებზე კლუბებისა და ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელებს, დღეს კი "ზესტაფონის" პოზიციას წარმოგიდგენთ, რომელიც კლუბის პრესსამსახურის უფროსმა, **სერგო ფუტკარაძემ** ჩამოაყალიბა:

*"ფაქტია, რომ გასულმა ზამთარმა ქართულ ფეხბურთს სერიოზული დაბრკოლებები შეუქმნა. კლუბებმა მოსამზადებელი ეტაპის სრულყოფილად გასავლელად დიდი თანხა დახარჯეს, ამდენმა გადადებულმა მატჩმა კი უმაღლესლიგელები კალაპოტიდან ამოაგდო და ამხელა ხარჯი და შრომა ნაწილობრივ წყალში ჩაიყარა. ეს მხოლოდ "ზესტაფონის" სატკივარი არ არის, დიდთოვლობამ ზემოთ ნახსენები პრობლემები ყველა ქართულ კლუბს შეუქმნა.*

*აშკარაა, რომ ქართული საფეხბურთო ოჯახი მოვლენათა ასეთი განვითარებისთვის მზად არ აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ვთხოვოთ, გაგვიწიოს რეკომენდაცია, თუ როგორ შეიძლება მომავალში მაინც ავიცილოთ თავიდან ეს პრობლემა. ვიცით, რომ არსებობს სპეციალური საშუალებები – თუნდაც მოედნის გადასაფარებელი, რისი საშუალებითაც დიდთოვლობას ეფექტურად ებრძვიან ჩრდილოეთის ქვეყნები, სფფ-ს კი ვთხოვთ, საკუთარი კონტაქტების საშუალებით თოვლსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდოს. ჩვენ ამ საშუალებებს დიდი სიამოვნებით შევიძენთ და იმაზეც თანახმა ვართ, რომ ამ მოთხოვნამ ნორმატიული აქტის სახე მიიღოს. დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩვენს ინიციატივას სხვა კლუბებიც გაიზიარებენ.*

*აქვე ხაზს ვუსვამთ იმას, რომ გაზაფხული-შემოდგომის სისტემაზე გადასვლის კატეგორიული წინააღმდეგი ვართ".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

# თოვლმა აჭარასაც შეუტია

დღის პირველ ნახევარში ბათუმში ამინდს ისეთი პირი უჩანდა, რომ მატჩი უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ნაშუადღევს ისეთი თოვა დაიწყო, ციხისძირის უღელტეხილზე მოძრაობაც კი გაჩერდა.

ადელის სტადიონი საამმატჩოდ დახაზული იყო, ორივე გუნდი თამაშისთვის მზად გახლდათ, მაგრამ...

იყო მცდელობა, შეხვედრა ჩატარებულიყო, თუმცა თოვლის საფარი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ თამაში შეუძლებელი გახდა. მხოლოდ საფარში არ არის საქმე, ხილვადობაც ისეთია, მატჩის გამართვის საშუალებას რომ არ მოგვცემდა,— გვითხრა **ალექსანდრე კრიჭაშვილმა**, რომელიც ამ შეხვედრის არბიტრად გახლდათ დანიშნული და ვისაც უნდა მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება.

**დავით თავართქილაძე**
ბათუმიდან

| ბათუმი | ? |
|---|---|
| სიონი | ? |

**გადაიდო**

| მერცხალი | ? |
|---|---|
| ჩიხურა | ? |

**გადაიდო**

## პლეი აუტი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვიტ ჯორჯია | 2 | 2 | 0 | 0 | 3 | 0 | 6 |
| 2 | გაგრა | 2 | 1 | 1 | 0 | 4 | 2 | 4 |
| 3 | სიონი | 1 | 1 | 0 | 0 | 3 | 1 | 3 |
| 4 | გურია | 2 | 0 | 2 | 0 | 4 | 4 | 2 |
| 5 | სპარტაკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2 | 3 | 1 |
| 6 | ჩიხურა | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 3 | 0 |
| 7 | დინამო (ბთ) | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 |
| 8 | მერცხალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 0 |

**III ტური**

**20 მარტი, სამშაბათი**

სპარტაკი-მერცხალი
გაგრა-ვიტ ჯორჯია
სიონი-გურია
ჩიხურა-დინამო (ბთ)

საფეხბურთო კლუბი „დილა" თანაგრძნობას უცხადებს ამავე კლუბის პრესატაშეს ზურაბ კარტოზიას დედის გარდაცვალების გამო.

● სავარაუდო ტრანსფერი

# ხიზანეიშვილი დინამოში?



ოთარ ხიზანეიშვილი

30 წლის **ოთარ ხიზანეიშვილი** იანვარში უკრაინულ „ოლექსანდრიაში" სინჯებზე მიიწვიეს და გუნდს თურქულ შეკრებაზე გაჰყვა. გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნულ **ლეონიდ ბურიაკს** ქართველი მცველი მოეწონა და მის აყვანას აპირებდა.

გამოცდილი მცველის მამამ, **დავით ხიზანეიშვილმა** გვითხრა კიდეც, რომ უკრაინელებმა ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმება შესთავაზეს. მაგრამ მოსამზადებელ ეტაპზე ხიზანეიშვილი „ოლექსანდრიას" შემადგენლობაში ერთხელაც არ გამოჩენილა. უკრაინულ გუნდში ჩარიცხულმა **ლევან გულორდავამ** განმარტა, რომ ოთარი შეკრებაზე დაშავდა და კიევში მკურნალობდა.

გუშინ გვაცნობეს, რომ საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი, შესაძლოა, თბილისის "დინამოში" დაბრუნდეს. ინფორმაცია "დინამოს" გენერალურ დირექტორთან, **სანდრო შახოვთან** გადავამოწმეთ, რომელმაც ფეხბურთელთან მოლაპარაკება დაგვიდასტურა, თუმცა, ჯერ საკითხი არ გადაწყვეტილაო.

შეგახსენებთ, რომ ოთარ ხიზანეიშვილს საქართველოს ნაკრებში დებიუტი 17 წლისას ჰოლანდიელი **იოჰან ბოსკამპის** დროს ჰქონდა, სულ "ჯვაროსნების" ფორმა 20-ჯერ მოირგო, ბოლოს - 2007 წელს **კლაუს ტოპმიოლერმა** ათამაშა.

ხიზანეიშვილს უთამაშია თბილისის „დინამოში", მოსკოვის „სპარტაკში", მოსკოვის „დინამოში", გერმანულ „ფრაიბურგსა" და „აუგსბურგში", მახაჩყალის „ანჟიში", გასული წლის ზაფხულიდან კი ყაზახურ „ვოსტოკში" გამოდიოდა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

# ქეცბაია ფოფხაძეს საქმეში ნახავს



გიორგი ფოფხაძე

**გიორგი ფოფხაძე** ავსტრიულ კლუბში, გრაცის "შტურმში" შარშან ზაფხულს "ზესტაფონიდან" გადავიდა. მაშინ ფეხბურთელი იმედოვნებდა, რომ ამ ტრანსფერის შემდეგ ეროვნულ ნაკრებში დააბრუნებდნენ.

ამ ტრანსფერიდან ოთხ თვეში "ჯვაროსნების" კაპიტანმა **კახა კალაძემ** ნაკრებიდან წასვლაზე განცხადება გააკეთა და გიორგის, რომელიც ასევე მარცხენა მცველია, იმედი გაუძლიერდა. ის ამ დროისთვის ხომ ავსტრიელთა ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე გახდა. თუმცა, **თემურ ქეცბაიამ** 29 თებერვალს ალბანეთთან ჩატარებულ ამხანაგურ შეხვედრაში არ მიიწვია.

ამაზე ფოფხაძე ნაწყენი დარჩა, რაც "ლელოსთან" მცირე ხნის წინ მიცემულ ინტერვიუშიც განაცხადა: *"უყურადღებობა მწყინს, მაგრამ უფრო მოტივირებული ვხდები. რომ არ მწყინდეს, ეს უფრო ცუდი იქნებოდა. „შტურმი" სწორედ იმიტომ ავარჩიე, ვიფიქრე, აქ თავის გამოჩენის მეტი შანსი მექნებოდა და საქართველოს ნაკრებში გამომიძახებდნენ, თუმცა იმედი ჯერაც არ გადამიწურავს".*

როგორც ჩანს, გიორგის მოთმინება დაუფასდა: შევიტყვეთ, რომ ქეცბაია ფოფხაძით დაინტერესდა, 15 მარტს პირადად დაუკავშირდა, "შტურმის" თამაშების გრაფიკი შეიტყო და გადაწყვიტა, რომ მომავალ შაბათს, ანუ 24 მარტს ვენაში "აუსტრიასთან" მატჩში დააკვირდება.

25 წლის გიორგი ფოფხაძემ კარიერა 2004 წელს "თბილისში" დაიწყო. 2006 წლის დასაწყისში მისით საბერძნეთის "ოლიმპიაკოსი" დაინტერესდა და პირეოსელთა დუბლშემადგენლობაში თამაშობდა, მაგრამ ბერძნულ კლუბში დიდხანს აღარ გაჩერდა. 2006 წლის ზაფხულში დანიურ "ვიბორგში" ჩაირიცხა, სადაც მალე მოიპოვა ფანების სიყვარული და მათ კლუბის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს.

2006-2008 წლებში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში 15 მატჩი ჩაატარა, ეროვნულ გუნდში დებიუტი კი 2006 წელს ჰქონდა და სულ მისი ფორმა 7-ჯერ მოირგო. აღსანიშნავია, რომ გიორგის საბერძნეთის მოქალაქეობას სთავაზობდნენ და საქართველოს ნაკრებში მისი გამოძახებით ბერძნები იმედგაცრუებულები დარჩნენ.

**მერაბ მამულაშვილი**

## დავით ჩაგელიშვილი:
# სად ნახეს მომენტი?



დავით ჩაგელიშვილი

გორის „დილას" ყოფილი თავდამსხმელი **დავით ჩაგელიშვილი** კოკშეტაუს „ოკჟეტპესში" სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე მცირე ხნით ადრე ჩაირიცხა. 25 წლის თავდამსხმელმა ყაზახეთში სადებიუტო შეხვედრაც ჩაატარა. უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული „ოკჟეტპესი" ქვეყნის პრემიერლიგის პირველ ტურში შინ "აკჟაიიკთან" 0:3 დამარცხდა.

ქართველმა თავდამსხმელმა თამაში ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და 57-ე წუთზე შეცვალეს. ყაზახური ინტერნეტგაზეთ „სპორტს.კზ"-ს ცნობით, ჩაგელიშვილი აქტიური იყო, მაგრამ რამდენიმე საგოლე მომენტი გააფუჭა.

ამ ცნობამ ჩაგელიშვილი ხუმრობის ხასიათზე მოიყვანა: *"არა, რა მომენტები? ხეირიანი არაფერი გაგვიკეთებია და ერთი სახიფათო შეტევაც ვერ განვახორციელეთ. ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე თოვლი იდო და მეორე მოედანზე გვათამაშეს, სადაც უხარისხო საფარი იყო. თამაში გაგვიჭირდა და ბავშვური შეცდომების გამო წავაგეთ. მეორე ტაიმში თავდამსხმელი ბურთზე წაიქცა და მოგონილი პენალტი დაგვიდეს; მერე ორი კურიოზული ბურთი გავუშვით: ჯერ მცველს აებლანდა ბურთი ფეხებში, მესამე გოლზე კი ჩვენმა მეკარემ ბურთი სტუმართა თავდამსხმელს მიაწოდა და 0:3 წავაგეთ. მოკლედ, გარედან რომ გეყურებინათ, "კომედი შოუ" გეგონებოდათ. რამდენი წელია ვთამაშობ, მაგრამ ასეთი რამ პირველად ვნახე. ეტყობა, ამის დაწერა შერცხვათ და ჩემი მომენტები მოიგონეს. რაც ვნახე, კარგი მწვრთნელი გვყავს, მაგრამ მეკარე და დაცვა "საოცრებებს" სჩადიან. მეორე თამაში ალმატიში გვაქვს და მატარებლით 27-საათიანი მგზავრობა გვიწევდა, მაგრამ თავს შეუძლოდ ვგრძნობდი და მწვრთნელმა კოკშეტაუში დამტოვა. საერთოდ კი, გუნდს შევეგუე, ნორმალური ბიჭები არიან და გუნდშიც ნორმალური სიტუაციაა".*

**მერაბ მამულაშვილი**

# 1 კვირის 1000 ჯენტლმანი

დავით თავართქილაძე

# ჭუჭყიანი შარვლები

ამბობენ, რომ ინგლისში ველარ ნახავთ რძისფერ ნისლს და ვერც ისეთ ჯენტლმენებს, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ქალბატონებს ადგილს რომ უთმობენ.

ჯენტლმენობა არც ხელობაა და არც მოწოდება, ასეთი უნდა იყო, ასეთად ყოფნა უნდა მოგწონდეს. ჯენტლმენობა ყველგან ძვირი სანახავი გახდა, თითქოს გადაშენდა, ჯენტლმენობა ქონებასავით არის, რომელიც ზოგს მოსდგამს, ზოგს კი - არა.

არც ერთ ბურჟუას არ უყვარს, როცა მას სოვდაგარს ეძახიან და მისი ჯენტლმენობისა არ სჯერათ. პიარს ბევრი რამე შეუძლია, მაგრამ ყოვლისშემძლე ისიც ვერ იქნება, ჯენტლმენობაც ისეთია, პიარით რომ ვერ შექმნი.

ერთხელ, ერთი ქართული კლუბის პრეზიდენტმა თავის ფეხბურთელებს უთხრა, შეკრებაზე ანთალიაში გიშვებთ, ოღონდაც თვითმფრინავის ბილეთები არ არის და იძულებული ვარ, იქ ავტობუსით გაგიშვათო. თვითმფრინავის ბილეთი ავტობუსით მგზავრობაზე ძვირია, ჰოდა ერთმა ფეხბურთელმაც არ დაიჯერა პრეზიდენტის სიტყვა, წავიდა სააგენტოში, იშოვა ანთალიაში გასამგზავრებელი ავიაბილეთები და ამის შესახებ პრეზიდენტს მოახსენა. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ პრეზიდენტმა ამ ფეხბურთელს შეღავათი გაუწია, უფულოდ უბოძა გათავისუფლების ფურცელი, გზებიც დამილოცნია და თავი დამანებეო.

მილეთმა ბევრი არაფერი იცის ასეთ პრეზიდენტებზე და ალბათ არც არის საჭირო, რომ იცოდეს. ბევრისმცოდნე კაცი რაღაცით კურტნის მუშას ჰგავს, დამძიმებულია და კლოუნები მას ვერ გაართობენ.

ამასწინათ ტელევიზიაში თურმე ერთ ქომაგს დაურეკავს და უკითხავს, მართალია, რომ **დომენტი სიჭინავა** ცირკში ბრუნდება, ხოლო ფეხბურთის ფედერაცია ზუგდიდში გადადისო?

ვაჟა სიმონიშვილის
კარიკატურა




ირონია ხანდახან ისევე დასაფასაბელია, როგორც ჯენტლმენობა. ირონია სათუთი რამეა, შეურაცხყოფაში თუ გადავიდა, უფასურდება. ჯენტლმენობაც მასეა, თავისი მკაცრი ჩარჩოები აქვს, მაგრად შეგეშალა ვინმესთან და, კარგად იყავი.

საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც ადამიანი პრიორიტეტი ჯერაც ვერ გახდა. ამით ბევრი სარგებლობს, მათ შორის ზოგი პრეზიდენტიც. მათ თავიანთი კონიუნქტურა აქვთ, ფულს ხარჯავენ და ჰგონიათ, რომ ყველაფრის უფლება გააჩნიათ.

ასეთმა პრეზიდენტებმა კარგად იციან, როგორ ათქმევინონ მწვრთნელს, საკუთარი ნებით გადავდექიო. კარგად იციან, თუ როგორ გაუშვან ფეხბურთელი გუნდიდან, როგორ მოიყვანონ გუნდში ისეთი მწვრთნელი, ფეხბურთელის ტრანსფერის წილში რომ ჩაუჯდება. ასეთი პრეზიდენტების ბოლო ის არის, რომ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში ხმას დომენტი სიჭინავას აძლევენ.

ეს ჯენტლმენობა კი მელოდრამას ემსგავსება, ძველმოდური გახდა, ყავლი გაუვიდა.

ალბიონზე ფეხბურთი ნისლისა და ჯენტლმენების გარეშეც უყვართ, იქ სხვანაირად მოსდგამთ ფეხბურთის სიყვარული, იქ სხვანაირად ფასობს ადამიანი. იქაც ბევრი რამე იცვლება იმ პრიორიტეტის გარდა, რომელიც კაცობრიობის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

გუშინ საქართველოს ჩემპიონატის ტური იყო ადელიდან მცხეთამდე გადაჭიმული. სტადიონზე მისულმა ხალხმა ქართულ ფეხბურთზე მხოლოდ ნახევარსიმართლე თუ იცის და ამაში განსაკუთრებული ალბათ არაფერია, ფეხბურთი ასედაც ძალიან გემრიელია, პრეზიდენტების ამბები კი ოდენ დანამატია.

სტეინბეკის ერთი გმირი ამბობს, ჭუჭყიანი შარვალივით დავათრევ ცოდვებს კეთილ ხალხშიო. ჩვენს პრეზიდენტებს კი ამის თქმა არ შეუძლიათ, მათ ეს არ მოსდგამთ.

ესპანეთი. ლა ლიგა. XXVII ტურის წინ

# ის სულ სხვაა, როცა რეალს ამარცხებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბარსელონა აბიდალისთვის იბრძოლებს



ბარსელონაში საგანგებო სიტუაციაა

გუშინდელმა კენჭისყრამ, ცოტა არ იყოს, ჩრდილში მოაქცია მომავალი ტური. მადრიდში ხარობენ (ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ობიექტურად ყველაზე სუსტი, კვიპროსული აპოელ-ი ერგოთ), ბარსელონაში ჩაფიქრდნენ (მეტოქე ხომ „მილანია"). ევროპალიგაზე დარჩენილი ტრიო („ატლეტიკო", „ბილბაო" და „ვალენსია") თავიანთ მეტოქეებს წონიან. არადა, ტური კარს მოგვადგა, ტური, რომელიც სავარაუდოდ, კიდევ უფრო დაძაბავს საჩემპიონთალიგო საგზურებისთვის ბრძოლას.

ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებისთვის მებრძოლი „ბარსელონა" ცუდი განწყობით მიდის სევილიაში, „სანჩეს პისხუანზე" სათამაშოდ: გუნდის 32 წლის მცველ **ერიკ აბიდალს** ორგანოს გადანერგვა ესაჭიროება. ფრანგის კარიერა მეორედ დადგა საფრთხის წინაშე, თუმცა კარიერას ვინ ჩივის... მოკლედ, **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი დამძიმებული ხასიათით გავა ტურის მატჩზე (აბიდალის ამბავი, კენჭისყრის უბედობა).

„რეალს" საკმაოდ ძლიერი მეტოქე ჰყავს, მე-4 ადგილზე მყოფი „მალაგა", თუმცა ამ გუნდს, ტრადიციულად, უჭირს „სამეფო კლუბთან" გამკლავება. შეგახსენებთ, რომ **მანუელ პელეგრინი**, ანდალუსიელთა ახლანდელი თავკაცი, მანამდე „რეალის" მწვრთნელი იყო.

არაფერი დაეწუნება მატჩს „სან მამესზე" - „ბილბაოსა" და „ვალენსიას" შორის. ევროპალიგის მერვედფინალის ტრიუმფატორები ახლა ერთმანეთს გამოცდიან. კიდევ, 27-ე ტურის „მენიუში" ვალენსიური დერბია.

### უკან დასახევი გზა მოჭრილია

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც „ბარსა" საუკეთესო განწყობაზე ვერ იქნება - გუშინ კლუბის ლეგენდარული ფორვარდი **ესტანისლაუ ბასორა** გარდაიცვალა, „ხუთი თასის მომგები" ლეგენდარული გუნდიდან. ბასორა 50-იანი წლების ერთ-ერთი გამორჩეული გარემარბი იყო. ბასორა 85 წლის იყო.

*„უკან დასახევი გზა მოჭრილია - ხვალ ჩვენ „სანჩეს პისხუანზე" უნდა გავიდეთ და კიდევ ერთხელ დავამტკიცოთ, რა შეგვიძლია"*, - განაცხადა პრესკონფერენციაზე პეპმა. მწვრთნელმა არ დაივიწყა აბიდალი და აღნიშნა, რომ ერიკის მონდომება და ბრძოლის უნარი მუდამ აოცებდა და აღაფრთოვანებდა: *„დამიჯერეთ, მისი გადასაწყვეტი რომ იყოს, ხვალ აბიდალი სათამაშოდ გავიდოდა მიუხედავად ყველაფრისა"*.

მწვრთნელმა უკვე დაასახელა ის 19 ფეხბურთელი, ვისაც სევილიაში იახლებს. პირველი გუნდის 17 ფეხბურთელს **კრისტიან ტელიო** (ეს უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა) და **მარკ მუნიესა** დაემატნენ. გამოჯანმრთელდნენ **ტიაგო ალკანტარა** და **ალექსის სანჩესი**.

არანაკლები პრობლემით ხვდება „ბარსას" **მიჩელის** „სევილია". ანდალუსიური გუნდი ცუდ ფორმაშია და 33 ქულით ოდენ მე-11 ადგილზეა. მართალია, ესპანეთის ნაკრების ფორვარდი **ალვარო ნეგრედო** ვარჯიშებს დაუბრუნდა, მაგრამ მას ჯერ გუნდთან ერთად არ უვარჯიშია, ინდივიდუალურად გაისარჯა და ძნელი წარმოსადგენია, „ბარსასთან" მატჩში ვიხილოთ. საეჭვოა **ხესუს ნავასის, ფრედერიკ კანუტეს** და **გარი მედელის** თამაშიც, ოღონდ, მათ გაცილებით მეტი შანსი აქვთ, მოედანზე გამოვიდნენ, ვიდრე - ნეგრედოს.

ამ გუნდების ბოლო დაპირისპირებაში სასწაულები აკეთა ანდალუსიელთა მეკარე **ხავი ვარასმა**, მან „ბარსას" „კამპ ნოუზე" არ გაატანინა. ახლა ვარასის ადგილი ვეტერანმა **პალოპმა** დაიკავა (რაც გუნდს მიჩელი ჩაუდგა სათავეში).

სავარაუდო შემადგენლობები

**სევილია:** *პალოპი - კოკე, ესკუდე, კალა, ნავარო - მედელი - ნავასი, რაკიტიჩი, ტროხოვსკი, რეიესი - კანუტე.*

**ბარსელონა:** *ვალდესი - დ. ალვეში, პიკე, მასკერანო, ადრიანო - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - მესი, ფაბრეგასი, პედრო.*

### კასორლა რეალის დამარცხებას აპირებს

„მალაგასთან" თამაში კვირის პროგრამას ასრულებს. გუშინ **ჟოზე მოურინიომ** 26 ფეხბურთელი შეკრიბა „ვალდებებასის" ბაზაზე. ვარჯიში განაახლა პორტუგალიელმა **ფაბიო კოენტრაომ**, მას კვირამდე საკმაო დრო აქვს, რომ ბოლომდე გამოჯანმრთელდეს. 26-დან 4 „რეალ კასტილიას" წევრი ვარჯიშობდა პირველ გუნდთან ერთად: **მეხიასი, ხესე, მორატა** და **კასადო**. სავარაუდოდ, ჟოზეს ძალთა გადანაწილება მოუწევს. ამიტომ „მალაგასთან" შეხვედრას ალბათ **ქარიმ ბენზემა** დაიწყებს და არა **გონსალო იგუაინი. სამი ხედირას** კი **ლასანა დიარა** შეცვლის, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდებია.

ამასობაში მეტოქეს თავი ყინჩად უჭირავს. მათი ერთ-ერთი ლიდერი **სანტი კასორლა** არ გამორიცხავს, რომ „მალაგამ" „სანტიაგო ბერნაბეუზე" მოსაგებად ითამაშოს და მიზანსაც მიაღწიოს: *„რაღაც განსაკუთრებული გრძნობაა, როცა „რეალს" ამარცხებს. მე ერთხელ უკვე განვიცადე და მინდა, რომ კიდევ გავიმეორო"*, - განაცხადა კასორლამ. ანდალუსიელთა მთავარი პრობლემა ფრანგი საყრდენი ნახევარმცველის, **ჟერემი ტულალანის** ტრავმაა.

### დღეს

**ხეტაფე-სოსიედადი 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** კატა დიასი (ხეტ)
**ტრავმა:** მასილელა (?), მოია (?), ვალერა (?), ბარადა (?), უსტარი, ლოპო (ხეტ)

**გრანადა-სპორტინგი 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** ენრიკე (გრან)
**ტრავმა:** რიკო (?), დიახატე, უჩე (?), იებდა, რობერტო (?) - დე ლას კუევასი, გრეგორი (?)

**სარაგოსა-ოსასუნა 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** ლანძარო - ფლანიო
**ტრავმა:** პოშტიგა - რიკარდო, ლოლო, იბრაჰიმა, ლეკიჩი, მასუდი

**სევილია-ბარსელონა 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** ფასიო (სევ)
**ტრავმა:** სპაჰიჩი (?), ხესუს ნავასი (?), კანუტე (?), ნეგრედო - აფელაი, ფონტასი, ვილია, აბიდალი

**ვალეკანო-ბეტისი 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** ლ. ბანგურა (ვალ)
**ტრავმა:** ლაბაკა, პიტი (?), ხიმენესი (?) - მონტერო (?), სევილია (?), უსტარიცი

### ხვალ

**ლევანტე-ვილიარეალი 15:00**

**ტრავმა:** ხუანფრანი (?), ბარკერო (?), ხუწნლუ - ორიოლი (?), კანი (?), ბ. ვალერო (?), კატალა, როსი

**მალიორკა-ატლეტიკო 19:00**

**ტრავმა:** ტისონე (?), პინა - ტიაგო (?), ლოპესი (?), სილვიო, დიეგო

**ბილბაო-ვალენსია 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** ამორებიეტა, ტოკერო - ტ. კოსტა
**ტრავმა:** ლორენტე (?), ოსიო, გურპეგი, კასტილიო - კანალესი, ბანეგა, მიგელი, კოშტა (?)

**რეალი-მალაგა 00:30**

**ტრავმა:** დი მარია, ფ. კოენტრაო - ტულალანი, ბაპტიშტა, რონდონი (?)

### ზეგ

**ესპანიოლი-რასინგი 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბაენა (ესპ)
**ტრავმა:** მატიონი, მარკესი (?), ალვარესი, სანჩესი, როდრიგესი (ესპ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 26 | 23 | 1 | 2 | 88-23 | 70 |
| 2. ბარსელონა | 26 | 18 | 6 | 2 | 75-19 | 60 |
| 3. ვალენსია | 26 | 12 | 8 | 6 | 40-31 | 44 |
| 4. მალაგა | 26 | 12 | 4 | 10 | 37-37 | 40 |
| 5. ლევანტე | 26 | 11 | 5 | 10 | 37-37 | 38 |
| 6. ოსასუნა | 26 | 9 | 11 | 6 | 31-40 | 38 |
| 7. ბილბაო | 26 | 9 | 10 | 7 | 42-34 | 37 |
| 8. ატლეტიკო | 26 | 9 | 9 | 8 | 36-31 | 36 |
| 9. ესპანიოლი | 26 | 10 | 6 | 10 | 32-35 | 36 |
| 10. ვალეკანო | 26 | 10 | 4 | 12 | 37-43 | 34 |
| 11. სევილია | 26 | 8 | 9 | 9 | 27-29 | 33 |
| 12. სოსიედადი | 26 | 9 | 6 | 11 | 30-36 | 33 |
| 13. ხეტაფე | 26 | 8 | 8 | 10 | 27-35 | 32 |
| 14. მალიორკა | 26 | 7 | 9 | 10 | 26-32 | 30 |
| 15. ბეტისი | 26 | 9 | 3 | 14 | 31-38 | 30 |
| 16. გრანადა | 26 | 8 | 4 | 14 | 22-37 | 28 |
| 17. ვილიარეალი | 26 | 6 | 9 | 11 | 27-40 | 27 |
| 18. რასინგი | 26 | 4 | 12 | 10 | 21-37 | 24 |
| 19. სპორტინგი | 26 | 6 | 6 | 14 | 24-48 | 24 |
| 20. სარაგოსა | 26 | 4 | 6 | 16 | 21-49 | 18 |

**ბომბარდირები:** 32 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 30 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - გონსალო იგუაინი (რეალი); 16 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

ბარსელონა

# ახალი კამპ ნოუ?



„ელ მუნდო დეპორტივოს" ინფორმაციით, „ბარსელონა" ახალი, 110 ათას გულშემატკივარზე გათვალისწინებული სტადიონის აშენებას აპირებს. კლუბის პრეზიდენტი **სანდრო როსელი** ამ ინიციატივით სერიოზულად ყოფილა დაინტერესებული. ამ იდეას მხარს ბარსელონას მერი **ხავიერ ტრიასიც** უჭერს, რომლის აზრითაც ახალი სტადიონი „კამპ ნოუს" გვერდითაც შეიძლება აშენდეს, დიაგონალის გამზირზე.

კომპანია მკმ-მ უკვე წარმოადგინა ახალი სტადიონის აშენების ეკონომიკური გეგმა. ეს სწორედ ის კომპანიაა, რომლის წყალობითაც აშენდა „ბარსელონას" აკადემიის (ლა მასია) ახალი შენობა. კომპანიის ხელმძღვანელების მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი მოგება ნახოს კლუბმა და კომპანიამ სარეკლამო ბანერებიდან, რომელთა განთავსება სტადიონის ფასადზეც არის გათვალისწინებული.

„კამპ ნოუ" 1957 წელს გაიხსნა, მას მერე ორჯერ განიცადა რეკონსტრუქცია (1994 და 2008), ხოლო 1982 წელს გაიზარდა სტადიონის ტევადობა. ახლა „კამპ ნოუ" 99 354 გულშემატკივარს იტევს.

გვერდი მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**



# უცხოური ფეხბურთი

● სერია A. XXVIII ტურის წინ

# ცხელი ბატალიები ცივი შხაპის შემდეგ

### დღეს

**პარმა-მილანი** 21.00

**დისკვალიფიკაცია:** მექსე (მილანი).

**ტრავმა:** გობი, პალადინო - პატო, ბოატენგი, მერკელი, შტრასერი, კასანო, ნესტა, აბატე, რობინიო, ვან ბომელი.

**ფიორენტინა-იუვენტუსი** 23.45

**ტრავმა:** კროლდრუპი, იოვეტიჩი - ბარცალი.

### ხვალ

**კალიარი-ჩეზენა** 15.30

**დისკვალიფიკაცია:** პუდილი, ჩეკარელი (ჩეზენა).

**ტრავმა:** ელ ქაბირი, დესენა, სამპაიო, ერიკსონი - გუანა, ფონ ბერგენი, იაკვინტა, მარტინესი.

**ბოლონია-კიევო** 18.00

**ტრავმა:** კაზარინი, ხიმენესი, გარიჩი - გულანი, სარდო, მორერო.

**კატანია-ლაციო** 18.00

**დისკვალიფიკაცია:** გონსალესი, მათუზალემი (ლაციო).

**ტრავმა:** ბიაჯანტი, პოტენცა, მოტა - გარიდო, სტანკევიჩუსი, ლულიჩი.

**ინტერი-ატალანტა** 18.00

**ტრავმა:** გუარინი, სნეიდერი, ალვარესი - ბრიგი, სტენდარდო, ლუკინი, კაპელი, ტირიბოკი.

**ლეჩე-პალერმო** 18.00

**დისკვალიფიკაცია:** მიკოლი, პიზანო, ბარეტო (პალერმო).

**ტრავმა:** გროსმიულერი, კაროციერი, ჟულიო სერჟიო - ბაჩინოვიჩი, სილვესტრი.

**სიენა-ნოვარა** 18.00

**ტრავმა:** ბოლცონი, დაგოსტინო, კონტინი, კალაიო - ლუდი, მარიანინი.

**უდინეზე-ნაპოლი** 23.45

**ტრავმა:** ბასტა, ბადუ - გრავა, დონადელი, მაჯო.

### ზეგ

**რომა-ჯენოა** 23.45

**ტრავმა:** ტოტი, ბურდისო, ჟუანი, პიანიჩი - კუჩკა, ანტონელი, ბოვო, გრანკვისტი.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 27 | 17 | 6 | 4 | 55-22 | 57 |
| 2. იუვენტუსი | 27 | 13 | 14 | 0 | 39-17 | 53 |
| 3. ლაციო | 27 | 14 | 6 | 7 | 42-33 | 48 |
| 4. ნაპოლი | 27 | 12 | 10 | 5 | 50-28 | 46 |
| 5. უდინეზე | 27 | 13 | 7 | 7 | 37-24 | 46 |
| 6. რომა | 27 | 12 | 5 | 10 | 40-33 | 41 |
| 7. ინტერი | 27 | 12 | 4 | 11 | 38-36 | 40 |
| 8. კატანია | 27 | 9 | 11 | 7 | 35-35 | 38 |
| 9. ბოლონია | 27 | 9 | 8 | 10 | 29-31 | 35 |
| 10. პალერმო | 27 | 10 | 4 | 13 | 39-44 | 34 |
| 11. კიევო | 27 | 9 | 7 | 11 | 22-33 | 34 |
| 12. ატალანტა | 27 | 9 | 12 | 6 | 31-29 | 33 |
| 13. ჯენოა | 27 | 9 | 6 | 12 | 35-48 | 33 |
| 14. სიენა | 27 | 8 | 8 | 11 | 32-28 | 32 |
| 15. ფიორენტინა | 27 | 8 | 8 | 11 | 27-28 | 32 |
| 16. კალიარი | 27 | 7 | 10 | 10 | 26-35 | 31 |
| 17. პარმა | 27 | 7 | 10 | 10 | 33-42 | 31 |
| 18. ლეჩე | 27 | 6 | 7 | 14 | 30-44 | 25 |
| 19. ნოვარა | 27 | 4 | 8 | 15 | 22-46 | 20 |
| 20. ჩეზენა | 27 | 4 | 5 | 18 | 16-42 | 17 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

ბომბარდირები: 19 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 18 – დი ნატალე (უდინეზე); 16 - კავანი (ნაპოლი); 15 - დენისი (ატალანტა); 14 – პალასიო (ჯენოა), მილიტო (ინტერი).



ფლორენციაში „იუვეს" მტრულად დახვდებიან

როდესაც გაცხადდა, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ეტაპზე იტალიას ყველაზე მეტი, სამი გუნდი ეყოლებოდა - აპენინებზე სიამაყით ალაპარაკდნენ იმაზე, რომ კალჩო ძველი დიდების დაბრუნების გზას დაადგა. ლაპარაკია იმ დროზე, როდესაც იტალიური გუნდები ერთი-მეორეს მიყოლებით იგებდნენ ევროპულ საკლუბო ტურნირებს... ამ კვირას კი აშკარად ცივი წყლის ეფექტი ჰქონდა - ჯერ „ინტერი" გამოვარდა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან, შემდეგ მისი ბედი „ნაპოლიმ" გაიზიარა და ბოლოს, „უდინეზემაც" შეირცხვინა თავი. იქამდე, „მილანმა" „არსენალთან" კინაღამ 4-ბურთიანი ფორა გაანიავა და საშვილიშვილოდ მოიჭრა თავი. ასეა თუ ისე, წინ სერია A-ს მორიგი ტურია, რომელიც ბევრ საინტერესო პაექრობას გვპირდება. მოკლედ, აპენინებზე ცივი შხაპის შემდეგ, ცხელი ბატალიების მოლოდინში არიან...

## სკუდეტოსთვის

სკუდეტოს მაძიებლები დღეს გამართავენ შეხვედრებს, „მილანი" „პარმას" ესტუმრება, „იუვენტუსი" კი ფლორენციაში ჩადის, სადაც „ფიორენტინასთან" მოუწევს შეტოქება. ჯერ ემილიაში დაგეგმილ პაექრობაზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა, სადაც ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი და ერთპიროვნული ლიდერი იასპარეზებს.

„მილანის" ლაზარეთი რომ სავსეა, ძველი ამბავია და თუ მაინც არ გჯერათ, შეგიძლიათ ტრავმირებულ ფეხბურთელთა ჩამონათვალს გადახედოთ. ბოლო დღეებში ლომბარდიელებმა კიდევ ორი მოთამაშე დაკარგეს, **რობინიო** და **ინაციო აბატე**. სამაგიეროდ, **მაქსი ლოპესი** გამოჯანმრთელდა და „პარმასთან" შეხვედრაში სავარაუდოდ თადარიგში იქნება. **მასიმილიანო ალეგრი** ტრადიციულად 4-3-1-2 ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** და **სტეფან ელ შაარავის** ტანდემს დაეყრდნობა. „მილანი" ფავორიტია, მაგრამ იოლად არც ემილიელები დათმობენ რამეს და წესით, კარგი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს.

რაც შეეხება „პარმას", **სებასტიან ჯოვინკო** სრულ მზადყოფნაშია და მას ალბათ **სერჯო ფლოკარისთან** ტანდემში მოუწევს ასპარეზობა. ბოლოს, სიტყვა „პარმას" მთავარ მწვრთნელს, **რობერტო დონადონის** გადავცეთ, რომელმაც მთელი კარიერა „როსონერიში" გაატარა და დღეს, მშობლიური გუნდის მეტოქე იქნება - მოვუსმინოთ დონადონის:

*„ფავორიტი, რა თქმა უნდა, „მილანია", მაგრამ იოლად არაფერს დავთმობთ. მით უმეტეს, საკუთარ მოედანზე გვიწევს თამაში და არ გვაქვს უფლება, რომ გულშემატკივრები გავაწბილოთ. „როსონერიში" მთელი კარიერა მაქვს გატარებული და ამ გუნდის ქომაგად დღემდე ვრჩები, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ამ თამაშის წინ რაღაც განსაკუთრებულად ემოციური ვარ. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ და კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ „მილანის" წინააღმდეგ კიდევ არაერთხელ გავიყვან გუნდს".*

**პარმა-მილანი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პარმა (3-5-2):** მირანტე - ძაკარდო, პალეტა, ლუკარელი - ბიაბიანი, ვალიანი, მუსაჩი, მარიგა, მოდესტო - ჯოვინკო, ფლოკარი.

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - ძამბროტა, ბონერა, ტიაგო სილვა, მესბა - ნოჩერინო, ამბროზინი, მუნტარი - ემანუელსონი - ელ შაარავი, იბრაჰიმოვიჩი.

## პრინციპული მეტოქეები

„არტემიო ფრანკიზე" პრინციპული და ისტორიული მეტოქეების ჯახია. ფლორენციელებმა ჯერ კიდევ მაშინ აითვალწუნეს ტურინელები, როდესაც „იუვენტუსმა" **რობერტო ბაჯოში** 25 მილიარდი ლირა გადაიხადა და მაგიური ცხენისკუდა „ფიორენტინას" გამოამშვიდობა. ფლორენციაში „იუვე" არ უყვართ, აუცილებლად მტრულად დახვდებიან და დანარჩენი უკვე უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება.

„იუვენტუსი" ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშაა - ამდენი ყაიმის შემდეგ, გულშემატკივარი გამარჯვებას და სამ ქულას ითხოვს. სამაგიეროდ, ჩასაფრებულნი არიან ჟურნალისტები, რომლებსაც **ანტონიო კონტემ** სულაც ბოიკოტი გამოუცხადა. კიდევ ერთი ფრე, ან მით უმეტეს მარცხი და „იუვეს" თავკაცს ალბათ მიწასთან გაასწორებენ.

კონტე 4-3-3 ტაქტიკას აირჩევს და შეტევის წინა ხაზზე **ვუჩინიჩი-პეპე-ბორიელოს** ტრიოს გაამწესებს. ბოლო დროს, ტურინელებს შეტევაში გაუჭირდათ და სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას **ანდრეა პირლო** - მოვუსმინოთ „იუვენტუსის" ერთ-ერთ ლიდერს: *„გოლების გატანა გვიჭირს, რაც არა მარტო თავდამსხმელების, მთელი გუნდის ბრალია. ამიტომ, ყველა ერთად უნდა ვეცადოთ, რომ შავი პერიოდი უკან მოვიტოვოთ. „ფიორენტინა" საკუთარ მოედანზე ყოველთვის ძლიერია და მძიმე ბრძოლის გადატანა მოგვიწევს. თუმცა, თუ სკუდეტოს მოპოვება გვსურს, სწორედ ასეთ მატჩებში უნდა გამოვავლინოთ შესაძლებლობები. პირველი ნომრიდან ვეცდებით თამაშს და იმედია, რომ ეს სასურველ შედეგს გამოიღებს".*

„გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, შემტევ ტაქტიკა-სტრატეგიას აირჩევს **დელიო როსიც** და „ფიორენტინა" „იუვენტუსს" **ჩერჩი-ამაური-ვარგასის** ტრიოთი დაუპირისპირდება. მით უკეთესი ჩვენთვის, წინ ძალიან საინტერესო პაექრობა გველის.

**ფიორენტინა-იუვენტუსი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ფიორენტინა (4-3-3):** ბორუცი - კასანი, ნასტასიჩი, ნასტასიჩი, პასკუალი - ბეჰრამი, მონტოლივო, ლაძარი - ჩერჩი, ამაური, ვარგასი.

**იუვენტუსი (4-3-3):** ბუფონი - ლიხტშტაინერი, ბონუჩი, კიელინი, დე ჩელიე - ვიდალი, პირლო, მარკიზიო - პეპე, ბორიელო, ვუჩინიჩი.

## ტაქტიკოსთა ჯახი

ბოლოს „სტადიო ფრიულიზე" დაგეგმილ შეხვედრაზე ვთქვათ, სადაც ერთმანეთის პირისპირ ჩემპიონთა ლიგის მესამე საგზურისთვის მებრძოლი გუნდები წარსდგებიან. „უდინეზე" „ნაპოლის" უმასპინძლებს და ეს ის შემთხვევაა, როდესაც სასწორზე მთელი ექვსი ქულა დევს.

უდინელებიც და ნეაპოლელებიც პრინციპულ დაპირისპირებას უხასიათოდ ხვდებიან, რადგან შუა კვირაში ევრობატალიებს გამოეთიშნენ. შესაბამისად, გუნდებს სარეაბილიტაციოდ აქვთ საქმე და წესით, თავი არ უნდა დაზოგონ.

საინტერესო იქნება **ფრანჩესკო გვიდოლინისა** და **ვალტერ მაცარის** დაპირისპირება - ორი გამორჩეული სპეციალისტი, რომლებმაც დიდი ხანია ტაქტიკოსების სახელი გაითქვეს. ბუნებრივია, ორივე გუნდი სამი მცველით ითამაშებს, მთავარი ბრძოლა კი მოედნის ცენტრში გაჩაღდება. რაც მთავარია, ნეაპოლელებს სამივე ტენორი (ჰამშიკი, ლავეცი, კავანი) მწყობრში ჰყავთ, უდინელებს კი თავიანთი სოლო-შემსრულებლის იმედი აქვთ, რომელსაც მარტოს შეუძლია ყველაზე პრინციპული მატჩების მოგება - რა თქმა უნდა, **ტოტო დი ნატალეზეა** ლაპარაკი. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება...

**უდინეზე-ნაპოლი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**უდინეზე (3-5-2):** ჰანდანოვიჩი - ბენეტია, დანილო, დომიცი - ფერონეტი, ფერნანდესი, პინცი, ასამოა, არმერო - დი ნატალე, ფლორო ფლორესი.

**ნაპოლი (3-4-1-2):** დე სანქტისი - კამპანიარო, არონიკა, ბრიტოსი - ცუნიგა, ჯემაილი, ინლერი, დოსენა - ჰამშიკი, ლავეცი - კავანი.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

● სტადიონი

# რომა იუვეს კვალზე

**გახდა** თუ არა **ტომას დი ბენედეტო** „რომას" პრეზიდენტი, პირველი ის განაცხადა, რომ დედაქალაქურ კლუბს მალე ახალი სტადიონი ექნებოდა. როგორც ჩანს, იტალიური წარმოშობის ამერიკელი ბიზნესმენი სიტყვის ასრულებას აპირებს და ამ მიმართულებით უკვე დგავს კიდეც აქტიურ ნაბიჯებს. „გაძეტა დელო სპორტში" გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ა.წ. ივნისამდე ახალი სტადიონისთვის ტერიტორია შეირჩევა, შემოდგომაზე კი სამუშაოებიც დაიწყება. რაც შეეხება სტადიონის მაკეტს, მაყურებელთა რაოდენობას, მშენებლობის ვადას და სხვა ამგვარ დეტალებს, ჯერჯერობით ცნობილი არაა და სავარაუდოდ, ზაფხულში გაცხადდება. აი, რას ამბობს ტომას დი ბენედეტო:

*„კომპანია Cushman& Wakefield-თან ხელშეკრულება გავაფორმეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ივნისამდე ახალი სტადიონისთვის ტერიტორია უკვე შერჩეული იქნება. ამ საკითხს სწორედ ეს კომპანია მოაგვარებს და შემდეგ უკვე მშენებლობის დაწყებაც იქნება შესაძლებელი. ჩვენი გათვლით, სამშენებლო სამუშაოებს ოქტომბერ-ნოემბერში უნდა ჩაეყაროს საფუძველი და პრაქტიკულად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასეც იქნება. „რომა" ახალ, ულტრათანამედროვე სტადიონს იმსახურებს და ექნება კიდეც".*



„რომა" „ოლიმპიკოს" გამოეთხოვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVI ტურის წინ

**ბუნდესლიგის** ისტორიაში არცერთ მწვრთნელს არ დაუმარცხებია მიუნხენის „ბაიერნი" იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს ოტო რეჰაგელმა შეძლო, მაგრამ ვაი, რომ რეკორდმაისტერთან პრინციპული დუელის წინ, ბერლინის „ჰერტასთვის" ეს ლამის ერთადერთი არგუმენტია. რეჰაგელის გუნდი „ბაიერნს" დღეს საღამოს დაუპირისპირდება, მანამდე კი, ლიდერ დორტმუნდის „ბორუსიას" მიუნხენურ გრანდთან სხვაობის გაზრდა შეუძლია – დორტმუნდელები ნაშუადღევს „ვერდერს" უმასპინძლებენ. გადარჩენისთვის ბრძოლაში ყველაზე საინტერესო დუელი „ჰამბურგისა" და „ფრაიბურგის" დაპირისპირებაა. ხვალ, აუტსაიდერი „კაიზერსლაუტერნი" „შალკეს" მიიღებს და წელს პირველი გამარჯვების მოპოვებას შეეცდება.

### გუშინ

**ჰოფენჰაიმი–შტუტგარტი 1:2**

**ჰოფენჰაიმი (4-2-3-1):** შტარკე - ბეკი, ვესტერგაარდი, კომპერი, ჯონსონი - რუდი (46. სალიჰოვიჩი), უილიამსი - ვუკჩევიჩი, ფირმინიო (73. შიპლოკი), ბაბელი - მლაპა.

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - ბულაჰრუზი, მაზა, ნიდერმაიერი, საკაი - კვისტი, კუზმანოვიჩი (82. გებჰარტი) - ჰარნიკი (66. კაკაუ), ჰაინალი (66. გენტნერი), შიბერი - იბიშევიჩი.

**გოლები:** 0:1 იბიშევიჩი (8), 0:2 იბიშევიჩი (43), 1:2 სალიჰოვიჩი (74-პენ)

**გაფრთხილება:** ბეკი - კუზმანოვიჩი, იბიშევიჩი

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 15-11 (6-9); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 30 150

### დღეს

**ბორუსია (დ)–ვერდერი 18:30**

**პირველ წრეში:** 2:0

**დისკვალიფიკაცია:** პისარო (ვერდერი)

**ტრავმა:** კოხი, გიოტცე – ჰართერცი, ნალდო, ბოროვსკი, ჰანტი, მარინი, არნაუტოვიჩი

**აუგსბურგი–მაინცი 18:30**

**პირველ წრეში:** 1:0

**დისკვალიფიკაცია:** სალაი (მაინცი)

**ტრავმა:** დე იონგი, ბა, კალსენ-ბრაკერი, გოგია, მორავეკი – ბელი, პოსპეხი, სვენსონი, რისსე, უჯა

**ჰამბურგი–ფრაიბურგი 18:30**

**პირველ წრეში:** 2:1

**დისკვალიფიკაცია:** ვესტერმანი, გერერო (ორივე ჰამბურგი)

**ტრავმა:** მიკელი, აოგო, იანსენი, სალა (გრიპი) – ბართი, ჰიონი, კრმასი, პუცილა, ს. ბრანდშტეტერი

**ნიურნბერგი–ვოლფსბურგი 18:30**

**პირველ წრეში:** 1:2

**დისკვალიფიკაცია:** დეჟაგა (ვოლფსბურგი)

**ტრავმა:** ნილსონი, ფრანტცი – მედოიევიჩი, ოხსი

**ლევერკუზენი–ბორუსია (მ) 18:30**

**პირველ წრეში:** 2:2

**დისკვალიფიკაცია:** იანტშკე (ბორუსია /მ/)

**ტრავმა:** ადლერი, ჩორლუკა, ბალაკი, ბარნეტა, ლ. ბენდერი, სემი - ჰერმანი

**ჰერტა–ბაიერნი 21:30**

**პირველ წრეში:** 0:4

**დისკვალიფიკაცია:** **კობიაშვილი** (ჰერტა)

**ტრავმა:** ფრანცი, ლუსტენბერგერი – ბრენო, ვან ბუიტენი

### ხვალ

**კაიზერსლაუტერნი–შალკე 18:30**

**პირველ წრეში:** 2:1

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** კუემაა – ფერმანი, უნერშტალი, ჰიოვედესი

**ჰანოვერი–კიოლნი 20:30**

**პირველ წრეში:** 0:2

**დისკვალიფიკაცია:** იაიალო, პოდოლსკი (ორივე კიოლნი)

**ტრავმა:** ანდრეასენი, მ. დიუფი – პეტიტი, ჩიჰი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 25 | 17 | 5 | 3 | 52-16 | 56 |
| 2. ბაიერნი | 25 | 16 | 3 | 6 | 58-17 | 51 |
| 3. ბორუსია (მ) | 25 | 14 | 6 | 5 | 37-15 | 48 |
| 4. შალკე | 25 | 15 | 2 | 8 | 54-33 | 47 |
| 5. ლევერკუზენი | 25 | 11 | 7 | 7 | 38-32 | 40 |
| 6. ვერდერი | 25 | 11 | 6 | 8 | 40-38 | 39 |
| 7. შტუტგარტი | 26 | 10 | 6 | 10 | 43-34 | 36 |
| 8. ჰანოვერი | 25 | 8 | 11 | 6 | 30-35 | 35 |
| 9. ნიურნბერგი | 25 | 9 | 4 | 12 | 24-34 | 31 |
| 10. ვოლფსბურგი | 25 | 9 | 4 | 12 | 31-46 | 31 |
| 11. მაინცი | 25 | 7 | 9 | 9 | 37-39 | 30 |
| 12. ჰოფენჰაიმი | 26 | 7 | 9 | 10 | 29-37 | 30 |
| 13. კიოლნი | 25 | 8 | 4 | 13 | 32-46 | 28 |
| 14. ჰამბურგი | 25 | 6 | 9 | 10 | 29-45 | 27 |
| 15. აუგსბურგი | 25 | 4 | 11 | 10 | 25-39 | 23 |
| 16. ჰერტა | 25 | 5 | 8 | 12 | 26-41 | 23 |
| 17. ფრაიბურგი | 25 | 5 | 7 | 13 | 30-52 | 22 |
| 18. კაიზერსლ. | 25 | 3 | 11 | 11 | 16-32 | 20 |

**ბომბარდირები:** 21 – გომესი (ბაიერნი); 19 – ჰუნტელაარი (შალკე); 16 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), პისარო (ვერდერი), პოდოლსკი (კიოლნი).

# რა შანსი აქვს ჰერთას ბაიერნთან?

## ბერლინელებს აღვირახსნილ მიუნხენელებთან ბრძოლა ქართველი კაპიტნის გარეშე მოუწევთ

### ვერდერი დორტმუნდში საკადრო პრობლემებით

„ვერდერი" დორტმუნდში დიდი ამბიციებით, მაგრამ საკადრო პრობლემებით ჩადის, „ბორუსიას" კი არწაგების შემთხვევაში, პირადი რეკორდის გაუმჯობესება შეუძლია. თუკი ბუნდესლიგის ლიდერი ბრემენულ კლუბთან არ დამარცხდება, წაუგებელ სერიას 20 მატჩამდე გაზრდის, რაც დორტმუნდელთა ისტორიაში საუკეთესო შედეგი იქნება. **იურგენ კლოპის** გუნდს სპორტული თვალსაზრისით საქმეები ნორმალურად მისდის, აი, კულისებს მიღმა კი პრობლემები აქვს: პოლონელმა თავდამსხმელმა **რობერტ ლევანდოვსკიმ** BVB-ს ხელმძღვანელებს კონტრაქტის ნაადრევად გახანგრძლივებაზე უარი უთხრა, რადგან შეთავაზებული ხელფასი ეცოტავა.

აღსანიშნავია, რომ „ბორუსიამ" „ვერდერთან" ბოლო ოთხი საშინაო დაპირისპირება მოიგო, მაგრამ აქვე ისიც უნდა დავამატოთ, რომ „დორტმუნდს" ბუნდესლიგაში ყველაზე მეტი წაგება ზოგადად სწორედ „ვერდერთან" აქვს – 39. ბრემენულმა კლუბმა წინა ტურში ევროპალიგის საგზურისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტი „ჰანოვერი" 3:0 გაანადგურა და შესაბამისად, „მუსიკოსები" ძალიან კარგ ხასიათზე არიან. თუმცა, დორტმუნდში ბრძოლა წამყვანი ფეხბურთელების გარეშე მოუწევთ: ბომბარდირი **კლაუდიო პისარო** დისკვალიფიცირებულია, მეორე თავდამსხმელი **მარკო არნაუტოვიჩი** კი – ტრავმირებული. ამავე მიზეზის გამო კითხვის ნიშნის ქვეშაა „ვერდერის" მთავარი გამთამაშებლის, **მარკო მარინის** თამაშიც.

### თუ ლევერკუზენს ჩემპიონთა ლიგაში უნდა...

არანაკლებ მნიშვნელოვანი და მძაფრი მატჩი შედგება ლევერკუზენის „ბაიერსა" და მიონხენგლადბახის „ბორუსიას" შორის, რადგან ეს არის ერთგვარი ფინალი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში. თუ „ლევერკუზენს" საუკეთესო ოთხეულში შესვლა უნდა, „გლადბახი" აუცილებლად უნდა დაამარცხოს. „ფარმაცევტების" მთავარი მწვრთნელი **რობინ დუტი** წამყვან საყრდენ ნახევარმცველს, **ლარს ბენდერს** ვერ გამოიყენებს და კიდევ კარგი, რომ **სიმონ როლფესი** მაინც გამოუჯანმრთელდა, თორემ ნახევარდაცვის ცენტრში ექსპერიმენტირება მოუწევდა.

აღსანიშნავია, რომ „გლადბახი" „ლევერკუზენისთვის" ყოველთვის სასურველი მეტოქეა, რადგან „ბაიერს" საკუთარ მოედანზე ყველაზე მეტი მატჩი (17) სწორედ „გლადბახთან" აქვს მოგებული და ყველაზე მეტი გოლიც მიონხენგლადბახელთა კარში აქვს გატანილი (110). **ლუსიენ ფავრის** გუნდს ბოლო დროს კრიზისი აქვს, ნიურნბერგში (0:1) და „ფრაიბურგთან" (0:0) კი სულაც უგოლოდ დარჩა. „გლადბახის" ფანების მთავარი იმედი, რა თქმა უნდა, **მარკო როისია**, რომელსაც ფავრი ისევ მეორე თავდამსხმელის პოზიციაზე დააბრუნებს.

### „ექსვაქულიანი" მატჩი: ჰამბურგი-ფრაიბურგი

ეს თამაში ორივე გუნდისთვის უმნიშვნელოვანესია. თუ „ჰამბურგი" მოიგებს, ჩრდილოელები ოდნავ დამშვიდდებიან, ფრის შემთხვევაში ნერვიულობის გაგრძელება მოუწევთ და თუ წააგეს, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ სეზონის ბოლომდე გადარჩენისთვის მოუწევთ ბრძოლა. და სწორედ ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში დააკლდება „ჰამბურგს" კაპიტანი **ჰაიკო ვესტერმანი**, რომელმაც წინა ტურში მეხუთე გაფრთხილება მიიღო და დისკვალიფიცირებულია. ვერ ითამაშებენ **დენის აოგო** და **მარსელ იანსენიც** – ორივე ტრავმირებულია. „ფრაიბურგს" კი ლაზარეთიდან **მიხაელ ლუმბი** და **ანდრეას ჰინკელი** დაუბრუნდნენ. აღსანიშნავია, რომ „ფრაიმ" ბოლო ორ ტურში ოთხ ქულას მოუყარა თავი და შესაბამისად, **კრისტიან შტრაიხის** შეგირდები ჰამბურგში საკმაოდ თავდაჯერებულები ჩადიან.

„ფრაიბურგის" დარად, „აუგსბურგიც" გადარჩენისთვის ბრძოლაშია ჩაბმული და **იოს ლუჰუკაის** შეგირდები „მაინცთან" საშინაო მატჩში მოსაგებად ყველაფერს გააკეთებენ. აუგსბურგელებმა ბოლო სამ მატჩში ხუთი ქულა აიღეს და გასავარდნი ზონა დატოვეს, ახლა კი ამ მიღწევის მინიმუმ შენარჩუნება უნდათ. წელს „აუგსბურგი" საკუთარ მოედანზე დაუმარცხებელია და თანაც, ლუჰუკაის წამყვანი საყრდენი ნახევარმცველი **იან-ინგვერ კალსენ-ბრაკერი** უბრუნდება. მაინცელთა მთავარი იმედი კი, რა თქმა უნდა, **მოჰამედ ზიდანია**, რომელსაც, მას მერე, რაც რაინჰესენელებში დაბრუნდა, ექვსივე მატჩში თითო გოლი აქვს გატანილი.

### ვოლფსბურგელები ისევ ოცნებობენ

„ნიურნბერგისა" „ვოლფსბურგის" შეხვედრა ერთი შეხედვით თითქოს უმოტივაციოა, მაგრამ აბა, ვოლფსბურგელებს ჰკითხეთ... მართალია, „ნიურნბერგსაც" 31 ქულა აქვს და „ვოლფსბურგსაც", მაგრამ ფრანკები რეალისტებად რჩებიან და ამბობენ, რომ მათთვის მთავარი მიზანი პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, აი „მგლები" კი კვლავ ევროპალიგის საგზურზე ოცნებობენ. ფაქტი ის არის, რომ ამ დუელში გამარჯვებულს გადარჩენისთვის ბრძოლასთან საქმე აღარ ექნება და შესაბამისად, საუკეთესო ექსვეულსაც მიუახლოვდება.

### შეაჩერებს რეჰაგელი ბაიერნს?

7:1 „ჰოფენჰაიმთან", 7:0 „ბაზელთან" - „ბაიერნი" დაბრუნდა და ქვას ქვაზე არ ტოვებს. დღეს რეკორდმაისტერი ბერლინის „ჰერტას" სტუმრობს და მიუნხენური გრანდის მენეჯერი **კრისტიან ნერლინგერი** ამბობს, ყველამ ვიცით, რომ **ოტო რეჰაგელი** შაბათს მაგარ, „ბეტონის კედელს აგვიშენებსო". ჰო, 73 წლის სპეციალისტთან ერთად, **ლევან კობიაშვილის** გარეშე დარჩენილ ბერლინელებს „ბაიერნთან" წარმატების მიღწევის ერთადერთი შანსი დაცვაში დგომაა. რეჰაგელი ის მწვრთნელია, რომელსაც „ბაიერნი" ყველაზე მეტჯერ, 18-ჯერ ჰყავს დამარცხებული.

როგორც გითხარით, „მეფე ოტო" დღეს ქართველ კაპიტან კობიაშვილს მოისაკლისებს (ლევანი დისკვალიფიცირებულია). სამაგიეროდ, მწყობრში არიან „ჰერტას" ექსბაიერნელები, **ლელი**, **ოტლი** და **კრაფტი**, რომლებიც ყოფილი კლუბის წინააღმდეგ მედგრად იბრძოლებენ.

### ბოლოს და ბოლოს, მოიგებს კაიზერსლაუტერნი?

ხვალ, „კაიზერსლაუტერნი" „შალკეს" მასპინძლობს და „ეშმაკები" ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ 2012 წელს პირველი თამაში მოიგონ – წინააღმდეგ შემთხვევაში, პფალცელებს ბოლო ადგილზე დამკვიდრების საფრთხე ემუქრებათ. წინა კვირას „ლაუტერნმა" შტუტგარტში 0:0-ს მიაღწია, რამაც ამ გუნდის ქომაგებს ახალი იმედები გაუჩინა – პირველ რიგში იმიტომ, დაცვამ როგორც იქნა, კარგად ითამაშა. სამაგიეროდ, „პფალცელები" თავდასხმაში ისევ ძალიან ცუდად თამაშობენ – 25 მატჩში მხოლოდ 16 გოლი აქვთ გატანილი. თუ „კაიზერსლაუტერნი" „შალკეს" დამარცხებას ვერ მოახერხებს, 16-მატჩიანი მოუგებელი სერიის სახით პირად ანტირეკორდს დაამყარებს. „შალკე" გადაღლილია, რადგან ხუთშაბათს ევროპალიგის მერვედფინალში „ტვენტესთან" დიდი ბრძოლა გადაიტანა (4:1), მაგრამ **რაული** და კომპანია კარგ ფორმაში არიან, რაც არა მარტო „ტვენტესთან", არამედ ბუნდესლიგის წინა ტურში, „ჰამბურგთანაც" (3:1) დაამტკიცეს. **ჰუუბ სტევენსს** დისკვალიფიკაციამოხდილი **პაპადოპულოსი** უბრუნდება.

ტურს „ჰანოვერისა" და „კიოლნის" მატჩი დახურავს. „ჰანოვერი" ევროპალიგის მეოთხედფინალშია (4:0 ლიეჟის „სტანდარდთან"), ბუნდესლიგაში კი სამი მატჩია, არ მოუგია და მეექვსე ადგილს ოთხი ქულა აშორებს. შესაბამისად, თუ **მირკო სლომკას** შეგირდებს გაისადაც სურთ ევროპალიგაში თამაში, საკუთარ მოედანზე „კიოლნს" უნდა მოუგონ.

„კიოლნმა" მძიმე კვირა გადაიტანა: „ჰერტასთან" სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, რომელიც „თხებმა" 1:0 მოიგეს, **ლუკას პოდოლსკის** დისკვალიფიკაცია და **ფოლკერ ფინკეს** სპორტული დირექტორის პოსტიდან გადადგომა მოჰყვა. დისკვალიფიცირებულია **იაიალოც**, რომელიც „ჰერტასთან" ასევე გააძევეს.



ჰერტა-ბაიერნი. ბავარიელთა გოლეადორ მარიო გომესს დღეს ბერლინელთა დაცვის ბურჯ რომან ჰუბნიკთან ხშირად ექნება საქმე

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## უცხოური ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა. XXIX ტურის წინ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალიელთა დუელი ეტიჰადზე

**დღეს**

**ფულჰემი–სუონსი 19:00**

**ტრავმა:** სიდუელი, ჰიუზი, გრიგერა – ბოდე, ორლანდი, აგუსტინი
**დისკვალიფიკაცია:** დაიერი (სუონ)

**უიგანი–ვესტ ბრომვიჩი 19:00**

**ტრავმა:** პოლიტი, ჯონსი, როდალიეგა, კრუსატი – ჯონსი, ტომასი, ენდრიუსი, რიდი, ოდემვინგე, ფულოპი, გერა
**დისკვალიფიკაცია:** ოლსონი (ვესტ)

**ხვალ:**

**ვულვზი–მანჩესტერ იუნ. 17:30**

**ტრავმა:** ჰანტი, ჰენრი – ანდერსონი, ლინდეგორი, ვიდიჩი, ოუენი, ფლეტჩერი, ჯონსი, ნანი

**ნიუკასლი–ნორვიჩი 20:00**

**ტრავმა:** რეინჯერი, ს. ტეილორი, რ. ტეილორი, მარვო, ამეობი, ლოვენკრანდსი, ტიოტე – ტირნი, აიალა, რუდი, ვონი
**დისკვალიფიკაცია:** გოსლინგი (ნიუკ)

**20 მარტი**

**ასტონ ვილა–ბოლტონი 23:45**

**ტრავმები:** კლარკი, ბენტი, დანი, დელფი – ჰოლდენი, ლი, ალონსო, მირსი, იგლზი, გარდნერი

**ბლექბერნი–სანდერლენდი 00:00**

**ტრავმები:** სალგადო, ორი, გრელა – ბრამბლი, ბრაუნი, ბენდტნერი, რიჩარდსონი, ანხელერი, ვესტვუდი
**დისკვალიფიკაცია:** სესინიონი, კატერმოული (სანდ)

**21 მარტი:**

**მანჩესტერ სიტი–ჩელსი 23:45**

**ტრავმები:** საბალეტა, კომპანი, ლესკოტი, ბერი (სიტი)

**ტოტენჰემი–სტოკ სიტი 23:45**

**ტრავმები:** გომეში, ჰადლსტოუნი, ლენონი, დოუსონი - სიდიბე
**დისკვალიფიკაცია:** ფულერი (სტოკ)

**ევერტონი–არსენალი 00:00**

**ტრავმები:** გიბსონი – სკილაჩი, კოკლენი, მერტეზაკერი, ფრიმპონგი, უილშირი, დიაბი

**ქუინზ პარკი–ლივერპული 00:00**

**ტრავმები:** მაკედა, კემპბელი, ჰელგუსონი, ჰოლი, ფორლინი, დაიერი, ტაარაბტი – ჯონსონი, ლეივა, აგერი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 28 | 21 | 4 | 3 | 68-27 | 67 |
| 2. სიტი | 28 | 21 | 3 | 4 | 69-20 | 66 |
| 3. ტოტენჰემი | 28 | 16 | 5 | 7 | 52-34 | 53 |
| 4. არსენალი | 28 | 16 | 4 | 8 | 57-39 | 52 |
| 5. ჩელსი | 28 | 14 | 7 | 7 | 48-32 | 49 |
| 6. ნიუკასლი | 28 | 12 | 8 | 8 | 40-41 | 44 |
| 7. ლივერპული | 28 | 11 | 9 | 8 | 33-26 | 42 |
| 8. სანდერლენდი | 28 | 10 | 7 | 11 | 36-31 | 37 |
| 9. ევერტონი | 28 | 10 | 7 | 11 | 28:31 | 37 |
| 10. ფულჰემი | 28 | 9 | 9 | 10 | 37-37 | 36 |
| 11. სუონსი | 28 | 9 | 9 | 10 | 31-34 | 36 |
| 12. ნორვიჩი | 28 | 9 | 9 | 10 | 39-45 | 36 |
| 13. სტოკ სიტი | 28 | 10 | 6 | 12 | 27-39 | 36 |
| 14. ვესტ ბრომვიჩი | 28 | 10 | 5 | 13 | 34-37 | 35 |
| 15. ასტონ ვილა | 28 | 7 | 12 | 9 | 31-35 | 33 |
| 16. ბლექბერნი | 28 | 6 | 7 | 15 | 40-60 | 25 |
| 17. ბოლტონი | 28 | 7 | 2 | 19 | 31-57 | 23 |
| 18. ქუინზ პარკი | 28 | 5 | 7 | 16 | 29-48 | 22 |
| 19. ვულვზი | 28 | 5 | 7 | 16 | 30-58 | 22 |
| 20. უიგანი | 28 | 4 | 9 | 15 | 24-53 | 21 |



ნარწერა: პირველ წრეში რაულ მეირელეშმა სიტის ერთი გოლი გაუტანა

**პრემიერლიგის 29-ე ტური უცნაურად არის გაწელილი. 10 თამაში 4 დღეზეა გადანაწილებული. უმთავრესი თამაში, რომელზეც შედარებით ვრცლად გვინდა რომ მოგითხროთ, ოთხშაბათს გაიმართება. თუმცა იქამდე სხვა თამაშებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა.**

## მატჩები უქმეებზე

დღეს ლონდონის "ქრეივენ კოტეჯზე" ერთმანეთს "ფულჰემი" და წინა ტურის უმთავრესი სენსაციის ავტორი "სუონსი" დაუპირისპირდებიან. მასპინძლებმა მცირე წარმატებული სერიის შემდეგ გასულ უქმეებზე "ვილა პარკზე" 1:0 წააგეს. თანაც მოულოდნელი იყო, რომ **მარტინ იოლის** გუნდმა მეტისმეტად უსახურად ითამაშა. როგორც ჩანს, მათ საევროთასო ამბიციებს წერტილი დაესვა. საქმე მხოლოდ ქულებში ჩამორჩენა არ არის. კონკურენციაა ძალიან მაღალი. რაც შეეხებათ "გედებს", **ბრენდან როჯერსის** გუნდი გასვლაზე კარგი თამაშით არ გამოირჩევა. ისინი ქულათა მარაგის ზუსტად 2/3-ს "ლიბერთი სთედიუმზე" ივსებენ, თუმცა მას შემდეგ, რაც მათ წინა ტურში "ჩაიდინეს", მათგან ყველანაირი შედეგი მოსალოდნელია.

ხვალ "ვულვერჰემპტონი" "მოლინიუზე" ევროპის ლიგაში შერცხვენილ "მანჩესტერ იუნაიტედს" მასპინძლობს. მოგეხსენებათ, ინგლისური ფეხბურთის ბოლო წლების ლიდერმა ბილბაოს "ატლეტიკთან" ორივე თამაში დათმო 2:3 და 0:1. "მგლებს" ძალიან უჭირთ. აშკარაა, რომ **მიკ მაკარტის** დათხოვნამ გუნდს კარგი არაფერი მოუტანა. პირიქით, დროებითი მწვრთნელის **ტერი კონორის** თავკაცობით ისინი ჯერ "ფულჰემთან" განადგურდნენ 0:5, შემდეგ კი აუტსაიდერთა დერბიშიც უიმედოდ დამარცხდნენ "ბლექბერნთან" 0:2. "ეშმაკებთან" მატჩამდე კი **სტივ მორგანმა** როგორც იქნა იპოვა ახალი მწვრთნელი – **გარი მეგსონს** სადებიუტო შეხვედრაშივე უმძიმესი გამოცდა ელის. "იუნაიტედზე" კი იმას ვიტყვით, რომ დარწმუნებულები ვართ, ევროპის ლიგიდან გამოვარდნა მათ ფორმიდან ვერ ამოაგდებს, რადგან ამ ტურნირს "ეშმაკები" ერთგვარი ამრეზითაც უყურებდნენ.

## შუა კვირის ბრძოლები

რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ წინა ტურში "ასტონ ვილამ" შინაურ კედლებში გამარჯვების გემო მატჩის ბოლო წამებზე გატანილი გოლით გაიხსენა (ფულჰემი 1:0) და ახლა იმის შანსი ეძლევა, რომ მიჯრით მეორე სამი ქულა ჩაიჯიბოს. მით უფრო, რომ მას აუტსაიდერი "ბოლტონი" სტუმრობს. წარმატების შემთხვევაში **ალექს მაკლიშის** გუნდი საბოლოოდ მოიშორებს ფიქრს კლასში შესაძლო დაქვეითებაზე. შოტლანდიელ მწვრთნელსაც მეტი რა უნდა? მის კისერზე ბოლო თვეებში მოჭერილი მარყუჟი ცოტა მოეშვება, რაც მშვიდად სუნთქვის საშუალებას მისცემს. თუმცა სტუმარი ასე მარტივად დანებებას არ აპირებს. **ოუენ კოილს** ნამდვილად არ ენდომება წინა ტურში გამარჯვების შემდეგ (ქუინზ პარკი 2:1) ხელახლა გასავარდნ ზონაში დაბრუნება. იქამდე კი მას კინკილა ქულა აშორებს.

ზედიზედ სამი წაგებული შეხვედრის შემდეგ "ტოტენჰემს" დიდი იმედი აქვს... იმედი აქვს კი არა, ხმამაღლა აცხადებს, რომ გამარჯვების გზას უნდა დაუბრუნდეს, რათა ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ გამსვლელი ადგილი შეინარჩუნოს. **ჰარი რედნაპის** გუნდს ლაზარეთში ლიდერთაგან **აარონ ლენონი** და **მაიკლ დოუსონი** ჰყავს. ასე რომ, წესით, საკადრო პრობლემებმა "დეზებს" დიდად ხელი არ უნდა შეუშალოს. გუნდს ერთის ღირსეული შემცვლელიც მოეძევება და მეორისაც. "სტოკ სიტის" კი წინა ტურში **ბრანისლავ ივანოვიჩის** წინააღმდეგ ბინძური თამაშისთვის გაძევებული **რიკარდო ფულერი** დააკლდება.

"ტოტენჰემს" მესამე ადგილისთვის "არსენალი" ებრძვის. "მეთოფეებს" ძალიან რთული მატჩი ელით "გუდისონ პარკზე". ცხადია, "ლურჯები" სამშაბათს ლივერპულურ დერბიში განადგურების გამო (0:3) საკუთარი გულშემატკივრის წინაშე შეეცდებიან ბოდიშის მოხდას. სტუმარი გუნდი, ისევე როგორც სჩვევია, ბოლო წამებამდე იბრძოლებს წარმატებისთვის. ბოლო ორი თამაში "არსენალმა" სწორედ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში მოიგო, ჯერ "ლივერპულთან" და შემდეგ კი "ნიუკასლთან".

**მარკ ჰიუზის** "ქუინზ პარკს" 4 თამაშია არ უმარჯვია, რის გამოც ის უკვე გასავარდნ ზონაში დაეშვა. თუმცა მას დიდ ოპტიმისტურ განწყობას არც "ლივერპულის" სტუმრობა უნდა უქმნიდეს. "წითლებმა" 3-თამაშიანი წაგებათა სერია "ევერტონთან" ბრწყინვალე გამარჯვებით შეწყვიტეს და ბუნებრივია, ამაღლებულ განწყობაზე იქნებიან.

## ცენტრალური მატჩი

21 მარტს "ეტიჰად სთედიუმს" "ჩელსი" სტუმრობს. "მანჩესტერ სიტი" ხვალვე შეიტყობს, ექნება თუ არა ცხრილის სათავეში დაბრუნების შანსი და ბუნებრივია, გუნდის წინასამატჩო განწყობაზე ეს დიდ გავლენას იქონიებს. სტუმართა ფსიქოლოგიურ მდგომარეობას რაც შეეხება, არ გვგონია, ის კარდინალურად შეიცვალოს, რადგან **ანდრე ვილაშ ბოაშის** გუნდიდან გაშვების შემდეგ ლონდონელებმა მიყოლებით მესამე თამაში მოიგეს. თანაც აქედან ორჯერ პლეი ოფში. რთული სათქმელია, **რობერტო დი მატეომ** დაატყო ხელი გუნდს, თუ უბრალოდ პორტუგალიელი დამრიგებლის დათხოვნამ იმოქმედა გუნდზე დადებითად, მაგრამ ფაქტია, "ჩელსი" ათამაშდა და ყველაზე მეტად ეს სიტყვა "ნაპოლისთან" მატჩზე ითქმის. იტალიური გრანდი ლონდონელებმა საკუთარი იარაღით, გაафთრებული შეტევებით დააშამათეს.

"სიტის" თავის მხრივ გულშემატკივრებთან ორმაგად მართებს რეაბილიტაცია. პირველ რიგში "სუონსისთან" წინა ტურში საშინელი ასპარეზობის და მერე ევროპის ლიგიდან გამოვარდნის გამო. "ქალაქელებს" უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვთ. მათ მშვენივრად ესმით, რომ კიდევ ერთი წაფორხილებაც და "ბრწყინვალე შანსი" მიეცემათ, რომ სეზონი ტიტულების გარეშე დაასრულონ. აპატიებენ თუ არა კლუბის ყატარელი მესაკუთრეები ასეთ ჩავარდნას **რობერტო მანჩინის**, არავინ იცის. პრინციპში პირველი მინიშნება უკვე გაჟღერდა. კლუბმა მწვრთნელის კონტრაქტის საკითხის განხილვა სეზონის ბოლოსთვის დანიშნა. ესე იგი, ბოსები საზაფხულოდ "წიწილების დათვლას" ელოდებიან.

**ამბები**

## ფაბიოს ჩინეთში უხმეს



ფაბიო კაპელო

65 წლის იტალიელი სპეციალისტი **ფაბიო კაპელო** სამწვრთნელო კარიერის დასრულებას ჯერ არ გეგმავს. მოგეხსენებათ, თებერვლის დასაწყისში ის ინგლისის ნაკრების დამრიგებლობიდან საფეხბურთო ასოციაციასთან კონფლიქტის გამო გადადგა. დონ ფაბიო სამშობლოში დაბრუნებული ჯერ კიდევ არ იყო (შვეიცარიის სამთო კურორტზე ისვენებდა), როცა გაზეთებმა მასზე ათასგვარი ამბის მოგონება დაიწყეს. ჯერ იყო და, მახაჩყალის "ანჟისთან" მოლაპარაკებებში "ამხილეს", მერე "ჩელსიში" **ანდრე ვილაშ ბოაშის** შესაძლო მემკვიდრედ გამოაცხადეს. სულ ახლახან კი კაპელოს **კლაუდიო რანიერის** ხელში გაუბედურებულ "ინტერში" დანიშვნა უწინასწარმეტყველეს. საბოლოოდ არც ერთი ეს ამბავი არ დადასტურდა.

და აი, მორიგი სიახლე. goal.com-ის ინფორმაციით, სახელოვანი მწვრთნელის სამსახურით ჩინეთის ფეხბურთის ფედერაცია დაინტერესდა და მას 2-წლიან კონტრაქტში გადასახადების გასტუმრების შემდეგ 10,2 მილიონი ფუნტი (12,26 მილიონი ევრო) სუფთა ანაზღაურება შესთავაზა. ვებგვერდის ცნობით, მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი უკვე გაიმართა. ჩინელებს იმედი აქვთ, რომ კაპელოს კვალიფიკაცია საკმარისი იქნება, რათა მათმა ეროვნულმა გუნდმა 2014 წელს ბრაზილიაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვოს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ჩემპიონთა ლიგა/ევროპალიგა. მეოთხედფინალების და ნახევარფინალების წილისყრა

# ბარსას მილანი! რეალს... აპოელ!

## ბაიერნსაც გაუმართლა? რიბერი თანაგუნდელებს აფრთხილებს: მარსელს ზერელედ ნუ შეხედავთ!

გუშინ, ნიონში ჩემპიონთა ლიგისა და ევროპალიგის მეოთხედფინალ-ნახევარფინალების წილისყრა გაიმართა და რა თქმა უნდა, ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის მეოთხედფინალშივე მივიღეთ ერთი, განსაკუთრებით საინტერესო წყვილი: ჩემპიონთა თასის მოქმედი მფლობელი „ბარსელონა" კონტინენტის მეორე სუპერგრანდს, „მილანს" დაუპირისპირდება...

მიუხედავად იმისა, რომ აპოელ-მა ამ სეზონში არაერთხელ დაამტკიცა, რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის, კვიპროსული კლუბი მეოთხედფინალში მაინც ყველასათვის სასურველი მეტოქე გახლდათ და ეს „ლუკმა" მადრიდის „რეალს" ერგო. გაუმართლა მიუნხენის „ბაიერნსაც" - რეკორდმაისტერი მეოთხედფინალში მარსელის „ოლიმპიკს" დაუპირისპირდება. „ჩელსის" კი „ბენფიკასთან" ექნება საქმე.

მეოთხედფინალის ოთხი წყვილიდან, ერთმანეთში დაპირისპირებების დიდი ისტორია მხოლოდ „მილანს" და „ბარსელონას" აქვთ. მართალია, **ლიონელ მესისა** და სხვა არაერთი ფაქტორის გათვალისწინებით, კატალონიური გრანდი ფავორიტად უნდა შევრაცხოთ, მაგრამ პრინციპში, ზედმეტიც კია იმაზე ლაპარაკი, რომ „როსონერი" უშანსოდ ნამდვილად არ არის. შეგახსენებთ, რომ „მილანი" და „ბარსა" ჯგუფში ერთად იყვნენ: „ნოუ კამპზე" გამართული შეხვედრა 2:2 დასრულდა („მილანმა" ანგარიში მატჩის მიწურულს გაათანაბრა), „სან სიროზე" კი დაძაბულ ბრძოლაში, „ბარსელონამ" 3:2 მოიგო.

### ალეგრი: არ გაგვიმართლა, მაგრამ ვიფიქროთ პოზიტიურად!

*„ყველაზე მეტად ჩვენ არ გაგვიმართლა,* - წუხდა წილისყრის შემდეგ „მილანის" მთავარი მწვრთნელი, 44 წლის **მასიმილიანო ალეგრი,** - *მაგრამ მოდით, ამას პოზიტიურად შევხედოთ. თუ შევძლებთ და „ბარსას" ბარიერს გადავლახავთ, ფინალში გასვლის და მისი მოგების ბრწყინვალე შანსი გაგვიჩნდება, რადგან „ბარსელონა" უკვე გავარდნილი იქნება. ამ სეზონში „ბარსას" ორჯერ შევხვდით: „ნოუ კამპზე" თავს კარგად ვიცავდით და „სან სიროზეც" - მიუხედავად იმისა, რომ დავმარცხდით - მშვენივრად ვითამაშეთ. „ბარსელონა" მსოფლიოს უძლიერესი კლუბია, მაგრამ უშანსოდ არ ვართ. კატალონიელებთან მატჩებში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მონდომება და თავდაჯერება. გაიხსენეთ: ასეთ მატჩებში „მილანი" ყოველთვის მონწოდების სიმაღლეზე დგას ხოლმე და საუკეთესო ფეხბურთს აჩვენებს."*

*„მილანი" ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია,* - ეს „ბარსას" თავკაც **ხოსეპ გვარდიოლას** სიტყვებია, *- თუ პირველობა გვინდა, საუკეთესოები უნდა დავამარცხოთ. ნახევარფინალზე ჯერ არ ვფიქრობ და მხოლოდ ის ვიცი, რომ „მილანთან" მძიმე ბრძოლები გველის."*

მეოთხედფინალში სულ ორი ისეთი გუნდია, რომლებსაც ჩემპიონთა თასი არასდროს მოუგიათ: აპოელ და „ჩელსი". ლონდონურ კლუბს „ბენფიკასთან" მოუწევს პაექრობა და **რობერტო დი მატეოს** შეგირდებს ამ წყვილში აშკარა ფავორიტებად ვერ შევრაცხავთ – რაც არ უნდა იყოს, პორტუგალიურმა გრანდმა ჯგუფში „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩატოვა, მერვედფინალში კი სანკტ პეტერბურგის „ზენიტის" სახით არცისე ძლიერი მეტოქე ჰყავდა.



პოლ ბრაიტნერი წილისყრისას




### ბარსა-რეალი მხოლოდ ფინალში შეიძლება

„ბაიერნისა" და „მარსელის" დუელში განსაკუთრებული ინტრიგა **ფრანკ რიბერის** ფაქტორია, რომელიც ადრე სწორედ ველოდრომელთა ღირსებას იცავდა. *„მარსელში ორი წელი ვითამაშე და მინდა ჩემი თანაგუნდელები გავაფრთხილო: „ოლიმპიკთან" ძალიან რთული მატჩები გველის. „ველოდრომზე" წარმატების მიღწევა ურთულესია და თანაც, „მარსელი" საკმაოდ აგრესიული გუნდია,"* - განაცხადა გუშინ რიბერიმ.

მოგეხსენებათ, ფინალი მიუნხენში უნდა გაიმართოს, რაც „ბაიერნისთვის" განსაკუთრებული შანსია, გახდეს მესამე გუნდი ჩემპიონთა თასის ისტორიაში, რომელიც ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ჯილდოს საკუთარ არენაზე მოიგებს. აქამდე ეს მხოლოდ ორმა გუნდმა, „რეალმა" (1956/57 წლების სეზონში) და „ინტერმა" (1964/65) მოახერხეს.

აქვე ალვნიშნოთ, რომ „ბარსელონა" და „რეალი" ერთმანეთს ფინალამდე ვერ შეხვდებიან. თუ მეოთხედფინალმა სენსაციების გარეშე ჩაიარა, ნახევარფინალში ერთი მხრივ „რეალისა" და „ბაიერნის" დუელს ვნახავთ, მეორე მხრივ კი „ჩელსი"-„ბარსელონას" ან „ჩელსი"-„მილანს".

**გოტფრიდ ლენცი**

**ჩემპიონთა ლიგა**

**1/4 ფინალი**

| თარიღი | მატჩი |
|---|---|
| 27 მარტი | აპოელ-რეალი |
| 27 მარტი | ბენფიკა-ჩელსი |
| 4 აპრილი | რეალი-აპოელ |
| 4 აპრილი | ჩელსი-ბენფიკა |
| 28 მარტი | მარსელი-ბაიერნი |
| 28 მარტი | მილანი-ბარსელონა |
| 3 აპრილი | ბაიერნი-მარსელი |
| 3 აპრილი | ბარსელონა-მილანი |

**1/2 ფინალი**

17 აპრილი
მარსელი/ბაიერნი-აპოელ/რეალი
18 აპრილი
ბენფიკა/ჩელსი-მილანი/ბარსელონა

24 აპრილი
მილანი/ბარსელონა-ბენფიკა/ჩელსი
25 აპრილი
აპოელ/რეალი-მარსელი/ბაიერნი

**ფინალი**

19 მაისი, მიუნხენი, „ალიანს არენა"

**ევროპალიგა**

**1/4 ფინალი**

| თარიღი | მატჩი |
|---|---|
| 29 მარტი | ალკმაარი-ვალენსია |
| 29 მარტი | შალკე-ბილბაო |
| 29 მარტი | სპორტინგი-მეტალისტი |
| 29 მარტი | ატლეტიკო-ჰანოვერი |
| 5 აპრილი | ვალენსია-ალკმაარი |
| 5 აპრილი | ბილბაო-შალკე |
| 5 აპრილი | მეტალისტი-სპორტინგი |
| 5 აპრილი | ჰანოვერი-ატლეტიკო |

**1/2 ფინალი**

19 აპრილი
ატლეტიკო/ჰანოვერი-ალკმაარი/ვალენსია

19 აპრილი
სპორტინგი/მეტალისტი-შალკე/ბილბაო

26 აპრილი
ალკმაარი/ვალენსია-ატლეტიკო/ჰანოვერი

26 აპრილი
შალკე/ბილბაო-სპორტინგი/მეტალისტი

**ფინალი**

9 მაისი,
ბუქარესტი, ეროვნული სტადიონი

საფრანგეთი. ლიგა 1. XXVIII ტურის წინ

# პარიზელთა საკადრო კრიზისი

**დღეს**

| | |
|---|---|
| ოსერი-ევიანი | 22:00 |
| ბორდო-აიაჩო | 22:00 |
| კანი-პსჟ | 22:00 |
| ლორიანი-ბრესტი | 22:00 |
| მარსელი-დიჟონი | 22:00 |
| ნანსი-მონპელიე | 22:00 |
| სტ. ეტიენი-ლიონი | 00:00 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| რენი-ტულუზი | 20:00 |
| სოშო-ნიცა | 20:00 |
| ლილი-ვალანსიენი | 00:00 |

"პარი სენ-ჟერმენის" სამწვრთნელო შტაბს იმედი აქვს, რომ გუნდი დაცვაში წინა ტურში "დიჟონთან" დაშვებული გულუბრყვილო შეცდომის მსგავსსაც კი აღარასოდეს გაიმეორებს. "გასტონ ჟერარზე" **სტივენ პოლმა** შეხვედრის 76-ე წუთზე გოლი პირდაპირ კუთხურიდან გაიტანა. იყო შანსი, რომ დედაქალაქელებს ქულებთან ერთად ჩემპიონატის ლიდერობაც დაეკარგათ, მაგრამ **კევინ გამეირომ** ივაჟკაცა, ზუსტად 5-თამაშიანი მშრალი სერიის შემდეგ გაიტანა და გუნდს 3 ქულა მოუტანა. **კარლო ანჩელოტიმ** დანანებით აღნიშნა, რომ გუნდს პრობლემები ექმნება სტანდარტული მდგომარეობებისას (ბოლო 11-დან 8 ბურთი გუნდმა ასე გაუშვა) და მის შეგირდებს ამ მხრივ მუშაობა განსაკუთრებულად მართებთ. *"ძნელია ამის ახსნა. ერთადერთი რისი გაკეთებაც შეგვიძლია, ეს მუშაობაა, რათა ამის მერე უფრო ეფექტურები ვიყოთ, როცა ჩვენს კართან სტანდარტული მდგომარეობა თამაშდება,"* – აცხადებს იტალიელი.




გამეიროს მე-11 გოლმა პსჟ ცხრილის სათავეში დატოვა. მეორეადგილოსან "მონპელიესთან" სხვაობა ძველებურად ერთი ქულაა, რომელმაც, თავის მხრივ, წინა ტურში "კანი" 3:0 გაანადგურა. ორივე ლიდერს 28-ე ტურში გასვლითი მატჩები ელის. დედაქალაქელები ზემოთ ნახსენებ "კანთან" ითამაშებენ. უკანასკნელს შინ ნათამაშებ შეხვედრებში "სოშოს" შემდეგ ყველაზე ცუდი შედეგი აქვს. "ლურჯ-წითლები" კი გასვლაზე ყველაზე უკეთ თამაშობენ. ასე რომ, "მიშელ დორანოზე" ფავორიტი აშკარაა. სტუმარს ლიგა 1-ში 12-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს. ბოლო მარცხი მათ მარსელის "ველოდრომზე" 27 ნოემბერს იწვნიეს.

"პარი სენ-ჟერმენის" მარცხენა მცველმა **სიაკა ტიენემ** "დიჟონთან" შეხვედრაში სეზონში პირველი გოლი გაიტანა და გამეიროს ნაგვიანები გოლით შთაგონებულმა განაცხადა: "დღეიდან მოყოლებული სეზონის ბოლომდე ყოველ თამაშში მაქსიმალურად მოგვიწევს თავდადება, მიუხედავად იმისა, რამდენი წუთი გვრჩება საასპარეზოდ". თუმცა ბოლო წამამდე ბრძოლა სწორედ მისი გუნდის დამახასიათებელი ნიშანია. ასე იყო აქამდეც და გუნდი ამას ბოლო 3 თამაშშიც ამტკიცებს. შეგახსენებთ, რომ **გიიომ ოარომ** "ლიონთან" ფრე გუნდს 90+4 წუთზე მოუტანა (4:4), "აიაჩოსთან" მსაჯის მიერ კომპენსირებულ მე-2 წუთზე გამოიჩინა თავი **ნენემ** (4:1). "დიჟონთან" გმირობაზე კი უკვე მოგითხრეთ.

ანჩელოტის სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს: ჯანმრთელობის გამო არ იქნებიან ნენე, **მატიო მოდმერი** და **მაქსველი**, რაც შეეხებათ **ტიაგო მოტასა** და **მოჰამედ სისოკოს**, ისინი დისკვალიფიკაციას იხდიან. საეჭვოა **მილან ბიშევაცის** თამაშიც. მან ვარჯიში მხოლოდ ოთხშაბათს დაიწყო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 27 | 17 | 7 | 3 | 50-27 | 58 |
| 2. მონპელიე | 27 | 17 | 6 | 4 | 52-26 | 57 |
| 3. ლილი | 27 | 12 | 11 | 4 | 46-31 | 47 |
| 4. სტ. ეტიენი | 27 | 13 | 7 | 7 | 35-29 | 46 |
| 5. რენი | 27 | 12 | 8 | 7 | 37-31 | 44 |
| 6. ტულუზი | 27 | 12 | 8 | 7 | 29-24 | 44 |
| 7. ლიონი | 27 | 13 | 4 | 10 | 43-35 | 43 |
| 8. მარსელი | 27 | 10 | 9 | 8 | 34-27 | 39 |
| 9. ბორდო | 27 | 10 | 9 | 8 | 33-30 | 39 |
| 10. ევიანი | 27 | 8 | 9 | 10 | 39-40 | 33 |
| 11. ვალანსიენი | 27 | 8 | 7 | 12 | 28-30 | 31 |
| 12. ბრესტი | 27 | 5 | 15 | 7 | 22-24 | 30 |
| 13. აიაჩო | 27 | 7 | 8 | 12 | 29-47 | 29 |
| 14. კანი | 27 | 7 | 7 | 13 | 30-40 | 28 |
| 15. ლორიანი | 27 | 6 | 10 | 11 | 25-35 | 28 |
| 16. ნიცა | 27 | 6 | 9 | 12 | 26-31 | 27 |
| 17. ნანსი | 27 | 6 | 9 | 12 | 25-36 | 27 |
| 18. დიჟონი | 27 | 7 | 6 | 14 | 32-47 | 27 |
| 19. ოსერი | 27 | 4 | 12 | 11 | 33-41 | 24 |
| 20. სოშო | 27 | 5 | 9 | 13 | 26-43 | 24 |

**ლევან ბიბილაშვილი**

● ჭიდაობა




# კარელინს თბილისი მონატრებია

ამ დღეებში საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას საპატიო სტუმარი ჰყავს რუსეთიდან - სამგზის ოლიმპიური, მსოფლიოს 9-გზის და ევროპის 12-გზის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **ალექსანდრ კარელინი**. ის ორი დღეა, რაც გვეწვია თბილისში და თავდაპირველად გავრცელდა ხმა, რომ საქართველო-რუსეთის სარაგბო მატჩზე იყო ჩამოსული, მაგრამ ეს ხმები თავად სტუმარმა უარყო - რაგბი საერთოდ არ მაინტერესებს, თბილისში 25 წელიწადი არ ვყოფილვარ, აქ ჩამოსვლა ძალიან მინდოდა და რაკი ამ დღეებში მეცალა, გადავწყვიტე, გწვეოდითო. შეიძლება ითქვას, კარელინის სპორტულ ბიოგრაფიაში თბილისი გამორჩეული ქალაქია - თურმე ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველობა უფროსებში პირველად აქ მოუგია. ეს წარმატება მისი ლეგენდარული კარიერის დასაწყისად იქცა, რადგან საბჭოთა კავშირის ნაკრების კარი სწორედ ჩვენთან გაეხსნა.

ორი დღის განმავლობაში ლეგენდარული სპორტსმენი მთელ საჭიდაო ოჯახს შეხვდა - ძირითად დროს ფედერაციაში ატარებდა, სადაც თავადაც ვარჯიშობდა და ადგილობრივ ფალავნებს სავარჯიშო გაკვეთილიც ჩაუტარა, შეხვდა ვეტერან მოჭიდავეებს, ფედერაციისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას... ის დღეს გაფრინდება მოსკოვში.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჭიდაობას სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სულ სამი ჰყავს - კარელინი, ასევე რუსთა ჩეჩენი **ბუვაისა საიტიევი** თავისუფალ ჭიდაობაში და ბელარუსი **ალექსანდრ მედვედი** ისევ თავისუფალ ჭიდაობაში. ამათგან საიტიევი სექტემბრის ბოლოს იყო საქართველოში, როცა სტამბოლში ჩატარებული მსოფლიოს პირველობიდან სამშობლოში დაბრუნება საქართველოს გავლით გადაწყვიტა და ორი დღის ნაცვლად ერთი კვირით დარჩა აქ, ახლა კარელინიც გვესტუმრა და ბარემ სრული კომპლექტისთვის მედვედი საგანგებოდ მოვიწვიოთ ამ საჭიდაო ქვეყანაში.

ამ დღეებში ალექსანდრ კარელინი არაა ჩვენი ფედერაციის ერთადერთი სტუმარი - თბილისში იმყოფებიან გერმანიის ნაკრების ქართველი წევრი თავისუფალ ჭიდაობაში, ევროპის მრავალგზის მედალოსანი **დავით ბიჩინაშვილი** (84) და ევროპის რამდენიმეგზის ვიცე-ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **ამირან კარტანოვი** (55) საბერძნეთიდან. ისინი სალიცენზიო ტურნირებისთვის ემზადებიან და ჩვენს ნაკრებთან ერთად სურთ შეკრების გავლა. 37(!) წლის ბიჩინაშვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა წავიდა საქართველოდან 1995 წელს და 2003-მდე უკრაინაში ჭიდაობდა, მერე კი გერმანიაში გადაინაცვლა და დღემდე იმათ ღირსებას იცავს. მისი საქართველოში ჩამოსვლა არ გვიკვირს, ადრეც ხშირად მომზადებულა აქ, მაგრამ ცოტა მოულოდნელია, კარტანოვი რომ მშობლიური ვლადიკავკაზის ნაცვლად თბილისში გვესტუმრა. ის წარმოშობით ვლადიკავკაზელია და იქიდანაა გადასული საბერძნეთში. ძალიან კარგი, თუ ქართულ საჭიდაო სკოლას ასე აფასებს, მაგრამ უცხოეთში გადასული ოსი მოჭიდავეები, როგორც წესი, სამშობლოში ემზადებიან. 36 წლის კარტანოვს 2008 წლის მერე არ უჭიდავია.

**ირაკლი თავაძე**

● გახსენება



**ჩვენო ჯუმბერ!**

18 მარტს 76 წელი შეგისრულდებოდა. ჯერ წელიწადიც არ გასულა შენი გარდაცვალებიდან და ცრემლამდე განვიცდით უშენობას.

გვაკლიხარ ყველას - დიდსა და პატარას, ოჯახს, სამეგობროს, ჭიდაობის დიდ სამყაროს.

მუდამ ხალისიანი, სიყვარულით სავსე დადიოდი ქვეყანაზე და დაატარებდი უზომო სიკეთეს და სითბოს, შინ თუ გარეთ. ყველგან გვავსებდი იმედით და ნუგეშით. არ გვავიწყდება შენი ნამღერი „ბინდისფერია სოფელი".

ღმერთმა შენდობა მოგცეს.

*ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი*

**FM 107,9**

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

● ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატის ექო

# მეორე რაუნდი პრესის ფურცლებზე

იქ, სადაც სომხურ-აზერბაიჯანული სპორტული დაპირისპირებაა, იშვიათად, საქმემ უხმაუროდ ჩაიაროს. ახლახან ბელგრადში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატზე, 55 კილოგრამის მერვედფინალში აზერბაიჯანელთა მომავალმა ჩემპიონმა **ელჩინ ალიევმა** სომეხთა ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **რომან ამოიანი** დაამარცხა, რომელმაც ნაგება დემონსტრაციული ჟესტებით გააპროტესტა. შეხვედრის პირველი პერიოდი ამოიანმა იოლად, 3:0 მოიგო, თუმცა მეორე ამავე ანგარიშით დათმო და შეხვედრაც დამატებით დროში გაგრძელდა. „ქარიშხალი ჭიქაშიც" იქ დატრიალდა - ჩოქბჯენიდან ალიევმა მეტოქე ვერ დაატრიალა და ფეხზე წამოდგა. შეხვედრაც დგომში გაგრძელდა, თუმცა მსაჯებმა ერთი ქულა მაინც აზერბაიჯანელს მისცეს. არბიტრმა ახალი წესით იმოქმედა, რომლის მიხედვითაც ჩოქბჯენში დაცვაში მდგარი მოჭიდავის მხრიდან წინ თუ უკან ცოცვით, ასევე წრეზე ტრიალით გაქცევის მცდელობა ქულით ისჯება. დასაშვებია მხოლოდ გვერდზე მანევრები. თუმცა ესეც ერთი გაურკვეველი წესია, რომელიც მსაჯებს ლავირების უფლებას აძლევს. ამ შეხვედრაშიც ასე იყო - როცა ამოიანმა ეს წესი დაარღვია, ლეიბის არბიტრს მაშინ არ დაუჯარიმებია, უფრო მაგიდის მსაჯმა იაქტიურა მოგვიანებით.

ცხადია, ქულის დაკარგვაზე ამოიანი აღშფოთდა, თუმცა იმ მომენტში უფრო სომეხთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი **ლევონ ჯულფალაკიანი** აქტიურობდა, რომელმაც საპროტესტო ფირნიშიც შემოაგდო ლეიბზე და თვითონაც თან შეჰყვა. ის ფიცარნაგიდან მხოლოდ მას შემდეგ ჩავიდა, რაც მსაჯმა ყვითელი ბარათი უჩვენა. არბიტრებმა სომეხთა პროტესტი კი მიიღეს, მაგრამ შედეგი არ შეცვალეს და წესისამებრ, ალიევს კიდევ ერთი ქულა დაუმატეს. ამაზე ამოიანიც გაბრაზდა და შეხვედრის გაგრძელება იუარა. მან ალიევს მილოცვის ნიშნად ხელიც ჩამოართვა, ხოლო მერე ზევითაც აუწია. ის კარგა ხანს არ ემორჩილებოდა მსაჯის კატეგორიულ მოთხოვნას და ჩოქბჯენში არ დგებოდა, ბოლოს კი მივიდა და პირდაპირ ბეჭებზე დაწვა. არბიტრი მაინც მოითხოვდა ჩოქბჯენს, რასაც ბოლოს ამოიანიც დაყაბულდა, თუმცა ეს უკვე ფორმალობა იყო - შეხვედრის დროც იწურებოდა. სასტვენის შემდეგ მან ისევ სცადა, ალიევისთვის ხელი აეწია, მაგრამ ამის უფლება მსაჯმა აღარ მისცა. სამაგიეროდ, თავად ალიევმა ააწევინა ხელი სომეხს. ამოიანის საპროტესტო ჟესტებზე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (FILA) ვერდიქტმა არ დააყოვნა და ის ტურნირიდან მოხსნეს - სანუგეშო წრეში ასპარეზობის უფლება არ მისცეს, თუმცა დისკვალიფიკაცია სხვა შეჯიბრებებზე არ ვრცელდება. ეს ამბავი ბელგრადშივე დამთავრდებოდა, რომ არა ლევონ ჯულფალაკიანის კომენტარი, რომელიც ერევანში დაბრუნებისას ადგილობრივ პრესასთან გააკეთა. *„ეს შეხვედრა არასასიამოვნო მოსაგონებელია. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია ასეთ მსაჯობას არ უნდა უშვებდეს. აზერბაიჯანელი სპორტსმენი ისე კი არ გამოვიდა, როგორც ევროპის ჩემპიონატის მონაწილე, არამედ როგორც - ქუჩური ჩხუბისა. მან კარგად იცოდა, რომ ამოიანი მასზე ძლიერი კონკურენტი იყო"* - განაცხადა ჯულფალაკიანმა და ნათქვამს ისიც დაამატა, რომ იმ შეხვედრის ყველა მსაჯი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

ცხადია, მისი სიტყვები ბაქოში უკომენტაროდ არ დატოვეს. ჯულფალაკიანს აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივანი **აჯდარ ჯაფაროვი** გამოეპასუხა, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონის მიმართ საკმაოდ მკვახე გამოთქმები არ დაიშურა. *„რამდენჯერმე ვნახეთ ეს შეხვედრა*




*და დავრწმუნდით, რომ მსაჯთა მხრიდან ალიევისადმი არავითარი მიკერძოება არ ყოფილა. ვურჩევ სომხებს, შევიდნენ FILA-ს საიტზე და წესებს გაეცნონ. სომეხი მწვრთნელი არბიტრთა დისკვალიფიკაციაზეც ლაპარაკობს, რაც არაა სიმართლე, რადგან იმ არბიტრმა მეორე დღეს ფინალი იმსაჯა"* - თქვა მან და ამოიანი არტისტიზმში დაადანაშაულა.

## მსაჯობას აზერბაიჯანელებიც უჩივიან

FILA-ზე აზერბაიჯანელთა უზომო გავლენა საიდუმლო არავისთვისაა და არბიტრებზე მათი ზეწოლაც არავის უკვირს, მაგრამ ბელგრადული ტურნირის შემდეგ არაობიექტურ მსაჯობაზე ისინიც ალაპარაკდნენ. იგივე აჯდარ ჯაფაროვი ისევ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას შეეხო, კონკრეტულად კი - ირანიდან გადმობირებულ მსოფლიოს პრიზიორ **სამან ტახმასიბის** და ლიტველ **ლაიმუტის ადომაიტისის** შეხვედრას. ტახმასიბიმ პირველ წრეში ძლიერი მეტოქე, რუსთა ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ალექსეი მიშინი** დაამარცხა, ლიტველთან კი წააგო. ჯაფაროვის თქმით, მოგვიანებით მათ ამ შეხვედრის ვიდეოჩანაწერის ნახვა FILA-ს პრეზიდენტ **რაფაელ მარტინეტის** სთხოვეს, რომელიც უკმაყოფილო დარჩენილა ფინელი არბიტრის გადაწყვეტილებებით და თურმე იქვე მოუთხოვია, რომ მას ოლიმპიადაზე მსაჯობის უფლება არ მისცენ.

მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო, აზერბაიჯანელთა საქმეც ისეა - გასაკვირი ის იქნებოდა, მარტინეტის მათი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიეღო, თუმცა აქ საინტერესო სხვა მომენტია - მარტინეტიმ მოითხოვა, იმ არბიტრისთვის ჩამოერთმიათ ოლიმპიადაზე მსაჯობის უფლებაო. წესით, რიგით და დემოკრატიულ პრინციპთა გათვალისწინებით, ასეთ გადაწყვეტილებას სათანადო კომიტეტი უნდა იხილავდეს, ის უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას და არა პრეზიდენტი. როცა სასწაული ხდება და FILA პირდაპირ რეპორტაჟებს გვალირსებს, იქაც ხშირად შეგვიმჩნევია, რომ მარტინეტი ტრიბუნიდანვე პირდაპირ ერევა მსაჯთა საქმეებში, რომლებიც მისი მითითებით ცვლიან გადაწყვეტილებებს, ხოლო ტურნირების უშუალოდ მონაწილე მწვრთნელ-სპორტსმენები ასეთ შემთხვევას ბევრად უფრო მეტს იგონებენ. არც ესაა დემოკრატიული მართვის მაგალითი, რადგან ამ შემთხვევაშიც საქმეში მსაჯთა კომიტეტი უნდა ერეოდეს.

## აზერბაიჯანელებს - ორი, ჩვენ - ერთი

ბელგრადში იმ მსაჯთა ვინაობაც უნდა გარკვეულიყო, რომლებიც ლონდონის ოლიმპიადას იმსაჯებენ. როგორც აზერბაიჯანული წყაროები წერენ, ეს უფლება ორ აზერბაიჯანელ მსაჯს მიენიჭა - ზემოხსენებულ აჯდარ ჯაფაროვს და **ხიურან შარიფოვს**. ბუნებრივია, დავინტერესდით, ამ მხრივ ჩვენთან რა მდგომარეობაა და საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას დავუკავშირდით, სადაც გვითხრეს, რომ ოფიციალურად წერილი არ მიუღიათ, მაგრამ პირადი საუბრებიდან იციან, **ედიშერ მაჩაიძემ** სათანადო შეფასება მიიღო და ის ლონდონში იმსაჯებს. ფედერაციაში იმედოვნებენ, რომ ორშაბათს FILA-დან სათანადო წერილი მოვა. FILA-ს საიტზე მაჩაიძე დასახელებულია იმ 56 არბიტრს შორის, რომლებსაც ოლიმპიური ლიცენზია აქვთ, თუმცა ყველა მათგანი თამაშებს ვერ იმსაჯებს.

ვერ გეტყვით, ხიურან შარიფოვს გვარის გარდა ნათესაობაც თუ აკავშირებს თავისუფალ ჭიდაობაში აზერბაიჯანელთა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ **შარიფ შარიფოვთან** (84), რომელსაც საოლიმპიადოდ ჩვენი ევროპის ჩემპიონი **დავით მარსაგიშვილი** უმთავრეს კონკურენტად მიიჩნევს. აზერბაიჯანელებს მარტინეტის კარზე გავლენა არ აკლიათ, მსაჯი შარიფოვის არყოფნით მოჭიდავე შარიფოვი რომ არ დაეჩაგროთ; იქნებ არც ესენი არიან ახლო ნათესავები, თუმცა ასეთი დამთხვევა მაინც ნიშანდობლივია.

**ირაკლი თავაძე**

● სუმო. ჰარუ ბაშო. 11-25 მარტი

# ელიტაში ისევ ვაგებთ, კოკაიმ გაათანაბრა

ოსაკადან მხოლოდ ერთი სასიხარულო ამბავი გვაქვს - მე-2 დივიზიონში მოასპარეზე **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** მე-3 გამარჯვება იზეიმა და უარყოფითი ბალანსი გამოასწორა: 3-3. ელიტაში მოასპარეზე ქართველებზე კი რა გითხრათ, რით გაგახაროთ...

**თეიმურაზ ჯუღელის (გაგამარუ)** კარიერა კომუსუბის რანგში ძალიან ცუდად დაიწყო - 6 დღე გავიდა საგაზაფხულო ბაშოს დაწყებიდან და ჩვენებურს ერთი მოგებაც არ აქვს აქტივში. ასეთი კი ოსაკაში თეიმურაზის გარდა მხოლოდ ერთი დარჩა - მონღოლი **კიოკუტენჰო**. გუშინ გაგამარუ, რომელიც, თურმე, უკვე 210 კილოგრამს იწონის, ბულგარელმა ოძეკი **კოტოოშუმ** დოჰიოს ცენტრში დააგდო მოგვერდით. **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** გაუძალიანდა მონღოლ **ჰარუმაფუჯის**, მაგრამ მაინც დამარცხდა. ლევანს 1-5 ბალანსი აქვს.

**VI დღე** (მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-იოშიკაძე (კოტენაგე), ბარუტო-კიოკუტენჰო (შიტატენაგე), ჰარუმაფუჯი-**ტოჩინოშინი** (კაკენაგე), კისენოსატო-ამინიშიკი (ოშიდაში), კოტოოშუ-**გაგამარუ** (უვატენაგე), კოტოშოგიკუ-მიოგირიუ (ოშიტაოში), კაკურიუ-ტოჩიოძანი (ჰატაკიკომი), ტოკიტენკუ-არანი (კაკენაგე), ჰომაშო-შოჰოზანი (ოშიდაში). **ძურიო:** **კოკაი**-სოტაირიუ (იორიკირი).

**სატურნირო მდგომარეობა**

**6-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კაკურიუ (სეკივაკე).

**5-1:** ბარუტო (ოძეკი), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), კოტოშოგიკუ (ოძეკი), ტაკაიასუ (მაეგაშირა 7), შოტენრო (მ 16)... **1-5:** ტოჩინოშინი (მ 3)... **0-6:** გაგამარუ (კომუსუბი).

**VII დღე** (მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კიოკუტენჰო, ჰარუმაფუჯი-კაკურიუ, **ტოჩინოშინი**-კისენოსატო, კოტოოშუ-იოშიკაძე, კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა, ბარუტო-ამინიშიკი, **გაგამარუ**-ტოჩიოძანი, მიოგირიუ-ტოჩინოვაკა, ტოკიტენკუ-ვაკაკოიუ, გოეიდო-არანი. **ძურიო:** **კოკაი**-კოტოიუკი.



**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ქართული სპორტი

ჭადრაკი

# მსოფლიოს ჩემპიონატებს ბათუმი უმასპინძლებს

გადაწყდა, რომ რაპიდსა (სწრაფი ჭადრაკი) და ბლიცში ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატებს, რომელთა ორგანიზატორები არიან საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია და პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაცია, აჭარის დედაქალაქი ბათუმი უმასპინძლებს. შეჯიბრების მონაწილენი წლეულს 31 მაისიდან 3 ივნისის ჩათვლით რაპიდში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს შვეიცარიული სისტემით 11 ტურად, 25-25-წუთიანი დროის კონტროლით, ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით. 4-5 ივნისს ბლიცში გამოვლინდებიან ჩემპიონები და პრიზიორები. აქ შვეიცარიული სისტემით 15 ტური გაიმართება. მოჭადრაკეებს პარტიისთვის 4-4 წუთი მიეცემათ, თითოეულ სვლაზე 2-2 წამის დამატებით. ჩემპიონატების საპრიზო ფონდია 100.000 დოლარი. რაპიდში გამარჯვებული 12.000, ხოლო ბლიცში პირველ ადგილზე გასული 10.000 დოლარით დაჯილდოვდება.

ვაჟა დანელია

# სამეულში ადგილი ვერ შეინარჩუნა

გუშინ რაპიდში მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატის მე-7 ტური გაზიანთეფში ჩვენებურებისთვის უიღბლოდ დაიწყო: **ნანა ძაგნიძე** გუშინწინდელი 6 ტურის შემდეგ 5 ქულით პირველ-მესამე ადგილებს ინაწილებდა, **ბელა ხოტენაშვილი** კი 4,5 ქულით გათამაშების ცხრილის მე-4 საფეხურზე იმყოფებოდა. სამწუხაროდ, დღის სასტარტო შეხვედრები საქართველოს ნაკრების წევრებმა რუსებთან დათმეს: ძაგნიძემ შავი ფიგურებით მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკთან წააგო, ხოტენაშვილს კი ორგზის ევროპის ჩემპიონმა ტატიანა კოსინცევამ აჯობა. საერთოდაც, ბელამ გუშინდელ 5 ტურში მხოლოდ ქულის ალება შეძლო და საბოლოოდ 5,5 ქულით 23-ე ადგილზე გავიდა. რაც შეეხება ძაგნიძეს, იგი მომდევნო ორ ტურში ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს - ანასტასია ბოდნარუკსა და 2012 წლის ევროპის ჩემპიონ ვალენტინა გუნინას დაუზავდა, მე-10 ტურში წლევანდელი პირველობის ბრინჯაოს პრიზიორი ანა მუზიჩუკი (სლოვენია) დაამარცხა, ხოლო გადამწყვეტ პაექრობაში ტატიანა კოსინცევასთან მარცხი იწვნია და 7 ქულით მე-4 ადგილი დაიკავა, აი, ტატიანამ კი 11 შესაძლებლიდან 9 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა. ალექსანდრა კოსტენიუკმა და ელიზაბეტ პეტცმა (გერმანია) 8,5-8,5 ქულა მოაგროვეს და, შესაბამისად, ვერცხლი და ბრინჯაო გაინაწილეს.

რაპიდში, ძაგნიძის გარდა, რვა ქართველი მოჭადრაკე მონაწილეობდა. 7. **ნინო ბაციაშვილი** (7), 14. **ნინო ხურციძე** (6,5), 16. **სოფიო გვეტაძე** (6), 20. **ნაზი პაიკიძე** (6), 22. **სოფიო გურამიშვილი** (5,5), 23. ბელა ხოტენაშვილი (5,5), 26. **მერი არაბიძე** (5), 33. **ლელა ჯავახიშვილი** (5).

სწრაფ ჭადრაკში შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საპრიზო ფონდი (10.000 ევრო) ასე გადანაწილდა: ტ. კოსინცევა-2000, კოსტენიუკ-პეტცი 1250-1250, ძაგნიძე, კატერინა ლაგნო, ა. მუზიჩუკი, ბაციაშვილი, ანტოანეტა სტეფანოვა, გუნინა 650-650, პაიკიძე-125, ხურციძე-75 ევრო.

დღეს მოჭადრაკეები კვლავ მიუსხდებიან 64-უჯრიან დაფებს და ბლიცში (საპრიზო ფონდი 10.000 ევრო) ევროპის ჩემპიონსა და პრიზიორებს გამოავლენენ.

ვაჟა დანელია

რეგიონი

# კახელები სიღნაღში შეიკრიბებიან

ყველაფერი კეთდება, რომ „სიყვარულის ქალაქად" გამოცხადებული სიღნაღი სპორტული თვალსაზრისითაც მიმზიდველი გახდეს. ალბათ შორს არც ის დროა, როცა აქ მაღალი რანგის შეჯიბრებები ჩატარდება, მანამდე კი სიღნაღი რეგიონულ ასპარეზობებს უმასპინძლებს. მაგალითად, დღეს, 17 მარტს, სიღნაღის საგანმანათლებლო რესურსცენტრში სტარტს აიღებს კახეთის ჩემპიონატი ჭადრაკში ყველა მუნიციპალიტეტიდან 14 წლამდე ასაკის სპორტსმენთა მონაწილეობით.

როგორც სიღნაღის სპორტსკოლის დირექტორმა **ზურაბ მახაშვილმა** „ლელოს" განუცხადა, შეჯიბრებას კახეთის ჭადრაკის ფედერაცია ატარებს და ორ დღეს გაგრძელდება.

გამარჯვებულები კახეთის რეგიონის სპორტულ ღირსებას საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატში დაიცავენ.

ლელა ხეჩოშვილი
გურჯაანიდან

წყალბურთი

# ახალგაზრდები ოლიმპიკში

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" თებერვლის მიწურულს დაიწყო საქართველოს პირველობები ორ ასაკობრივ ჯგუფში (სასტარტო შეხვედრების შედეგები „ლელოში" დაიბეჭდა). ერთკვირიანი შესვენების შემდეგ მეორე ტურის ორთაბრძოლები გაიმართა. 1998 წელსა და უფრო გვიან დაბადებულებში საპრიზო ადგილებისთვის 7 გუნდი (ბათუმელებმა უსახსრობის გამო ჩამოსვლა ვერ შეძლეს) ასპარეზობს. ამ ასაკში ფავორიტები არიან ივერია-1 და ლიგამუსი-1, რომლებმაც სამ-სამი მატჩი მოიგეს. ბოლო ტურში ივერიელებმა თანაკლუბელებს - ივერია-2-ის წყალბურთელებს 17:4 სძლიეს, ლიგამუსი-1-ისა და ქუთაისის დაპირისპირების ძირითადი დრო ფრედ - 2:2 დამთავრდა. დამატებითში ლიგამუსელებმა 4:0 მოიგეს და 24 მარტს ოქროსთვის ივერია-1-ს გაუწევენ მეტოქეობას. ბრინჯაოსთვის ივერია-2 და ქუთაისი იბრძოლებენ, მე-5 ადგილისთვის - ლიგამუსი-2 და თბილისი. საჩხერეს მე-7 ადგილი ერგო.

1996 წელსა და უფრო გვიან დაბადებულთა პირველობაშიც შვიდი გუნდი მონაწილეობს. მათი ჩემპიონატი უფრო ხანგრძლივი იქნება. გუშინ პირველი წრის მე-2 ტურის შეხვედრები გაიმართა: ბათუმი-თბილისი 10:7, ლიგამუსი-ივერია-2 13:4, ქუთაისი-ტონუსი 25:0, ივერია-1-ბათუმი 24:2.

დღეს ითამაშებენ: ქუთაისი-ბათუმი, ლიგამუსი-თბილისი, ბათუმი-ტონუსი, ივერია-1-'ივერია-2.

ვაჟა დანელია

# ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

ოლიმპიური ფილატელია

Barcelona'92







პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

**პირველი** პილოტი ქალი, რომელიც 1930 წელს ევროპიდან ამერიკის კონტინენტზე გადაფრინდა, იყო ინგლისელი **რეთ ნიკოლზი.**

■ ■ ■

**პირველმა** სპორტული მაღაზია თავისი პროდუქციის სარეალიზაციოდ გახსნა სპორტული ბურთების მწარმოებელი ფირმის მეპატრონემ **ელ სპალდინგმა** 1876 წელს.

■ ■ ■

**პირველად** ცნობა ამერიკულ გაზეთებში იმის შესახებ, რომ ფიზიკური აღზრდის კანადელმა პედაგოგმა **ჯეიმს ნეისმიტმა** კალათბურთი გამოიგონა, გაჩნდა 1891 წლის 1 დეკემბერს.

ვიქტორინა

**1. რომელი წლიდან ტარდება ძიუდოში მსოფლიოს ჩემპიონატი ვაჟთა შორის?**

ა — 1948 წლიდან
ბ — 1952 წლიდან
გ — 1956 წლიდან

**2. კომპიუტერმა 1996 წელს ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი დაამარცხა, ვინ?**

ა — ანატოლი კარპოვი
ბ — გარი კასპაროვი
გ — ვიშვანათან ანანდი

**3. რომელ ფეხბურთელს აქვს ნათამაშები სამი ქვეყნის (ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ესპანეთი) ეროვნულ ნაკრებში?**

ა — ფერენც პუშკაში
ბ — მიჩელ სალგადოს
გ — ლასლო კუბალას

**4. რომელი ქვეყნის მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებს მოიხსენიებენ „ქურციკებად"?**

ა — სამხრეთ აფრიკის
ბ — ახალი ზელანდიის
გ — ავსტრალიის

**5. პროფესიულ კრივში სუპერმძიმე წონაში ვის მოუგო მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩი მუჰამედ ალიმ 1974 წელს?**

ა — მაიკ ტაისონს
ბ — ჯორ ფორმენს
გ — ევანდერ ჰოლიფილდს

ნაკლებად ცნობილი თამაშები

# მოლბურთი



**მოლბურთი**, ლ ა უ ნ ბ ო უ ლ ზ ი (ინგლ.lawn-მოლი, bowl-ბურთი). ერთ-ერთი უძველესი ინგლისური სპორტული თამაში. განეკუთვნება იმავე ჯგუფს, რომელსაც იტალიური ბოჩია, ფრანგული ბოულსი და პეტანკი. თამაშობენ მოლზე, მწვანე ბალახით დაფარულ კვადრატულ მოედანზე, რომლის გვერდის სიგრძეა 36,58-40,23 მ. მოედანს გარს ავლია, 20,3-38,1 სმ-ის სიგანისა და 5,1-20,3 სმ-ის სიღრმის თხრილი. ბურთს ამზადებენ სინთეტიკური მასალებისგან, მისი დიამეტრია 11,7 -13 სმ, წონა კი 1,59 კგ-ს არ უნდა აღემატებოდეს. შეღებილია შავად ან ყავისფრად. სამიზნეა თეთრად შეღებილი ბურთი, რომელსაც ჯეკი ეწოდება. მისი დიამეტრია 6,27-6,43 სმ, წონა 22679-283,49 გ. მოლბურთს თამაშობენ ერთეულები, წყვილები ან გუნდები (2-2 ან 3-3 კაცის შემადგენლობით). ერთეულთა თანრიგში მოთამაშეს ეძლევა 4 ბურთი, წყვილს — 2, სამკაციან გუნდს — 3, ოთხკაციანს — 4. თავიდან ისვრიან ჯეკს, შემდეგ კი რიგრიგობით გააგორებენ ბურთებს მისი მიმართულებით. თამაშის მიზანია ბურთის რაც შეიძლება ახლოს მიგორება ჯეკთან. ყოველი ბურთისთვის, რომელიც მეტოქის ბურთზე ახლოს აღმოჩნდება სამიზნესთან, მოთამაშეს 1 ქულა ეძლევა. თამაში გრძელდება, სანამ რომელიმე მხარე 21 ქულას არ დააგროვებს.

მოლბურთი ცნობილია XIII საუკუნიდან — ვინძორის სამეფო ბიბლიოთეკაში ინახება იმ პერიოდის მანუსკრიპტი, სადაც ეს თამაში მოიხსენიება. მოლბურთთან დაკავშირებით თავის დროზე არაერთი ამკრძალავი აქტი მიუღიათ. ბოლო ასეთი დადგენილება გამოიცა 1845 წელს, რომლის თანახმადაც დაქირავებულ ხელოსნებსა და მსახურებს წარჩინებულთა მიწებზე მოლბურთის თამაში ეკრძალებოდათ მთელი წლის განმავლობაში, გარდა ქრისტეშობისა. თამაში მხოლოდ საკუთარ ბაღში იყო ნებადართული, ამიტომ საუკუნეთა განმავლობაში მოლბურთით უფრო არისტოკრატია იქცევდა თავს. 1962 წლამდე ინგლისში მოქმედებდა პურიტანების მიერ შემოღებული აკრძალვა, რომლის თანახმადაც კვირა დღეს მოლბურთის თამაში აკრძალული იყო. მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, ლაუნ ბოულზის ინგლისის ეროვნული ორგანიზაცია (EBA) მხოლოდ 1903 წელს დაფუძნდა (1892 წელს — შოტლანდიაში,1904 წელს — უელსსა და ირლანდიაში). იმის გამო, რომ ამ ორგანიზაციასა და ადგილობრივ კლუბებს შორის წესების სტანდარტიზაციის საკითხთან დაკავშირებით უთანხმოება გაჩნდა, 1926 წელს შეიქმნა ინგლისის მოლბურთის ფედერაცია (EBF). 1905 წელს დაფუძნდა მოლბურთის საერთაშორისო საბჭო (IBB), 1931 წელს — ინგლისის მოლბურთის ქალთა ასოციაცია (EWBA), რასაც მალევე მოჰყვა ინგლისის ქალთა მოლბურთის ფედერაციის (EWBA) შექმნა. ყველა ორგანიზაცია ცალ-ცალკე ატარებდა ეროვნულ ჩემპიონატს. 1962 წელს დაფუძნდა ბრიტანეთის კუნძულების მოლბურთის საბჭო (BIBC), რომელიც კოორდინაციას უწევს კონკურენტი ორგანიზაციების საქმიანობას. 1966 წლიდან ტარდება მსოფლიოს ჩემპიონატი.

გმირების და გმირობის ისტორია



ადოლფ ჰიტლერი ასე მიესალმა სპირიდონ ლუისს

# სპირიდონ ლუისი

**მარათონულ რბენაში** თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშების (1896, ათენი) ჩემპიონი **სპირიდონ ლუისი** (1873-1940,საბერძნეთი). ათენში ჯარში მსახურობდა, როცა თავისი ერთ-ერთი უფროსის, პოლკოვნიკ პაპადიამანტოპულოსის რჩევით, მონაწილეობა მიიღო ოლიმპიადის საკვალიფიკაციო რბენაში, V ადგილი დაიკავა და 16 სხვა მორბენალთან ერთად ოლიმპიურ მარათონში გამოსვლის უფლება მოიპოვა. გამარჯვების შემდეგ საბერძნეთის ეროვნული გმირი გახდა, უამრავი პრიზი მიიღო, თუმცა ისევ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა, სადაც ჯერ ფერმერად, მოგვიანებით კი პოლიციელად მუშაობდა. 1926 წელს დააპატიმრეს სამხედრო საბუთების გაყალბების ბრალდებით, თუმცა ერთ წელიწადში გაამართლეს. ბოლოს საჯაროდ გამოჩნდა ბერლინის 1936 წლის ოლიმპიადაზე, სადაც ადოლფ ჰიტლერმა ზეთისხილის გვირგვინით შეამკო. მის სისწრაფეზე ლეგენდები დადიოდა, რის გამოც თანამედროვე ბერძნულ ენაში დამკვიდრდა გამოთქმა „გალუისდა, ანუ „უცებ გაქრა".

თარიღი 17-23 მარტი

**17. 1939 წ.** დაიბადა **ჯოვანი ტრაპატონი** — ფეხბურთელი, მწვრთნელი (იტალია).

**17. 1965 წ.** კალიფორნიაში 105 წლისა გარდაიცვალა ამერიკული ფეხბურთის მწვრთნელი **ალმოს ალონსო სტაგი.**

**18. 1900 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „აიაქსი" (ამსტერდამი).

**18. 1902 წ.** შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „რეალი" (მადრიდი).

**19. 1976 წ.** დაიბადა **ალესანდრო ნესტა** — ფეხბურთი (იტალია).

**19. 1979 წ.** დაიბადა **ჰიდაიეთ თურქოღლუ** — ფეხბურთი (თურქეთი).

**20. 1890 წ.** დაარსდა საფეხბურთო კლუბი „სერვეტი" (შვეიცარია, ჟენევა).

**20. 1978 წ.** დაიბადა **ვალტერ სამუელი** — ფეხბურთი (არგენტინა).

**20. 1990 წ.** გარდაიცვალა (60 წლის) **ლევ იაშინი** — ფეხბურთი, მეკარე (სსრკ).

**21. 1961 წ.** დაიბადა **ლოთარ მათეუსი** — ფეხბურთი (გერმანია).




**21. 1963 წ.** დაიბადა **რონალდ კუმანი** — ფეხბურთი (ჰოლანდია).

**22. 1888 წ.** შეიქმნა ინგლისის საფეხბურთო ლიგა (12 გუნდი).

**22. 1933 წ.** დაიბადა **მიშელ იდალგო** — ფეხბურთი, მწვრთნელი (საფრანგეთი).

**23. 1889 წ.** დაარსდა საფეხბურთო კლუბი „შეფილდ იუნაიტედი" (ინგლისი).

**23. 1931 წ.** დაიბადა **ვიქტორ კორჩნოი** — ჭადრაკი (სსრკ, შვეიცარია).

**შენიშვნა:** *ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ქვეყნდება ხუთშაბათობით „ქართული სპორტის ქრონიკებში".*

● სანიკიძეს იტალიაში NBA-დან ჩააკითხეს


ვიქტორ სანიკიძე

# ახლო მომავალში: ვიქტორი სან ანტონიოში...

გამოცემა „პროჯექტსპურსმა" ქართველთათვის მეტად საინტერესო ამბავს ახადა ფარდა - **ვიქტორ სანიკიძის** საქმეში სანახავად იტალიაში NBA-ს გუნდის, „სან ანტონიო სპურსის" წარმომადგენლები ჩავიდნენ. სიტყვა გადავცეთ პუბლიკაციის ავტორ **ჯეფ გარსიას**:

„სანანტონიოელთა სკაუტები **დენის ლინდსი** და **კლაუდიო კრიპა** იტალიაში იყვნენ, სადაც ბოლონიის „ვირტუსის" ქართველ ფორვარდ ვიქტორ სანიკიძეს დააკვირდნენ.

იგი 2004 წლის დრაფტზე „ატლანტა ჰოქსმა" აიყვანა და „სან ანტონიოს" დაუთმო. 2007 წელს 25 წლის ქართველი ფორვარდი „სუპურსის" მაისურით „როკი მაუნთინის" საზაფხულო ლიგაში თამაშობდა და „ფილადელფიასთან" მატჩში 15 ქულით გამოირჩა. თუმცა „სან ანტონიოში" ოფიციალური შეხვედრა ჯერ არ უთამაშია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ტრავმაა. მოვუსმინოთ თავად სანიკიძეს:

*- კალათბურთში წარმატებული კარიერის ასაწყობად აუცილებელია ბევრი შრომა. ასევე დიდ როლს თამაშობს ნიჭი. რამდენიც უნდა ივარჯიშო, თუ საკალათბურთო მონაცემები არ გაქვს, შედეგს ვერ მიიღებ. ხოლო რამდენად ნიჭიერიც უნდა იყო, მონდომებისა და შრომის გარეშე ვერაფერს მიაღწევ. თუმცა არის გარემოება, რამაც შეიძლება დიდად შეგაფერხოს. მაგალითად ტრავმამ. მუხლებზე ოპერაციები გადავიტანე და გარკვეული პერიოდი გამიცდა. ამის გათვალისწინებით, ვთვლი, რომ კარიერაში სწორედ იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო.*

როგორც ჩანს, NBA-ს ლოკაუტმა ვიქტორი გარკვეულწილად შეაფერხა...

*- კარგად ჩატარებული სეზონის შემდეგ ამერიკაში თამაშის შანსი მქონდა, მაგრამ NBA-ში გაფიცვა გამოცხადდა და ბევრი რამ შეიცვალა. თუმცა ახლაც მაქვს კავშირი ერთ-ერთ ამერიკულ გუნდთან.*

სანიკიძე 25 წლისაა, ტრავმიანობა უკან მოიტოვა და უახლოეს მომავალში იგი შესაძლოა „სან ანტონიო სპურსის" მაისურში ვიხილოთ.

ჯერჯერობით სანიკიძე იტალიური კლუბის, „ვირტუსის" ღირსებას იცავს და სერია A-ში ერთ-ერთი ლიდერია. საშუალოდ 31.6 წუთში 13 ქულას, 10.7 მოხსნას, 1.5 პასს აგროვებს. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით იგი ლიგაში საუკეთესოა - 20.3. არც სროლის სიზუსტე დაეწუნება: ორქულიანებს 60-პროცენტიანი სიზუსტით ისვრის, სამიანებს - 33-პროცენტიანით, საჯარიმოებს - 66.7-იანით."

**ვაჟა სიმონიშვილი**

● სუპერლიგა. XVIII ტური

# რიჩარდი და ქუთაისი

| ქუთაისი-სოხუმი | 86:74 |
|---|---|

**23:17, 21:14, 12:20, 30:23**

**ქუთაისი: ბაბუნაშვილი (14ქ), დიდია (3ქ), ცეკვავა (11ქ), გ. ბარბაქაძე (17ქ), მათიაშვილი (23ქ, 15მ), ფაშაევი (5ქ, 7პ), დ. ბარბაქაძე (13ქ), კოლუაშვილი.**

**სოხუმი: ფარლალავა (15ქ, 8მ), ჩლაიძე (5ქ), ათუაშვილი (20ქ, 16მ), ფაცაცია (15ქ, 12მ), ჯგერენაია (3ქ), როგავა (3ქ), კანკია (3ქ), გაფრინდაშვილი (4ქ), ქადარია (2ქ), ჩაჩიბაია (4ქ)**

**მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, ს. საინერსი**

გასული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი „ქუთაისი" წარმატებულ ასპარეზობას განაგრძობს. გუშინ, **დავით უსტიაშვილის** გუნდმა საკუთარ დარბაზში „სოხუმი" დაამარცხა და ქუთაისის სპორტის სასახლეში შეკრებილი მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი კიდევ ერთხელ გაახარა. მასპინძლებმა თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა და მიუხედავად იმისა, რომ მათ ერთ-ერთ ლიდერს **რევაზ დიდიას** თამაში არ წაუვიდა, პირველი პერიოდი 6-ქულიანი სხვაობით მოიგეს. კარგად გაისარჯნენ „ქუთაისის" სასტარტო ხუთეულის სხვა წევრები **ბაბუნაშვილი, ცეკვავა, გიორგი ბარბაქაძე** და **მათიაშვილი**. მათ კარგად აუბეს მხარი სათადარიგოებმა **დავით ბარბაქაძემ** და **ფაშაევმა**. ქუთაისელთა აზერბაიჯანელმა ლეგიონერმა გუშინ ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და 5 ქულასთან ერთად, 7 შედეგიანი პასის ავტორიც გახდა. ქუთაისელებმა მეორე პერიოდში უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდეს და დიდ შესვენებაზე 13-ქულიანი სხვაობით გავიდნენ (44:31).

დროის ამ მონაკვეთში სოხუმელები სუსტად გამოიყურებოდნენ. მეტს ველოდით **ლაშა ფარლალავასგან**. მართალია, მან საკუთარ გუნდს 15 ქულა შესძინა და 8 მოხსნაც მიითვალა, მაგრამ შეცდომებიც ჰქონდა.

მესამე მეოთხედში „სოხუმი" გააქტიურდა და სხვაობა 5 ქულამდე შეამცირა (51:56). სტუმართაგან განსაკუთრებით **სერგო ათუაშვილი** და **ლევან ფაცაცია** გამოირჩნენ. ორივე მათგანმა ორმაგი დუბლი მიითვალა. ათუაშვილმა 20 ქულა და 16 მოხსნა, ფაცაციამ კი 15 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვეს. აღსანიშნავია, რომ სოხუმელებს მოხსნებში აშკარა უპირატესობა ჰქონდათ (54:36). მეოთხე პერიოდში სხვაობა 2 ქულამდეც დავიდა (63:61), თუმცა ამის შემდეგ მასპინძლებმა სრული უპირატესობა მოიპოვეს და მეტოქეს შანსი აღარ დაუტოვეს.

ქუთაისელთაგან საუკეთესო **რიჩარდ მათიაშვილი** იყო, რომელიც 23 ქულით და 15 მოხსნით ორმაგი დუბლის ავტორი გახდა და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. მატჩის საუკეთესო კალათბურთელადაც ის უნდა დავასახელოთ.

**დავით კოხრეიძე**
**ქუთაისიდან**

● ასაკობრივი ჩემპიონატი

# საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

| შსს აკადემია-კარდინალი | 74:67 |
|---|---|

**10:18, 16:20, 28:17, 20:12**

შსს აკადემია: ჭიჭვეიშვილი (7ქ, 6მ, 3ჩ), ბოქოლიშვილი (25ქ, 5პ), ბაქრაძე, ლოლიშვილი (8ქ), თენიეშვილი (21ქ, 9მ, 4პ, 2დ), აბულაძე (3ქ), გელაზონია (5ქ), ოკრიბელაშვილი (2ქ), პულუზაშვილი (3ქ).

კარდინალი: რ. როგავა (12ქ, 7მ, 4პ), ფეიქრიშვილი (7ქ, 6მ), კენჭიაშვილი (4ქ), კევლიშვილი, ჭყონია (6ქ, 9მ), ხარაძე (12ქ, 17მ), კალანდაძე (15ქ), მეგენეიშვილი (11ქ, 5პ).

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე.

| დინამო-სტუ | 86:108 |
|---|---|

**26:28, 15:19, 16:29, 29:32**

დინამო: გაბისონია (6ქ, 8მ, 3ჩ), დავითაძე, ლომიძე (4ქ), კოსტავა, ალხანაიძე (20ქ, 8მ), მეხრიშვილი (24ქ, 12მ, 3პ), ორმოცაძე (8ქ, 3პ), დოლიძე (9ქ), ჩოჩია (15ქ).

სტუ: გურაბანიძე (6ქ, 5პ), მაჩალაძე (24ქ, 12მ, 5პ, 6ჩ), ტეტელაშვილი (13ქ, 5მ, 6პ), გუგულაშვილი, ლობჟანიძე (33ქ, 10მ, 5პ), გაბისიანი (17ქ, 8მ), კორძაძე (6ქ), ბუთხუზი (1ქ), ჯავახიშვილი (8ქ, 7მ, 3პ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე.

| მაქაბი-ქუთაისი | 52:108 |
|---|---|

**9:33, 14:25, 18:30, 11:20**

მაქაბი: ბერუაშვილი, სამნიაშვილი, ძამიაშვილი (6ქ, 8მ), ხეთაგური (9ქ, 6პ, 5მ), მ. რევაზაშვილი (1ქ, 10მ, 3პ), ლ. რევაზაშვილი (36ქ, 8მ, 3ჩ, 2დ).

ქუთაისი: ცაგარეიშილი, გრძელიძე (30ქ, 5პ, 3ჩ), მესხი (8ქ, 5მ), გოგოძე (22ქ, 5პ), ლილუაშვილი (2ქ, 12პ, 7ჩ), ცირეკიძე (14ქ, 5მ, 4პ), ლომინაშვილი (28ქ, 17მ, 5პ, 5ჩ, 2დ), გამრეკლიძე, კუხიანიძე, ქარციძე (4ქ, 6მ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შსს აკადემია | 14 | 11 | 3 | 1099/947 | 25 |
| 2. სოხუმი | 14 | 10 | 4 | 1133/995 | 24 |
| 3. დინამო | 14 | 10 | 4 | 1213/1089 | 24 |
| 4. სტუ | 15 | 9 | 6 | 1220/1164 | 24 |
| 5. ქუთაისი | 13 | 8 | 5 | 1164/999 | 21 |
| 6. ოლიმპი | 13 | 7 | 6 | 967/995 | 20 |
| 7. კარდინალი | 14 | 3 | 11 | 914/1063 | 17 |
| 8. რუსთავი | 12 | 4 | 8 | 880/980 | 16 |
| 9. მაქაბი | 15 | 0 | 15 | 1030/1388 | 15 |

● ერევნის საერთაშორისო ტურნირი

# აკადემიას პირველობა ბოლო წამზე დაათმობინეს

ერევანში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე ქართულმა გუნდებმა ბოლოსწინა ტურში გამარჯვებები მოიპოვეს.

- „აკადემიამ" „არტექსს" 52:27 მოუგო, ჩვენმა გუნდმა კი „შირაქი" 72:50 დაამარცხა, - აღნიშნა 15-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელმა **გია კაზანჯიანმა**.

**- გამარჯვება არ გაგჭირვებიათ?**

- ნაკრებისა და „შირაქის" მატჩი დაძაბული გამოდგა. პირველი მეოთხედის 10 ქულით წაგების შემდეგ მასპინძლებმა თამაში გამოასწორეს და მესამე პერიოდში ქულითაც გაგვასწრეს. ბოლო მეოთხედში ჩვენმა ბიჭებმა მოინდომეს და გადამწყვეტ უპირატესობას ბოლო 5 წუთში მივაღწიეთ.

შეჯიბრების გადამწყვეტი დღე ქართული გუნდებისთვის წარუმატებელი გამოდგა. გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა 15-წლამდელთა ნაკრებმა ერევნის „დინამოსთან" დრამატულ ბრძოლაში 62:63 წააგო, ხოლო **ირაკლი ტომარაძის** „აკადემიამ" „შირაქთან" შეხვედრა 56:59 დათმო.

- დასანანი მატჩი წავაგეთ, თუმცა ამაში მსაჯებმაც ითამაშეს გარკვეული როლი, - თქვა გია კაზანჯიანმა:

- თამაშის დასრულებამდე 12 წამით ადრე, როცა ანგარიში 62:62 იყო, შეტევა ჩვენ წამოვიწყეთ. გადამწყვეტი სროლა ავაცილეთ და რომ გვეგონა დამატებითი დრო უნდა დანიშნულიყო, მსაჯმა დაგვაჯარიმა, თითქოს ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლაში წესები დავარღვიეთ. ეს საფინალო სირენამდე 0.5 წამით ადრე მოხდა. მასპინძლებმა 1 საჯარომოს ჩაგდება მოახერხეს და 63:62 მოიგეს. ამ მომენტამდეც აშკარა იყო მსაჯებისგან მასპინძლებისადმი სიმპათია. სამწუხაროა, რომ დავმარცხდით, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ეს ტურნირი სასარგებლო იყო ჩვენთვის. „აკადემიამაც" დიდი გამოცდილება მიიღო და 15-წლამდელთა ნაკრებმაც, რომლის წევრებიც დანარჩენებზე 2-3 წლით უმცროსები არიან.

**სატურნირო მდგომარეობა**

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (სომხეთი) | 4 | 3 | 1 | 7 |
| 2. საქართველო-15 | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3. აკადემია (საქართველო) | 4 | 2 | 2 | 6 |
| 4. შირაქი (სომხეთი) | 4 | 1 | 3 | 5 |
| 5. არტექსი (სომხეთი) | 4 | 1 | 3 | 5 |

www.gbf.ge

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**





შარშან სოჭში

# მზად ვართ, საქართველო კიდევ ერთხელ გავახაროთ

დღეს საქართველოს ნაკრები ერთა თასის გათამაშების მორიგი ტურის მატჩში, მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის" სტადიონზე რუსეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ბორჯღალოსნებმა" გუშინ ბოლო, კაპიტნის ვარჯიში გამართეს. თუმცა მანამდე მოედანი რუსთა ნაკრებს დაუთმეს.

სტუმრებმა, ისევე როგორც ჩვენმა გუნდმა, ჟურნალისტებისთვის ვარჯიში მხოლოდ საწყის 15 წუთში გახსნა. ეს დრო ორივე გუნდმა მოთელვას დაუთმო. თამაშისთვის მომზადებული კომბინაციების დახვეწა კი დახურულ კარს მიღმა განაგრძეს.

როგორც ვწერდით, საქართველოს ნაკრების რიგებში სამი ცვლილებაა. წლეულს პირველად ითამაშებენ ეროვნულ გუნდში ფულბეკი **ირაკლი ყიასაშვილი** (ლელო) და პირველხაზელი **დავით ხინჩაგიშვილი** (ბრივი). ყიასაშვილი ძირითად შემადგენლობაში ტრავმირებული **გიორგი შკინინის** (არმია) ადგილს დაიკავებს. ხინჩაგიშვილი კი სათადარიგოთა შორის იქნება.

რუმინელებთან მატჩში ცნობილი ინციდენტის გამო დისკვალიფიცირებული **ვიქტორ კოლელიშვილის** (კლერმონი) ნაცვლად გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი) ითამაშებს. სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა მეორეხაზელმა **გიორგი ნემსაძემ** (ვალანს დაჟენი). მის პოზიციაზე ძირითად შემადგენლობაში **ლევან დათუნაშვილი** (ორიაკი) იასპარეზებს.

„ბორჯღალოსნებმა" კაპიტნის ვარჯიშზე განსაკუთრებული ყურადღება დერეფანში თამაშსა და მეტოქის მოედანზე ბურთის გადატანის შემდეგ, კონტრშეტევის მოგერიებაზე გაამახვილეს. ცხადია, გარკვეული დრო დაუთმეს რაკში ბურთის დროულად გაწმენდასა და ხელდახელ ბურთაობას.

გასულ უქმეებზე უკრაინასთან გამართულ მატჩში მოთამაშე შემადგენლობიდან, რუსთა გუნდს დააკლდა გარემარბი **დენის სიმპლიკევიჩი** (ენისეი). სამაგიეროდ, ნაკრების უელსელმა თავკაცმა **კინგსლი ჯოუნზმა** ისევ გამოიძახა ეროვნულ გუნდში მესამეხაზელი **ვიქტორ გრესევი** (ვოსფსი) და ცხრა ნომერი **ალექსანდრ იანუშკინი** (ვვა).

რუსეთის ნაკრებს სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ დაეხმარებიან შერკინების კვაჭი **ვლადისლავ კორშუნოვი** (ვოსფსი), მეორეხაზელი **ანდრეი ოსტრიკოვი** (სეილ შარქსი), **ვასილი არტემევი** (ნორსჰემპთონი) და გარემარბი **ვლადიმირ ოსტროუშკო** (კრასნოდარი). რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში „ბორჯღალოსნების" წინაალმდეგ ითამაშებს მესამეხაზელი **პაველ კვერნაძე.** ის სათადარიგოთა შორის იქნება.

**გიორგი ნიჟარაძე,** საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

*„მინდა ყველა გულშემატკივარს მივმართო, რომ მთელი თავისი ენერგია მოახმარონ საქართველოს ნაკრების ქომაგობას. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მორაგბეები რუს მორაგბეებთან მეგობრობენ. გთხოვთ იყოთ კორქტული მათ მიმართ. ნუ დავარღვევთ რაგბის ტრადიციებს.*

*ამასთან ერთად, ყველა ქომაგს სკამზე დახვდება თეთრი ან წითელი ფერის კვადრატის ფორმის ფურცელი, რომლებსაც თამაშის დაწყებამდე ორჯერ აღვმართავათ. პირველად, როცა გუნდები მატჩის წინ მოედანზე გამოვლენ და მეორედ, მაშინ, როცა საქართველოს ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის, გურამ მოდებაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი წუთიერი დუმილი დასრულდება.*

*მატჩი ძალიან დაძაბული, უშელავათო გამოვა. ნურავინ მოტყუვდება იმით, რომ რუსეთის ნაკრებმა რამდენიმე ახალგაზრდა მორაგბე დაიმატა. ამ გუნდში, ისევე როგორც ჩვენთან, გაახალგაზრდავების პროცესი მიმდინარეობს. ეს ის ნაკრებია, რომლის წინაალმდეგაც უახლოესი წლების განმავლობაში მუდმივად მოგვიწევს ასპარეზობა.*

*საქართველოს ნაკრები საბრძოლველად მზადაა. თუ რუსეთთან შეხვედრაში ერთ საპრემიო ქულასაც ავიღებთ, ერთა თასის მოპოვება თითქმის განაღდებული გვექნება."*

***მილტონ ჰეიგი,*** საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

*„საქართველოსა და რუსეთის სარაგბო დაპირისპირების ისტორიის შესახებ, ცხადია, ვიცი. ამ მატჩის მნიშვნელობა უზარმაზარია, მაგრამ ჩვენ კონცენტრირებულნი ვართ მხოლოდ თამაშზე. რუსებთან ეს შეხვედრა არის მხოლოდ რაგბის მატჩი და მეტი არაფერი. ამიტომ, მორაგბეებს მთელი ყურადღება დავალების შესრულებაზე ექნებათ გადატანილი და აბსოლუტურად თავისუფალნი იქნებიან სხვა ემოციებისგან.*

*ვიცით, რომ მატჩი დაძაბული, უშელავათო იქნება, მაგრამ რაც მოედანზე ხდება, ის იქვე, მოედანზევე რჩება. ჩვენი მორაგბეები ილონებენ, რათა ისე ითამაშონ, რომ მათმა ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა იამაყონ ამით.*

*არ გვაინტერესებს, რა წინაალმდეგობა არსებობს ჩვენს ქვეყნებს შორის. რაგბის სამყარო ერთი დიდი ოჯახია და თამაშის მერე ყველა მორაგბე ერთია, მიუხედავად იმისა, რა ფერის კვართი ეცვა.*

*რუსეთის ნაკრები საკმაოდ ძლიერი, ფიზიკურად ღონიერი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. შეძლებისდაგვარად, ჩვენ დეტალურად განვიხილეთ მათი თამაშების ვიდეოჩანაწერები. როგორიც უნდა იყოს ჩვენს შორის შეხვედრების სტატისტიკა, ამ გუნდის სათანადოდ შეუფასებლობა არ შეიძლება."*

**ირაკლი აბუსერიძე,** საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

*„გვიხარია, რომ ხუთწლიანი პაუზის შემდეგ რუსეთის ნაკრებს თბილისში ვეთამაშებით. ჩვენ ყველაფერს ვილონებთ, რომ კიდევ ერთხელ გავახაროთ ქართველი ხალხი.*

*ქომაგების გვერდში დგომას ყოველთვის ვგრძნობდით. დარწმუნებული ვარ, ამჯერადაც გულმხურვალედ გაგვამხნევებენ. თუმცა, მინდა, ყველას ვთხოვო, რომ პატივისცემით მოვეპყრათ მოწინაალმდეგეს. მატჩმა შეიძლება მოედანზე არც შეხლა-შემოხლის გარეშე ჩაიაროს. თუმცა ეს მხოლოდ სპორტული ჟინის გამო ხდება. მოედნის მიღმა ჩვენ ბევრ მათგანთან ვმეგობრობთ".*

**კინგსლი ჯოუნზი,** რუსეთის ნაკრების მწვრთნელი:

*„ძალიან რთული მატჩი გველის. ჩვენი ახალგაზრდული გუნდისთვის ეს კარგი გამოცდა იქნება. მე უელსელი ვარ. ჩვენ და ქართველები ძალიან ვგავართ ერთმანეთს. დიდ პატივს გცემთ და საფრანგეთში მოთამაშე ქართველ ლეგიონერებს შორის ძალიან ბევრი მეგობარი მყავს.*

*ჩვენთვის მთავარი პრობლემა სტატიკურ მდგომარეობაში თამაში იქნება. თუ შევძელით საქართველოს ნაკრების ამ უპირატესობის განეიტრალება, მაშინ ჩვენს უკანა ხაზს შეუძლია მეტოქეს ბევრი პრობლემა შეუქმნას. ამასთან ერთად, მეტოქეს არ უნდა მივცეთ საშუალება, ფეხით ჩვენს მოედანზე გადმოიტანოს ბურთი და იქ გვეთამაშოს.*

*ნაკრებში ბევრი ახალგაზრდა გვყავს, რომლებსაც არ აქვთ საქართველოს ნაკრებთან თამაშის კომპლექსი. ამიტომ, იმედი გვაქვს, რომ კარგ შედეგს ვაჩვენებთ. ჩვენთვის მთავარია დავიჯეროთ, რომ საქართველოს ნაკრებთან მოგება შეგვიძლია."*

**ალექსანდრ იანუშკინი,** რუსეთის ნაკრების კაპიტანი:

*„ჩვენი გუნდი სანახევროდ ახალგაზრდა მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. მათ ბევრი აქვთ დასამტკიცებელი და იმედი მაქვს კარგი თამაში გამოგვივა. გვინდა რომ მოვიგოთ, ადრეც გვინდოდა, მაგრამ არ გამოგვდიოდა. 19 წელიწადია საქართველოს ნაკრებისთვის არ მოგვიგია. ეს ძალიან დიდი დროა."*

შეგახსენებთ, რომ მატჩი საქართველოსა და რუსეთის ნაკრებებს შორის 15 საათზე დაიწყება და მის პირდაპირ ტელერეპორტაჟს პირველი არხი შემოგთავაზებთ.

## საქართველოს ნაკრები

15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ალექსანდრე თოდუა, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. ვასილ კაკოვინი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. გიორგი ჩხაიძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. გივი ბერიშვილი 8. მამუკა გორგოძე.

16. რეზო ბელქანია, 17. დავით ხინჩაგიშვილი, 18. გიორგი ნემსაძე, 19. დიმიტრი ბასილაია, 20. გიორგი ბეგაძე, 21. ლაშა მალაღურაძე, 22. თედო ზიბზიბაძე.

## რუსეთის ნაკრები

15. იური კუშნარიოვი, 14. მიხაილ ბაბაევი, 13. სერგეი ტრიშინი, 12. ალექსეი მაკოვეცკი, 11. ანდრეი ოტროკოვი, 10. ანტონ რიაბოვი, 9. ალექსანდრ იანუშკინი. 1. ალექსეი ვოლკოვი, 2. ნაზარ გასანოვი, 3. ინოკენტი ზიკოვი, 4. დენის ანტონოვი, 5. კირილ კულემინი, 6. არტიომ ფატახოვი, 7. ანდრეი გარბუზოვი, 8. ვიქტორ გრესევი.

16. კირილ კოპეშკინი, 17. მაქსიმ სტურზა, 18. ვლადიმერ ბოლტენკოვი, 19. პაველ კვერნაძე, 20. ალექსანდრ შაკიროვი, 21. პაველ ბუტენკო, 22. დიმიტრი გერასიმოვი.

## რუმინეთი-ესპანეთი

რუმინეთი: შერკინება: ანდრეი ურსაკე, ანდრეი რადონი, მიჰაი მაკოვეი (სამივე-ბაია მარე), მიჰაიტა ლაზარი, ვალენტინ ურსაკე (ორივე-ექსი), ფლავიუს დობრე, ადრიან იონი (ორივე-დინამო), პაულიკა იონი (ლონდონ აირიში), მარიუს ტინკუ (პერპინიანი), კრისტიან პეტრე (სენტ ეტიენი), ალინ კონტე (ბურგ ან ბრესი), დანიელ კარპო (ტიმიშოარა), ანდრეი გორჩიოაია (კასტლსარასინი).

უკანა ხაზი: ფლორინ სურუჯუ, ფლორინ ვლაიკუ (ორივე-ბუქარესტი), ვალენტინ კალაფეტეანუ, მადალინ ლემნარუ (ორივე-ტიმიშოარა), დორინ მანოლე (ორტეზი), ჩაბა გალი, კრისტიან დინისი, იონუც ნიაჩსუ (სამივე-ბაია მარე), კონსტანტინ გეარა, ადრიან აპოსტოლი (ორივე-ფარული), [illegible] (ლუჟოჟი).

ესპანეთი: ტომ პარუერი (ორდიზია), გლენ როლსი (ვალიადოლიდი), რაიან ლერუ, კრეიგ ლაიონსი, სერხიო [illegible] (სამივე-[illegible]), ხოსე კარლოსი ([illegible]), ჯო ჰატჩინსონი, ჯონათან ფიპსი (ორივე-ლავილა), ხესუს მორენო (ლიმოჟი), ხესუს ნუნესი (ლილი), ბენატ ეჩეპერი, მატიო ვისენსანგი (ორივე-ტიროსი), სებასტიან რუე, ხაიმე ნავა (ორივე-სენტ ეტიენი), მატიო პელუკონი (ოში), სერხი ობენალი (კლერმონი), პიერ ბელუნსე (კოლომიე), იონ ინსაუსტი (სენ ჟან და ლუზი), მანუელ გარსია (კასტრი), ანტონი პრადალი, ადრიენ აიესტარანი (ორივე-პერიგო), მატიო როსა (ორიაკი), დავიდ ბარერა (მონ დე მარსანი), სესარ სემპერე (ნორსჰემპთონი).

## უკრაინა-პორტუგალია

უკრაინა: 15. ვიაჩესლავ პონომარენკო, 14. ვიტალი კრასნოდემსკი, 13. ოლეგ კოსარევი, 12. დენის მასიუკოვი, 11. მაქსიმ კრავჩენკო, 10. სერგეი ცერკოვნი, 9. ზურაბ კიკაჩეიშვილი. 1. ოლეგ ლიტვინენკო, 2. მიკოლა კირსანოვი, 3. ევგენი ჩაიკა, 4. ვიაჩესლავ კრასილნიკი, 5. ოლექსანდრ ცარენკო, 6. დმიტრო ფედიშინი, 7. რუსლან რადჩუკი, 8. ჯაბა მალალურაძე.

16. ვიტალი კრამარენკო, 17. ოლექსანდრ პოლიანსკი, 18. ედუარდ ვერტილეცკი, 19. იური პიდგანიაკი, 20. მიკოლა დელიერგიევი, 21. სერგიი მონასტირიოვი, 22. ტარას მარჩენკო.

პორტუგალია: შერკინება: ჟოზე და კოსტა, ჟორჟე სეგურადო, ჟოაო მატეუში, დუარტე ფორო, ვასკო მარკესი, ფრედერიკო ვასკონსელოსი, რუი დორეი, გონსალო უვა, ჟოაო პაივა, ვასკო უვა, ლუის სოუსა, ჟუან სევერინო.

უკანა ხაზი: ვასკო ნავალინაში, ლორენცო კადოში, იანიკ რიკარდუ, მანუელ კოსტა, ჩარლი მორაიში, ჟოზე ლიმა, ბერნარდო კამპელო, სერჯიო ფრანკო, ანტონიო აგილარი, ედუარდო სალგადო, ნონო კოსტა.

## ერთა თასი 2012

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +36 | 10 |
| 2.საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | +24 | 10 |
| 3.რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | +27 | 10 |
| 4.რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | -5 | 9 |
| 5.პორტუგალია | 4 | 1 | 0 | 3 | -28 | 6 |
| 6.უკრაინა | 2 | 0 | 0 | 2 | -54 | 0 |

## ორი წლის ჯამი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 8 | 7 | 0 | 1 | +157 | 32 |
| 2.რუმინეთი | 8 | 5 | 0 | 3 | +124 | 26 |
| 3.ესპანეთი | 8 | 4 | 0 | 4 | -47 | 20 |
| 4.რუსეთი | 8 | 4 | 0 | 4 | -3 | 20 |
| 5.პორტუგალია | 9 | 4 | 0 | 5 | -13 | 20 |
| 6.უკრაინა | 7 | 0 | 0 | 7 | -218 | 0 |

## ერთა თასი

## V ტური

## 17 მარტი

საქართველო-რუსეთი
ესპანეთი-რუმინეთი
უკრაინა-პორტუგალია

**ბესიკ ჯანგავაძე**



მამუკა გორგოძის შეტევა

● ფორმულა 1. 2012 წლის სეზონის წინ

# ვინ, სად, როდის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხვალ, ავსტრალიის გრანპრით ახალი სეზონი იხსნება




ავსტრალიური სტარტის წინ

**მსოფლიოს** ახალი ჩემპიონატის წინ გთავაზობთ ლაკონურ "შპარგალკას" ფორმულა 1-ის ყოველი გუნდის დადებითი და უარყოფითი მხარეებით. საინტერესოა, რით არის ესა თუ ის საჯინიბო ძლიერი და რის გამო შეიძლება ისინი დაზარალდნენ.

### რედ ბული

+: **ედრიან ნიუის** გენია; გუნდის წამყვანი ფიგურების შენარჩუნება;

+: **სებასტიან ფეტელისა** და მთელი გუნდის თავდაჯერებულობა მუდმივი გამარჯვებების ფონზე;

-: პრობლემები განახლებულ მანქანასთან დაკავშირებით;

-: შარშანდელი სუსტი სეზონი **მარკ უებერის** შესრულებით.

**პროგნოზი:** 1-2 ადგილი

### მაკლარენი

+: წარმატებულად ჩატარებული ტესტები: მცირე პრობლემები, ღირსეული სისწრაფე;

+: **ჯენსონ** ბატონის სარბოლო ტემპი;

-: არ მოუგია კონსტრუქტორთა თასი 1998 წლის შემდეგ;

-: **ლუის ჰემილტონის** არასტაბილურობა.

**პროგნოზი:** 1-3 ადგილი

### ფერარი

+: **ფერნანდო ალონსოს** დონე;

+: უდიდესი რესურსები – ადამიანური და ფინანსური;

-: ჩაგდებული ზამთრის ტესტები: ჯერჯერობით ბოლიდი სუსტია;

-: **ფელიპე მასას** გაურკვეველი პერსპექტივები.

**პროგნოზი:** 2-3 ადგილი

### მერსედესი

+: ინოვაციური ბოლიდი საინტერესო იდეებით;

+: ძლიერი ტექნიკური შტაბი და გამოცდილი პილოტები;

-: გუნდის გარდაქმნისთვის საჭირო დრო;

-: საბურავების სწრაფად ცვეთასთან დაკავშირებული შესაძლო პრობლემები.

**პროგნოზი:** 2-5 ადგილი

### ლოტუსი

+: უსწრაფესი წრეები ტესტებზე;

+: **კიმი რაიკონენისა** და **რომენ გროსჟანის** მოტივაცია და პოტენციალი;

-: მანქანის დახვეწასთან დაკავშირებული შარშანდელი პრობლემები;

-: ოთხ ტოპ-გუნდთან შედარებით შეზღუდული რესურსები.

**პროგნოზი:** 3-6 ადგილი

### ფორს ინდია

+: სტაბილური პროგრესი ბოლო სეზონების განმავლობაში;

+: პილოტების პერსპექტიული შემადგენლობა;

-: პილოტებს ჯამში ორი სეზონი აქვთ ჩატარებული;

-: **ვიჯეი მალიას** ფინანსური პრობლემები.

**პროგნოზი:** 5-9 ადგილი

### ზაუბერი

+: კარგი შედეგები ტესტებზე; "რედ ბულმა" მისი ტექნიკური სიახლე გადაიღო;

+: BMW-სგან დარჩენილი კარგი ტექნიკური ბაზა;

-: სერიოზულად შეზღუდული ფინანსები;

-: ტექნიკური დირექტორის **ჯეიმს კის** წასვლა.

**პროგნოზი:** 6-9 ადგილი

### ტორო როსო

+: ნორმალური შედეგები ტესტებზე, მანქანის ორიგინალური კონსტრუქცია;

+: გუნდმა ისწავლა "რედ ბულის" ჩარევის გარეშე მუშაობა;

-: გამოუცდელი პილოტები: ორივეს ერთად ნახევარი სეზონი აქვს ჩატარებული;

-: "რედ ბულის" მეორე გუნდის სტატუსი.

**პროგნოზი:** 6-10 ადგილი

### უილიამსი

+: გუნდის განახლებული ტექნიკური შტაბი;

+: "კოსუორტის" ძრავების შეცვლა "რენოთი";

-: გამოუცდელი პილოტები, რომლებიც გუნდში სპონსორული მხარდაჭერით მოხვდნენ;

-: საშუალო შედეგები ტესტებზე.

**პროგნოზი:** 7-10 ადგილი

### კატერჰემი

+: პროგრესი სისწრაფეში 2011 წელთან შედარებით, KERS-ის გამოჩენა;

+: ბრენდ "ლოტუსის" გამო კამათის დასრულება;

-: საშუალო დონის გუნდების ფონზეც შეზღუდული რესურსები;

-: სეზონის მსვლელობისას ახალ ბაზაზე გადასვლა.

**პროგნოზი:** 9-10 ადგილი

### HRT

+: გამოცდილი **პედრო დე ლა როსა;**

+: არ აქვს ფინანსური პრობლემები;

-: უარი **კოლინ კოლესის** სამსახურზე, გუნდის სრული გარდაქმნა;

-: ზამთრის ტესტების გამოტოვება.

**პროგნოზი:** 11-12 ადგილი

### მარუსია

+: მუშაობის დაწყება აეროდინამიკურ მილში;

+: გამოცდილი **ტიმო გლოკი** და პერსპექტიული **შარლ პიკი;**

-: სატესტო პროგრამის კრახი კრაშ-ტესტის პრობლემების გამო;

-: KERS-ის არარსებობა და "კოსუორტის" ძრავები.

**პროგნოზი:** 11-12 ადგილი

## კალენდარი

| თარიღი/ადგილი | წრე | რაოდ | დისტ |
|---|---|---|---|
| 18/03 - ავსტრალია | 5303 მ | 58 | 307.574 კმ |
| 25/03 - მალაიზია | 5543 მ | 56 | 310.408 კმ |
| 15/04 - ჩინეთი | 5451 მ | 56 | 305.066 კმ |
| 22/04 - ბაჰრეინი | 5412 მ | 57 | 308.238 კმ |
| 13/05 - ესპანეთი | 4655 მ | 66 | 307.104 კმ |
| 27/05 - მონაკო | 3340 მ | 78 | 260.520 კმ |
| 10/06 - კანადა | 4361 მ | 70 | 305.270 კმ |
| 24/06 - ევროპა | 5419 მ | 57 | 308.883 კმ |
| 08/07 - ბრიტანეთი | 5891 მ | 52 | 306.227 კმ |
| 22/07 - გერმანია | 5148 მ | 60 | 308.863 კმ |

| თარიღი/ადგილი | წრე | რაოდ | დისტ |
|---|---|---|---|
| 29/07 - უნგრეთი | 4381 მ | 70 | 306.630 კმ |
| 02/09 - ბელგია | 7004 მ | 44 | 308.052 კმ |
| 09/09 - იტალია | 5793 მ | 53 | 306.720 კმ |
| 23/09 - სინგაპური | 5073 მ | 61 | 309.316 კმ |
| 07/10 - იაპონია | 5807 მ | 53 | 307.471 კმ |
| 14/10 - კორეა | 5615 მ | 55 | 308.630 კმ |
| 28/10 - ინდოეთი | 5137 მ | 60 | 309.220 კმ |
| 04/11 - აბუ დაბი | 5554 მ | 55 | 305.355 კმ |
| 18/11 - აშშ | 5516 მ | 56 | 308.896 კმ |
| 25/11 - ბრაზილია | 4309 მ | 71 | 305.909 კმ |

## შემადგენლობა

**რედ ბული**

**1. სებასტიან ფეტელი**

მსოფლიოს ჩემპიონი: 2010, 2011
სტარტი: 81. მოგება: 21. პოული: 30. საუკეთესო წრე: 9. ქულა: 773

**2. მარკ უებერი**

სტარტი: 176. მოგება: 7. პოული: 9. საუკეთესო წრე: 13. ქულა: 669.5

**მაკლარენი**

**3. ჯენსონ ბატონი**

მსოფლიოს ჩემპიონი: 2009
სტარტი: 208. მოგება: 12. პოული: 7. საუკეთესო წრე: 6. ქულა: 811

**4. ლუის ჰემილტონი**

მსოფლიოს ჩემპიონი: 2008
სტარტი: 90. მოგება: 17. პოული: 19. საუკეთესო წრე: 11. ქულა: 723

**ფერარი**

**5. ფერნანდო ალონსო**

მსოფლიოს ჩემპიონი: 2005, 2006
სტარტი: 176. მოგება: 27. პოული: 20. საუკეთესო წრე: 19. ქულა: 1086

**6. ფელიპე მასა**

სტარტი: 152. მოგება: 11. პოული: 15. საუკეთესო წრე: 14. ქულა: 582

**მერსედესი**

**7. მიხაელ შუმახერი**

მსოფლიოს ჩემპიონი: 1994, 1995, 2000, 2001, 2002, 2003, 2004
სტარტი: 286. მოგება: 91. პოული: 68. საუკეთესო წრე: 76. ქულა: 1517

**8. ნიკო როსბერგი**

სტარტი: 108. საუკეთესო წრე: 2. ქულა: 306.5

**ლოტუსი**

**9. კიმი რაიკონენი**

მსოფლიოს ჩემპიონი: 2007
სტარტი: 155. მოგება: 18. პოული: 16. საუკეთესო წრე: 35. ქულა: 579

**10. რომან გროსჟანი**

სტარტი: 7. საუკეთესო წრე: 12.

**ფორს ინდია**

**11. პოლ დი რესტა**

სტარტი: 19. ქულა: 27

**12. ნიკო ჰიულკენბერგი**

სტარტი: 19. პოული: 1. ქულა: 22

**ზაუბერი**

**14. კამუი კობაიაში**

სტარტი: 40. ქულა: 65

**15. სერხიო პერესი**

სტარტი: 17. ქულა: 14

**ტორო როსო**

**16. დანიელ რიკარდო**

სტარტი: 11. ქულა: 0.

**17. ჟან-ერიკ ვერნი**

დებიუტანტი

**უილიამსი**

**18. პასტორ მალდონადო**

სტარტი: 19. ქულა: 1.

**19. ბრუნო სენა**

სტარტი: 26. ქულა: 2.

**კატერჰემი**

**20. ჰეიკი კოვალაინენი**

სტარტი: 89. მოგება: 1. პოული: 1. საუკეთესო წრე: 2. ქულა: 105

**21. ვიტალი პეტროვი**

სტარტი: 38. საუკეთესო წრე: 1. ქულა: 64

**HRT**

**22. ნარაიან კართიკეიანი**

სტარტი: 27. ქულა: 5

**23. პედრო დე ლა როსა**

სტარტი: 85. ქულა: 35

**მარუსია**

**24. ტიმო გლოკი**

სტარტი: 72. ქულა: 51.

**25. შარლ პიკი**

დებიუტანტი

## ● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ის დაბრუნდა

დარწმუნებული ვართ, მიხვდებოდით, ვის დაბრუნებაზეა ლაპარაკი. ცნობილი მიზეზების გამო, თითქმის სამი თვე ვერ ახერხებდა მოედანზე გასვლას კანადური ჰოკეის მთავარი ვარსკვლავი **სიდნი კროსბი**. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მთელი ჰოკეის სამყარო ნერვიულობდა. ამბობდნენ, რომ „პიტსბურგის" ლიდერი გადატანილი ტვინის შერყევის გამო ყოველდღიურ ცხოვრებაშიც განიცდის პრობლემებს და ყოველთვის არ შეუძლია ჩაიდნიდან წყლის დასხმა.

მიუხედავად ამისა, სიდნი უკვე დიდი ხანია მონაწილეობს ვარჯიშებში, მარტის დასაწყისიდან კი ექიმებმა მას ძალისმიერი ბრძოლის ნება დართეს. თუმცა მთავარი „პინგვინის" დაბრუნება რამდენჯერმე გადაიდო. დებიუტი 10 მარტისთვის იგეგმებოდა, როცა „პიტსბურგი" „ბოსტონს" ილებდა, მაგრამ მასპინძლებმა „დათვებს" კროსბის გარეშეც მოუგეს. საბოლოოდ, დაბრუნება ლეგენდარულ „მედისონ სკვერ გარდენში" შედგა - აღმოსავლეთის ლიდერ „ნიუ იორკ რეინჯერსის" წინააღმდეგ.



სიდნი კროსბი

ეს კროსბის მეორე დაბრუნებაა სეზონში და ამჯერად ის ისეთი შთამბეჭდავი არ გამოვიდა, როგორც ნოემბერში „აილენდერსის" წინააღმდეგ. მაშინ კანადური ჰოკეის „ოქროს ბიჭმა" სასტიკი დღე აყარა „კუნძულელებს" - ოთხი ქულა (2+2) დააგროვა. ამჯერად ყველაფერი მოკრძალებული იყო - სიდნიმ 3:1-ზე უკნიდან შემოუარა მეტოქის კარს და **კრის კუნიტცს** მიაწოდა შაიბა. ეს საგოლე გადაცემა მისი ერთადერთი ქულა იყო შეხვედრაში. გარდა ამისა, კროსბი რიცხობრივი უპირატესობისას ჩნდებოდა ყინულზე. საერთო ჯამში, მან 16 წუთი ითამაშა - სწორედ ასე გეგმავდა „პიტსბურგის" დამრიგებელი **დენ ბილსმა**, რომელიც არ ტვირთავს თავის შეგირდს და თანდათან შეჰყავს ის ფორმაში პლეი ოფის ეტაპისთვის.

მთელი ამ თვეების განმავლობაში, კროსბის არყოფნაში „პიტსბურგის" ლიდერობა თავის თავზე აილო **ევგენი მალკინმა**, რომელსაც თავისი ლოკალური მიზნები აქვს გადასაჭრელი - ამ მატჩამდე რუსი საუკეთესო ბომბარდირთა დავაში პირველ ადგილს იყოფდა „ტამპა ბეის" ფორვარდ **სტივენ სტემკოსთან**. პირველ პერიოდში მალკინის წინააღმდეგ ძალიან ხისტად თამაშობდნენ, მაგრამ რუსი ახერხებდა თავის დაძვრენას და რამდენიმე გოლის გატანაც შეეძლო, თუმცა ამჯერად, მხოლოდ ერთი შაიბით დაკმაყოფილდა. ზუსტად ერთ წუთში **მეტ კუკმა** გაისროლა და მატჩის ეს მონაკვეთი გადამწყვეტი აღმოჩნდა - „რეინჯერებმა" ვეღარ შეძლეს მეტოქის დაწევა. „პიტსბურგმა" ზედიზედ მეათე მატჩი მოიგო და არ აპირებს ამაზე გაჩერებას, მით უმეტეს, რომ მის შემადგენლობაში კროსბი დაბრუნდა. ამ მოგებით „პინგვინებმა" ოთხი ქულით შეამცირეს სხვაობა „რეინჯერსთან", თან ერთი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

**კაროლინა-სტ ლუისი 2:0**

0:0, 0:0: 2:0

**გოლები:** 1:0 ლორროუზი-15 (ნოდლი-5, ბრენტი-11), 2:0 სიკნერი-20 (ბ. არენი-11).

**რეინჯერსი-პიტსბურგი 2:5**

1:1, 1:2, 0:2

**გოლები:** 0:1 კუკი-13 (კენედი-17), 1:1 ჰაგელინი-14 (ბ. რიჩარდსი-31, გაბორიკი-31), 1:2 მალკინი-39 (ჯ. ნილი-35), 1:3 კუკი-14 (კენედი-18, ჯ. სტაალი-17), 2:3 გაბორიკი-35 (ბ. რიჩარდსი-32, ჰაგელინი-21), 2:4 კუნიტცი-21 (კროსბი11, ჯ. ნილი-36), 2:5 დუპუი-19 (ლეტანგი-23, მარტინი-22).

**აილენდერსი-ფილადელფია 2:3**

0:2, 0:1, 2:0

**გოლები:** 0:1 რინალდო-2 (კუტურიე-12, გროსმანი-10), 0:2 კ. ჟირუ-26 (იაგრი-29, ჰარტნელი-29), 0:3 ჰარტნელი-33 (ტიმონენი-35, კ. ჟირუ-56), 1:3 გრაბნერი-16 (შტრაიტი-33, რისი-3), 2:3 ტავარესი-31 (შტრაიტი-34).

**ნიუ ჯერსი-კოლორადო 1:0 (ბ)**

0:0, 0:0, 0:0, 0:0

**ბულიტები გაიტანეს:** *კოვალჩუკი (ნიუ ჯერსი), პარიზე (ნიუ ჯერსი).*

**ტამპა ბეი-ტორონტო 1:3**

0:1, 0:2, 1:0

**გოლები:** 0:1 ლაილსი-6 (გრაბოვსკი-27, კესელი-39), 0:2 კრები-9 (ლომბარდი-8, კონოლი-20), 0:3 გარდინერი-5 (ლომბარდი-9), 1:3 სან ლუი-23 (ბ. კლარკი-12).

**ფლორიდა-ბოსტონი 6:2**

1:0, 3:1, 2:1

**გოლები:** 1:0 სამუელსონი-10 (ბ. კემპბელი-41, ვაისი-33), 2:0 გოკი-10 (ბ. კემპბელი-42, სამუელსონი-14), 2:1 კორვო-4 (პულიო-12, როლსტონი-7), 3:1 ვაისი-17 (ფლიშმანი-28, ბ. კემპბელი-43), 4:1 მადენი-1 (სმიტსონი-5, ბერჩი-3), 4:2 როლსტონი-5 (ხარა-33), 5:2 კოპეცკი-8, 6:2 ვოლსკი-3 (ფლიშმანი-29, გარისონი-14).

**კალგარი-ფინიქსი 4:1**

1:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ბერტჩი-3, 2:0 იგინლა-31 (ჯორდანო-15, ჰენანი-10), 2:1 ლარსონ-ეკმანი-11 (რეი უიტნი-45, კლესლა-10), 3:1 სტაიანი-6 (სერიჩი-5), 4:1 ტანგეი-12 (გლენკროსი-19).

**სან ხოსე-ნეშვილი 2:1 (ბ)**

0:1, 0:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ჰორნკვისტი-22 (ფიშერი-22, ერატი-36), 1:1 ჯ. ტორნტონი-16 (მარლო-29, დ. ბოილი-34).

**ბულიტები გაიტანეს:** ქლოუ (სან ხოსე).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ● ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ელფსბორგი-მალმიო | 2:3 |
| რანჰაიმი-ჰაუგესუნდი | 1:3 |
| მიოლდე-ოლესუნდი | 3:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| პადოვა-ვარეზე | 1:1 |
| **სერია C1/A** | |
| ტარანტო-ბენევენტო | 1:1 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვილიარეალი B-კორდობა | 1:1 |
| **გერმანია** | |
| ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი | 1:2 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ალემანია-უნიონი | 1:3 |
| ბრაუნშვაიგი-ფრანქფურტი | 0:0 |
| აინტრახტი-დინამო (დრ) | 3:0 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| შტუტგარტი A-ხემნიცი | 0:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰალეშერი-ჰამბურგი A | 2:0 |
| მეპენი-ჰანოვერი A | 1:0 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| აინტრახტი A-შტ. კიკერსი | 2:4 |
| ვორმატია-მემინგენი | 1:0 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| მაინცი A-ობერშტაინი | 3:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| არლი-ლავალი | 1:0 |
| ბასტია-ამიენი | 2:1 |
| შატორუ-ჰავრი | 1:0 |
| გინგამი-ლანსი | 3:0 |
| კლერმონი-ისტრი | 2:2 |
| მეცი-ტრუა | 2:2 |
| სედანი-ანჟერსი | 2:2 |
| ტური-მონაკო | 0:0 |
| ნანტი-ბულონი | 3:3 |
| **ნასიონალი** | |
| კევილი-ფრეჟუსი | 0:1 |
| ბოვე-ვანი | 0:0 |
| კოლმარი-კრეტეი | 2:1 |
| ნიორი-ნიმი | 1:1 |
| პარიზი-შერბური | 1:3 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვაასლანდი-ტინენი | 4:0 |
| **პორტუგალია** | |
| ნასიონალი-პორტუ | 0:2 |
| ბენფიკა-ბეირა მარი | 3:1 |
| **ჰოლანდია** | |
| ვიტესი-ჰერაკლესი | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-ფორტუნა | 2:4 |
| დენ ბოში-ტელსტარი | 3:0 |
| დორდრეხტი-ემენი | 3:0 |
| ეინდჰოვენი-კამბური | 1:1 |
| იგლზი-ვილემი | 1:3 |
| მაასტრიხტი-ვოლენდამი | 3:0 |
| სპარტა-ჰელმონდი | 0:3 |
| ვეენდამი-ალმერი | 1:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლუშტენაუ-ბლაუ ვაისი | 2:0 |
| ლინცერი-ჰარტბერგი | 1:1 |
| სტ. პოლტენი-ალტახი | 1:3 |
| გრიოდიგი-ვენა | 1:0 |
| სტ. ანდრა-აუსტრია (ლ) | 1:2 |
| **თურქეთი** | |
| გენჩლერი-ტრაბზონი | 1:1 |
| **ირლანდია** | |
| კორკი-შემროკი | 1:1 |
| დროგედა-დანდალკი | 0:0 |
| სლიგო-ბოჰემიანსი | 1:0 |
| სტ. პატსი-მონეგანი | 1:1 |
| უნივერსიტი-ბრეი | 2:3 |
| შელბურნი-დერი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ეთლონი-ფინ ჰარპსი | 2:0 |
| მერვუ-ლიმერიკი | 1:2 |
| უოტერფორდი-გალვეი | 1:0 |
| უექსფორდი-ლონგფორდი | 1:2 |
| **უელსი** | |
| ებერისტვიტი-აფან ლიდო | 1:1 |
| პრესტატინი-ბანგორი | 0:4 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-ბანიკი | 2:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| შენიცა-კოშიცე | 0:1 |
| **რუსეთი** | |
| დინამო-ზენიტი | 1:5 |
| **II დივიზიონი** | |
| ნ. ნოვგოროდი-შინიკი | 1:0 |
| ალანია-სიბირი | 1:1 |
| დინამო (ბრ)-ურალი | 2:1 |
| მორდოვია-ტორპედო | 2:0 |
| **უკრაინა** | |
| ზორია-კრივბასი | 2:0 |
| **პოლონეთი** | |
| ზაგლებე-ვიძევი | 1:0 |
| ლეგია-პოლონია | 0:0 |
| **ხორვატია** | |
| ინკერი-კარლოვაცი | 4:0 |
| ზაგრები-ლოკომოტივა | 0:0 |
| სლავენი-ოსიეკი | 2:0 |
| **უნგრეთი** | |
| უიპეშტი-კაპოშვარი | 3:1 |
| **რუმინეთი** | |
| კონკორდია-რაპიდი | 1:0 |
| მიოვანი-ტარგუ | 0:0 |
| **ბულგარეთი** | |
| ლოკომოტივი (ს)-ვიდიმა | 0:1 |
| **მოლდოვა** | |
| სფინტული-ცსკა | 0:0 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| კერიკი-პორტდაუნი | 3:1 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი | 73:64 |
| პერისტერი-პანათინაიკოსი | 64:97 |
| **საფრანგეთი** | |
| ვილერბანი-ლე მანი | 73:84 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავანგარდი- მეტალურგი (მ) | 5:2 |
| ტრაქტორი-აკ ბარსი | 2:1 |
| **გერმანია** | |
| იზერლონი-დიუსელდორფი | 4:7 |
| **დანია** | |
| ოდენსე-ოლბორგი | 3:1 |
| **ნორვეგია** | |
| ლილეჰამერი-სპარტა | 3:0 |
| ვოლერენგა-სტორჰამარი | 3:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| პოპრადი-ტრენჩინი | 2:1 |
| სლოვანი-ჟილინა | 8:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიტვინოვი-ბოლესლავი | 5:4 |
| პარდუბიცე-ვიტკოვიცე | 6:0 |
| სლავია-კარლოვი ვარი | 4:3 |
| ლიბერეცი-ბუდეიოვიცე | 3:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ლულეო | 4:1 |
| მოდო-შელეფტეო | 1:0 (ო) |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. ინდიან უელსი** | |
| ფედერერი-დელ პოტრო | 6:3, 6:2 |

## ● TV პროგრამა

### 17 მარტი. შაბათი

**I არხი**

15:00 რაგბი. ერთა თასი. საქართველო-რუსეთი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი.
12:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXVII ტურის წინ.
12:30 იტალიის ჩემპიონატი. XXVIII ტურის წინ.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVIII ტურის წინ.
14:30 ინგლისის ჩემპიონატი. XXIX ტურის წინ.
15:00 პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
16:30 იტალიის შოუ.
17:00 სუპერკოლაჟი.
18:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
18:30 გერმანიის ჩემპიონატი. XXVI ტური. დორტმუნდი-ვერდერი (LIVE).
20:30 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
21:00 იტალიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. პარმა-მილანი (LIVE).
23:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXVII ტური. სევილია-ბარსელონა (LIVE).
01:00 არგენტინის ჩემპიონატი. VI ტური. ტიგრე-ესტუდიანტესი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
11:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-სან ანტონიო.
14:30 NBA Action.
15:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
16:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. IV ტურის მიმოხილვა.
16:30 რაგბი. ექვსი ერის თასი. V ტური. იტალია-შოტლანდია (LIVE).
18:45 რაგბი. ექვსი ერის თასი. V ტური. უელსი-საფრანგეთი (LIVE).
20:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
21:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ჰერტა-ბაიერნი (LIVE).
23:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ფიორენტინა-იუვენტუსი (LIVE).
01:45 რაგბი. ექვსი ერის თასი. V ტური. ინგლისი-ირლანდია.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. ინდიანა უელსი. აშშ.
14:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-ინგლისი.
16:00 ჩოგბურთის ლეგენდები.
18:30 სუპერკოლაჟი.
18:45 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
19:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ნიუ იორკი.
21:30 NBA Action.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. ინდიანა უელსი. აშშ (LIVE).

### 18 მარტი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

10:00 იტალიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ფიორენტინა-იუვენტუსი.
12:00 იტალიის შოუ.
12:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
13:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
14:00 სუპერკოლაჟი.
15:00 ინგლისის ჩემპიონატი. XXIX ტურის წინ.
15:30 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVI ტური. დენ ჰააგი-აიაქსი (LIVE).
17:30 ინგლისის ჩემპიონატი. XXIX ტური. ვულვზი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
19:30 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
20:00 სუპერკოლაჟი.
21:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXVII ტური. ბილბაო-ვალენსია (LIVE).
23:00 იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
23:45 იტალიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. უდინეზე-ნაპოლი (LIVE).

GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. VI ტური. ტიგრე-ესტუდიანტესი.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-სან ანტონიო.
14:30 გადაცემა - იმედის ფსონი.
15:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ჩეზენა-კალიარი (LIVE).
17:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ინტერი-ატალანტა (LIVE).
20:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. V ტური. უელსი-საფრანგეთი.
22:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-სან ანტონიო.
00:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. XXVII ტური. რეალი-მალაგა (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. ინდიანა უელსი. აშშ.
14:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. V ტური. იტალია-შოტლანდია.
16:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. V ტური. უელსი-საფრანგეთი.
17:30 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ეინდჰოვენი-ჰერენვეენი (LIVE).
19:30 სუპერკოლაჟი.
20:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVIII ტური. რენი-ტულუზა (LIVE).
22:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. V ტური. ინგლისი-ირლანდია.
00:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. ფინალი. ინდიანა უელსი. აშშ (LIVE).

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ერთგული სუპერმენი

გუშინ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში სატრანსფერო ბაზარი დაიხურა. განხორციელდა რამდენიმე საინტერესო ტრეიდი, მაგრამ ხმაურიანი გარიგება არ შემდგარა - მაგალითად ისეთი, **დუაიტ ჰოვარდის** რომელიმე სხვა კლუბში გადასვლა რომ იქნებოდა.

ლიგის საუკეთესო ცენტრმა 2012-13 წლების სეზონის ბოლომდე გააგრძელა კონტრაქტი "ორლანდოსთან". "სუპერმენს" შესაძლებლობა ჰქონდა უარი ეთქვა "მეჯიქთან" კონტრაქტის ბოლო წელზე და ამ შემთხვევაში 2012 წლის ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდებოდა.

წელს ჰოვარდი საშუალოდ 21.2 ქულას, 15.2 მოხსნასა და 1.9 შედეგიან გადაცემას აგროვებს.



დერეკ ფიშერი

■ ■ ■

"სან ანტონიომ" ფორვარდი **რიჩარდ ჯეფერსონი** "გოლდენ სტეიტს" **სტივენ ჯექსონში** გაუცვალა. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი ცოტა ხნის წინ, ტრეიდით "მილუოკიდან" აღმოჩნდა "უორიორზის" რიგებში.

რიჩარდსონი მიმდინარე სეზონში საშუალოდ 9.2 ქულას და 3.5 მოხსნას აგროვებს, ჯექსონის სტატისტიკა 10.5 ქულას, 3.2 მოხსნასა და 3.0 შედეგიან გადაცემას უდრის.

სტივენ ჯექსონი 2001-03 წლების სეზონში თამაშობდა "სან ანტონიოს" რიგებში.

■ ■ ■

"ლეიკერსი" მოელაპარაკა "კლივლენდს" ტრეიდზე, რომლის მიხედვითაც კალიფორნიელთა რიგებში გადავიდნენ მცველი **რამონ სეშენსი** და ფორვარდი **კრისტიან აიენგა**.

სანაცვლოდ "კავალიერზმა" ფორვარდი **ლუკ უოლტონი, ჯეისონ კაპონო** და 2012 წლის დრაფტის პირველ რაუნდში არჩევანის უფლება მიიღო.

გარდა ამისა, სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე ცოტა ხნით ადრე "ლეიკერსმა" მცველი **დერეკ ფიშერი** და დრაფტის მეორე რაუნდის არჩევანი გაუცვალა "ჰიუსტონს" **ჯორდან ჰილში**.

ფიშერმა "ლეიკერსში" 13 სეზონი ჩაატარა და გუნდთან ერთად ხუთჯერ გახდა NBA-ის ჩემპიონი. მიმდინარე სეზონში მცველი საშუალოდ 5.8 ქულით, 3.3 პასითა და 2.1 მოხსნით ეხმარებოდა "ლეიკერსს".

ჯორდანის მაჩვენებლები "როკეტსში" 5 ქულასა და 4.5 მოხსნას შეადგენდა.

■ ■ ■

Yahoo! Sports-ის ინფორმაციით დედლაინის ბოლო წუთებზე გაფორმდა სამმხრივი გარიგება "კლიპერსს", "ვაშინგტონსა" და "დენვერს" შორის.

შედეგად, "კლიპერსის" რიგები შეავსო მცველმა **ნიკ იანგმა**, "ვაშინგტონში" გადავიდა ცენტრი **ნენე ილარიო, ჯავალ მაკგი** კი "დენვერის" წევრი გახდა. გარდა ამისა, "ნაგეტსმა" მიიღო **რონი ტურიაფი**, "უიზარდსმა" ფორვარდი **ბრაიან კუკი** და დრაფტის არჩევანს.

■ ■ ■

"პორტლენდმა" და "ნიუ ჯერსიმ" შეთანხმებას მიაღწიეს გაცვლაზე. "ნეტსი" მიიღებს ფორვარდ **ჯერალდ უოლასს** და მის სანაცვლოდ დათმობს **მეჰმეთ ოქურს, შეინ უილიამსსა** და 2012 წლის დრაფტის პირველი ნომრის არჩევანი.

წლევანდელ სეზონში უოლასის საშუალო სტატისტიკა 13.3 ქულას, 6.6 მოხსნასა და 2.7 შედეგიან გადაცემას უდრის.

"პორტლენდმა" კიდევ ერთი ტრეიდი განახორციელა. ამ კლუბმა და "ჰიუსტონმა" ცენტრები გაცვალეს – **მარკუს კემბი** "ბლეიზერსიდან" "როკეტსში" აღმოჩნდა, საპირისპირო მიმართულებით გაემგზავრნენ **ჰაშიმ ტაბიტი** და **ჯონი ფლინი**.

■ ■ ■

სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობის გარდა, "პორტლენდმა" გუშინ მწვრთნელის შეცვლაც გადაწყვიტა. თანამდებობა დაატოვებინეს 47 წლის **ნეიტ მაკმილანს**.

ამ სპეციალისტმა "ბლეიზერსი" 2005-06 წლების დასაწყისში ჩაიბარა და ბოლო სამ სეზონში გუნდი პლეი ოფში გაიყვანა, სადაც "პორტლენდი" პირველივე რაუნდში ასრულებდა ბრძოლას. მანამდე მაკმილანი "სიეტლს" ავარჯიშებდა.

როგორც ჩანს, მაკმილანის გათავისუფლების მიზეზი ღრმა კრიზისია, რომელშიც გუნდი იმყოფება რეგულარული ჩემპიონატში საკმაოდ კარგი სტარტის შემდეგ. გარდა ამისა, მაკმილანს კონფლიქტი ჰქონდა რამდენიმე მოთამაშესთან, კერძოდ, **რეიმონდ ფელტონთან** და **ჯამალ კროუფორდთან**.

როგორც იტყობინებიან, "პორტლენდს" დროებით სათავეში **კალებ კანალესი** ჩაუდგება, რომელიც მაკმილანის თანაშემწედ მუშაობდა.

**ნიუ ორლეანი–ვაშინგტონი 89:99**

28:28, 21:28, 24:19, 16:24

**ნ-ო:** კამანი (20+7 მოხსნა), ეიონი (16+9 მოხსნა), არიზა (13), ჯეკი (11+5 პასი), ვასკესი (10+6 პასი).

**ვ:** უოლი (26+12 პასი+3 პასი), მეისონი (19), კროუფორდი (17), ბუკერი (14+5 მოხსნა), სერაფინი (12+9 მოხსნა).

**დენვერი–ოკლაჰომა 90:103**

25:29, 26:21, 14:28, 25:25

**დ:** მილერი (17), გალინარი (15), აფლალო (10).

**ო:** დურანტი (24+8 მოხსნა), უესტბრუკი (23+6 მოხსნა+5 პასი), ჰარდენი (18), კუკი (11).

**კლიპერსი–ფინიქსი 87:91**

29:17, 18:22, 28:25, 12:27

**კ:** გრიფინი (25+8 მოხსნა), ბატლერი (14), ჯორდანი (11+9 მოხსნა), პოლი (10+7 მოხსნა+11 პასი), უილიამსი (10), მარტინი (10+5 მოხსნა).

**ფ:** ბრაუნი (21), ფრაი (12+6 მოხსნა+3 დაფარება), დადლი (11+6 მოხსნა), მორისი (10+6 მოხსნა).

**დალასი–შარლოტი 101:96**

23:23, 25:31, 26:14, 27:28

**დ:** ნოვიცკი (27+6 მოხსნა+5 პასი), ტერი (18+5 მოხსნა), ბობუა (14), კარტერი (11).

**შ:** მაგეტი (21), ტომასი (14+8 მოხსნა), ჰენდერსონი (12), ოგუსტინი (12), უოკერი (12+5 მოხსნა).

**იუტა–მინესოტა 111:105 (ო)**

24:20, 29:27, 24:24, 22:28, 12:6

**ი:** ჰეივორდი (26), ჰარისი (18), მილსეპი (16+11 მოხსნა+8 ჩაჭრა), ბურქსი (15), ჯეფერსონი (12+13 მოხსნა), ჰოვარდი (10), ფეივორსი (4+16 მოხსნა).

**მ:** ლავი (25+16 მოხსნა), პეკოვიჩი (20+9 მოხსნა), რიდნური (18+13 პასი+3 პასი), ბარეა (11), უებსტერი (10).

ჩოგბურთი. ტურნირები

# ამჯერად ჯოკომ გაისეირნა

ინდიან უელსში ყოველდღიურად სულ უფრო ნაკლები მატჩი იმართება, რაც გადამწყვეტი შეხვედრების მოახლოებას მოასწავებს.

მამაკაცთა ერთეულთა თანრიგში პირველი ორი ნახევარფინალისტი გამოვლინდა. მოლოდინისამებრ, ამ ეტაპზე გავიდა **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. სერბმა წინა დღეს სეტი წააგო **პაბლო ანდუხართან** და ახლა ესპანეთის მესამე ჩოგანს – **ნიკოლას ალმაგროს** ხვდებოდა, რომელმაც წინა წრეში ერთი სეტი "მშრალი" ანგარიშით მოუგო **ტომაშ ბერდიხს** – 6:4, 6:0. მაგრამ ალმაგრომ პრობლემები ვერ შეუქმნა მსოფლიოს პირველ ნომერს. ამასთან, სერბი იდეალურად არ თამაშობდა, მაგრამ ესპანელი უშვებდა ბევრ შეცდომას. ნოვაკმა კლასის ხარჯზე მოიგო მატჩი. აშკარაა, რომ ამჟამად სერბის თამაშში ჩავარდნაა – ეს ჯერ კიდევ დუბაიში გამოჩნდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის მასტერსის ნახევარფინალში გასულიყო, თანაც ისე, რომ მხოლოდ ერთი სეტი წააგო.



ორი მარია - შარაპოვა (მარცხნივ) და კირილენკო

ჯოკოვიჩის შემდეგი მეტოქე ამერიკელი გიგანტი **ჯონ ისნერი** იქნება. მასპინძელმა სამ სეტში დაამარცხა **ჟილ სიმონი**. ჩოგბურთელებმა საკმაოდ იოლი სეტები გაცვალეს, გადამწყვეტ პარტიაში კი თითქოს ყველაფერი ტაიბრეიკისკენ მიდიოდა, მაგრამ ბოლოსკენ სიმონი ოდნავ მოდუნდა და წააგო საკუთარი მოწოდება და მასთან ერთად მატჩი. სხვათა შორის ისნერმა ზედიზედ მეორედ გააღწია მასტერსის ნახევარფინალში - გასული წლის ბოლოს მან ამავე ეტაპზე ითამაშა პარიზში, არადა, მანამდე ამ კატეგორიის ტურნირებში მერვედფინალზე შორს ვერ გადიოდა.

■ ■ ■

ქალებს შორის ცნობილია ნახევარფინალისტთა სრული შემადგენლობა. მეოთხედფინალში შედგა რუსული დერბი სეხნიებს - **მარია შარაპოვასა და მარია კირილენკოს** შორის. მატჩის პირველ ნახევარში კირილენკო მეტოქის შეცდომების ხარჯზე აკონტროლებდა თამაშს. პირველ პარტიაში შარაპოვამ 18 უნებლიე შეცდომა დაუშვა, რითაც კირილენკომ პირველი 11 გეიმიდან 8 თავის სასარგებლოდ დაასრულა. ბრეიკის გაკეთების შემდეგ, მსოფლიოს 23-ე ნომერმა მეორე სეტში 2:0 წაიყვანა ანგარიში, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო. თავის მხრივ, შარაპოვამ ინიციატივა მოიპოვა. მან მეხუთე გეიმში ექვსი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და მალე სეტის თავის სასარგებლოდ დასრულება შეძლო. გადამწყვეტ პარტიაში კი კირილენკომ დათმო პოზიციები. მარია შესანიშნავად ანვდიდა, შეცდომებს თითქმის აღარ უშვებდა და მხოლოდ ორი გეიმი გაიმეტა მეტოქისთვის.

ნახევარფინალში შარაპოვას მეტოქე **ანა ივანოვიჩი** იქნება, რომელიც სეზონში პირველად მოხვდა ოთხ საუკეთესოს შორის და მეოთხედფინალში რევანში აუღო ინდიან უელსში შარშანდელი მარცხისთვის ფრანგ **მარიონ ბარტოლის**. სერბმა წინა ეტაპზე **კაროლინ ვოზნიაცკის** დამარცხების შემდეგ, რეიტინგის ტოპ-ათეულის ზედიზედ მეორე წევრი გამოთიშა ბრძოლას.

ბარტოლიმ შეხვედრა ბრეიკით დაიწყო, მაგრამ სერბმა მალე დაიბრუნა დაკარგული მოწოდება, 4:3-ზე კი ორმაგი ბრეიკ-პოინტი მიიღო და შანსი მეორე ცდიდან გამოიყენა. მეორე სეტი უკვე ანას ბრეიკით დაიწყო და მან უპირატესობის ბოლომდე შენარჩუნება მოახერხა.

ივანოვიჩი გაცილებით აგრესიულად თამაშობდა და 21 „ვინერსი" დაუგროვდა, იმ დროს, როცა ბარტოლის მიერ სუფთად მოგებული ქულის რაოდენობა მხოლოდ ცხრას უდრიდა. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ფრანგს ტრავმა ჰქონდა და სრული ძალით ვერ მოქმედებდა.

**BNP Paribas Open**

**ინდიან უელსი (აშშ). პარდი**

**1/4 ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 12) 6:3, 6:4; **ჯონ ისნერი (აშშ, 11)**-ჟილ სიმონი (საფ, 13) 6:3, 1:6, 7:5.

**1/4 ფინალი**

**ანა ივანოვიჩი (სერ, 15)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 7) 6:3, 6:4; **მარია შარაპოვა (რუს, 2)**-მარია კირილენკო (რუს, 20) 3:6, 7:5, 6:2.

**1/2 ფინალი**

აზარენკა (1)-კერბერი (18); ივანოვიჩი (15)-შარაპოვა (2).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცურვა

# ტორპს ერთი შანსი დარჩა

ხუთგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლეგენდარულმა ავსტრალიელმა მოცურავემ **იან ტორპმა** ვერ შეძლო ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურის მოპოვება 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. ავსტრალიის ჩემპიონატში, რომელიც მომავალი ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი გახლავთ, ტორპმა ჩააგდო ნახევარფინალური ეტაპი. „ტორპედომ" ნახევარფინალის ყველა მონაწილეს შორის მე-12 ადგილი დაიკავა და ფინალში ვერ მოხვდა, - წერს ავსტრალიის ცურვის ეროვნული ფედერაცია.

ტორპის დრო იყო - წუთი და 48,91 წამი. ეს 2.4 წამით უარესია **რაიან ნაპოლეონის** შედეგზე, რომელმაც ნახევარფინალური გაცურვებისას საუკეთესო დრო დააფიქსირა.

იანმა იმედგაცრუება გამოთქვა თავისი შედეგის გამო, რომელიც ხუთი წამით უარესია მის პირად რეკორდზე.

ტორპს კიდევ რჩება ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი. კვირას ის მონაწილეობას მიიღებს 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში და შეეცდება ფინალში გასვლას.



იან ტორპი

თუმცა ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონის ფორმის გათვალისწინებით, ტორპს წარმატების მინიმალური შანსი აქვს. ასევე ნაკლებია იმის ალბათობა, რომ „ტორპედო" ესტაფეტების ნაკრებში შეიყვანონ.


დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში;
ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:10

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია